

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 11

სასამართლო მტკიცებულებები

1. მტკიცებულებათა შეფასება
2. მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა
3. აღიარება
4. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა

1. მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

ას-1001-1200-08 24 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. პ-იამ, მოპასუხე ხ. ბ-ავას მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ქ. ზუგდიდში, ... ქ. #105-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ და-რეგისტრირება და სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს, 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით, ვ. პ-იას სარ-ჩელი ხ. ბ-ავას მიმართ, 2002 წლის 19 ივნისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკ-რულებიდან გასვლის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსა-ხურში ცვლილებების შეტანისა და მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. პ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. პ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგ ფაქტობრივ გარემოები:

2002 წლის 19 ივნისს, ვ. პ-იასა და ხ. ბ-ავას შორის, დაიდო ქ. ზუგდიდი, ... ქ. #105-ში მდებარე, ვ. პ-იას კუთვნილი საცხოვრებელი სახლის, სანოტარო წესით დამოწმებული (გა-დახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ნასყიდო-ბის ფასი შეადგენდა 10 000 აშშ დოლარს, რაც ხელშეკრულების დამოწმების დღისათვის იყო 22 000 ლარის ეკვივალენტი.

ხელშეკრულებით დადგენილი იქნა თანხის გადახდის გრაფიკი, კერძოდ 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების დამოწმებისთანავე, ხოლო 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 2003 წლის 1 იანვრამდე;

ნასყიდობის დარჩენილ თანხას სარგებელი (პროცენტი) არ ერიცხებოდა, მხარეები შეთან-ხმდნენ, რომ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე ნასყიდობის საგნის მყიდველი მესაკუთრედ აღირიცხებოდა საჯარო რეესტრში.

ასევე, ერთობლივი განცხადებით უნდა მიემართათ საჯარო რეესტრში ნასყიდობის საგანზე ყო-ველგვარი შეზღუდვის მოსახსნელად, ხოლო თუ გამყიდველი არ ან ვერ შეძლებდა ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერას, მაშინ მყიდველი უფლებამოსილი იყო, ნასყიდობის ფასი გადაეხადა ნოტარიუსისათვის -გამყიდველისათვის გადასაცემად;

მხარეთა განმარტებების საფუძველზე დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ნასყიდობის საგნის ფასის ნაწილი -7000 აშშ დოლარი გადახდილია ვადის დაცვით, ხოლო 3000 აშშ დოლარი 2003 წლის 1 იანვრამდე გადახდილი არ ყოფილა;

2007 წლის 16 ივლისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ მყიდველმა ხ. ბ-ავამ, სადავო ქონებაზე - ქ. ზუგდიდში, ... ქ. #105-ში მდე-ბარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე 2002 წლის 21 ივნისს შეიძინა საკუთრების უფლება.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ფა-სის ზრდის გამო, ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესასრულებლად დამატებით ვადის დაწე-სება გაუმართლებელი იყო; სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარეობდა ის შეთანხმება, რომ, თუ დათქმულ ვადაში, გამყიდველი არ ან ვერ შეძლებდა ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერას, მაშინ მყიდველი უფლებამოსილი იყო, ნასყიდობის ფასი გადაეხადა ნოტარიუსისათვის, გამყიდვე-ლისათვის გადასაცემად;

პალატამ მიიჩნია, რომ გამყიდველის - ვ. პ-ის მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 508-ე, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე - საფუძვლიანია.

პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მიმართა ნოტარიუსს, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით - 2007 წლის 5 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმითა და აღნიშნულ სხდომაზე დაკითხული ნოტარიუსის ჩვენებით ირკვევა, რომ ხ. ბ-ავამ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად ნოტარიუსს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მიმართა, მოწინააღმდეგე მხარეს კი ამ ფაქტის გასაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

პალატამ ასევე არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სარჩელთან დაკავშირებული წარმოება შესაწყვეტია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი იყო არა სამართლებრივად უვარგისი ქმედება, 2007 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დასრულებულ სამოქალაქო დავაზე, არამედ არსებობდა ნამდვილი გარიგებით გათვალისწინებული პირობების შესრულებლობით გამოწვეული შედეგები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ხ. ბ-ავას წარმომადგენელმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას განიხილა ადმინისტრაციული წესით განსახილველი მოთხოვნა-საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებისა და სხვა პირის მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, სასამართლომ აღნიშნული უკანონო ქმედება ისე ჩაიდინა, რომ საჯარო რეესტრის სამსახური, რომლის მიერაც უნდა ხორციელდებოდა კანონის საფუძველზე ყველა სახის რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე და რომელსაც გააუქმეს ჩანაწერი და თითქოსდა არაპირდაპირ დაავალდებულეს ახალი ჩანაწერის განხორციელება, მოპასუხედ არ ყოფილა ჩართული მოპასუხის მიერ, ხოლო სასამართლომ ვერ ან არ გაითვალისწინა ეს გარემოება, გააუქმა აქტი და დაავალდებულა ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მიღება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ისე, რომ მოპასუხედ არ ყოფილა ჩართული საქმეში.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, მაშინ, როდესაც მოსარჩელე 2007 წლის 21 აგვისტოს შეტანილი სარჩელით ითხოვს ხელშეკრულების „ბათილად ცნობას“, ხოლო განმეორებით სარჩელში იგი ითხოვს იმავე ხელშეკრულების „გაუქმებას“ სასამართლო წესით, ხოლო სასამართლომ იმის გამო, რომ გაემართლებინა თავისი წინასწარ განზრახული უკანონო გადაწყვეტილება, დაარქვა ამას ხელშეკრულების „მოშლა“, თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილად ცნობას სასამართლო წესით და ეს იდენტურია, რა თქმა უნდა, გაუქმებასთან, აგრეთვე, იდენტურია მოთხოვნები ორივე სარჩელში სადავო ქონების მესაკუთრედ მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ვ. პ-ის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 508-ე, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების გასვლის თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ბ-ავამ, მართალია, ხელშეკრულების შესაბამისად ბინის საფასურის ნაწილი დროულად გადაიხადა, მაგრამ დარჩენილი 3000 აშშ დოლარი 2003 წლის 1 იანვრამდე გადახდილი არ ყოფილა, არც ნოტარიუსთან განხორციელებულა დეპონირება, არც ვალდებულების შესრულების გადავადებაზე შეთანხმებულან და უფრო მეტიც, დღემდე ვალდებულება შესრულებული არ არის.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების მხარე 405-ე მუხლს გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. აღნიშნული ნორმით, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის (ხელშეკრულებაზე უარის თქმისათვის) აუცილებელია არსებობდეს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს

შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულება მისთვის დაკარგა ინტერესი. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების დარჩენილი ნაწილი არ შესრულებულა, ასეთ შემთხვევაში კრედიტორის შესრულებისადმი ინტერესი უნდა დაკარგვოდ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესრულების ინტერესი არ უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ კრედიტორის სუბიექტური მოსაზრებიდან, არამედ იგი განპირობებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებითაც, რომელთა გამოც კრედიტორის ვალდებულების შესრულება აზრს კარგავს.

სააპელაციო სასამართლომ კი უპირობოდ გაიზიარა ვ. პ-ის განცხადება იმის თაობაზე, რომ შესრულებამ მისთვის აზრი დაკარგა. სასამართლო არ უთითებს იმ არგუმენტებზე, ან ფაქტობრივ გარემოებებს, რომელზე დაყრდნობითაც გააკეთა ასეთი სახის დასკვნა. ვ. პ-ია აღნიშნავდა, რომ ბინის გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილით სურდა ბინის ყიდვა, ნაწილით კი პრობლემების მოგვარება. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოერკვია, თუ რამდენად შეუშალა ხელი აღნიშნულის განხორციელებაში ხ. ბ-ავას მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ. რამ განაპირობა, რომ ვალდებულების შესრულებამ დაკარგა აზრი.

ამასთან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ ხ. ბ-ავა ცდილობდა ვალდებულების შესრულებას დეპონირების გზით. სასამართლოს არ შეუფასებია, თუ რა ვადით გადააცილა ხ. ბ-ავამ შესრულების ვადა, ასევე, უნდა გაერკვია ნოტარიუსის უარის მართლობიერების საკითხი. თუ ხ. ბ-ავამ ნოტარიუსს ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებით მიმართა, ასეთ შემთხვევაში კრედიტორს წარმოეშობოდა ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უფლება სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად რაც ყველა შემთხვევაში არ იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლას, როგორც ამას ითხოვს ვ. პ-ია.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა შეაფასოს ხ. ბ-ავას ბრალეულობის საკითხი ვალდებულების შეუსრულებლობაში და გამოიკვლიოს, მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ განაპირობა თუ არა ვ. პ-ისთვის შესრულების ინტერესის დაკარგვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. ბ-ავას წარმომადგენლის თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-828-1043-08

27 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ნათესაური კავშირის დადგენა და მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 6 ივლისს დ. გ-იამ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ნ. გ-მისა და ქ. ბათუმის ნოტარიუს ხ. კ-შვილის მიმართ და მოითხოვა აწ გარდაცვლილ მ. ჟ-ტთან ნათესაური კავშირი დადგენა, კერძოდ, რომ მ. ჟ-ტი არის დედამისი და, შესაბამისად, თავად წარმოადგენს მისი პირველი რიგის მემკვიდრეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. გ-იას სარჩელი დაკამოფილდა, დადგინდა ნათესაური კავშირი მოსარჩელესა და მ. ჟ-ტს - აწ გარდაცვლილი მ. ჟ-ტი იყო მოსარჩელე დ. გ-იას დედა და დ. გ-ია აღიარებულ იქნა აწ გარდაცვლილი მ. ჟ-ტის პირველი რიგის მემკვიდრედ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. კ-შვილის ქალიშვილობის გვარია ჟ-ტი, რომელიც 1952 წლის 8 ივნისიდან მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა ა. მ-შვილთან, დასტურდება ქორწინების მოწმობით და მხარეებიც ადასტურებენ; აღნიშნული ქორწინებიდან მ. ჟ-ტს შეეძინა შვილი - გ. მ-შვილი, მოპასუხე ნ. გ-მის მეუღლე;

მ. ჟ-ტის საკუთრებაში ირიცხებოდა ქ. ბათუმში, ... #47-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად;

მ. ჟ-ტი გარდაიცვალა 2006 წლის 21 აპრილს, მანამდე გარდაცვლილი იყო მისი მეუღლე - ა. მ-შვილი. გარდაცვალებიდან რამოდენიმე დღეში გარდაიცვალა მისი შვილი გ. მ-შვილი, რომელსაც დედის სამკვიდრო არ გადაუფორმებია;

მოსარჩელე დ. გ-ია, რომლის ქალიშვილობის გვარია კ-შვილი, დაიბადა 1943 წლის 20 თებერვალს და მისი მშობლები იყვნენ შ. კ-შვილი და მ. კ-შვილი, რაც დასტურდება დაბადების სააქტო ჩანაწერთა და დაბადების მოწმობით;

სასამართლომ, სრს ზესტაფონის სამსახურის სარეგისტრაციო განყოფილების 2007 წლის 10 ივნისის ცნობით დადგინდა მითხნია, რომ დ. გ-იას მშობლების ქორწინება არ ყოფილა რეგისტრირებული;

საქმეში არსებული მასალების, მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მოწმეების განმარტების საფუძველზე, სასამართლომ დადგინდა მითხნია, რომ მოსარჩელის დედის - მ. კ-შვილის ქალიშვილობის გვარი იყო ჟ-ტი; ხოლო დ. კ-შვილი რომ დ. გ-იას, აღნიშნული დადასტურდა ბ. გ-იასთან მისი ქორწინების მოწმობით.

შემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე აწ გარდაცვლილი მ. ჟ-ტის შვილი იყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ დ. გ-ია აწ გარდაცვლილი დედის - მ. ჟ-ტის პირველის რიგის მემკვიდრე იყო, რაც სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელის მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2008 წლის 16 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, იმის გამო, რომ დ. გ-იამ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგინა შესაგებელი, ნ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, დ. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის საოქმო განჩინებით და განახლდა საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინებით ნ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების მიმართ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მ. კ-შვილი და მ. ჟ-ტი ერთი და იგივე პირი იყო, დ. გ-ია, იგივე დ. კ-შვილი კი მისი შვილი და მართებულად აღიარა იგი დედის პირველი რიგის მემკვიდრედ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნ. გ-ძის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დაედგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, მაშინ, როდესაც არსებობდა სააქტო ჩანაწერი, ვინაიდან აღნიშნა, რომ სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი არ დაუდგენია. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ დ. გ-იას დაბადების პრიოდისათვის (1943 წელი), ხშირად მეუღლეები ქორწინების რეგისტრაციას არ ახდენდნენ, თუმცა ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდნენ და მეუღლის გვარსაც იღებდნენ. მსგავსი ურთიერთობები შემდგომ დარეგულირდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებითა და სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 26 ნოემბრის დირექტიული წერილით, შესაბამისად, მიუხედავად არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნისა, მ. ჟ-ტი იწოდებოდა ასევე მ. კ-შვილად, ანუ მას მიღებული ჰქონდა მეუღლის გვარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რის გამოც საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება, კერძოდ, სასამართლომ გააუქმა მის მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მოპასუხის განმარტებაზე დაყრდნობით, რომ გზავნილის მიღებაზე მისი ხელმოწერა არ ყოფილა, რაც არ დადასტურებულა საფოსტო გზავნილზე ფოსტის მიერ გაცემული ცნობით, ანუ სასამართლოს არ ჰქონია უტყუარი მტკიცებულება, რომ გზავნილი მოპასუხეს არ ჩაჰბარებია, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები; სასამართლო ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოკვლეულ ფაქტებს და ისე დაადგინა მ. კ-შვილისა და მ. ჟ-ტის პიროვნების იგივეობა და რა მტკიცებულებათა ერთობლიობის აზრს დაეყრდნო არ დაუსაბუთებია. ამასთან, კასატორის განმარტებით, იგი ასაჩივრებდა მოსარჩელესა და მ. ჟ-ტს შორის ნათესაური კავშირის არსებობას, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან არ არსებობდა რაიმე სააქტო ჩანაწერი აღნიშნულის შესახებ, ხოლო მოწმეთა ჩვენებები არ იყო უტყუარი მტკიცებულება და სასამართლო ამ კავშირის დადგენით გასცდა მოთხოვნის ფარგლებს, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე და 313-ე მუხლებით დადგენილ წესებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ მოსარჩელის ახსნა-განმარტების, მოწმეების განმარტებების, აგრეთვე სრს ზესტაფონის სამსახურის სარეგისტრაციო განყოფილების, დაბადების სააქტო ჩანაწერის შპს „ბათუმყოფსერვისის“ მიერ გაცემული ცნობებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, დადგინილად ცნო დ. გ-იასა და მ. ჟ-ტს შორის ნათესაური კავშირი, კერძოდ დადგინილად ცნო, რომ მ. ჟ-ტი დ. გ-იას დედაა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებებსა და გარემოებებზე, რომლებზეც არ იმსჯელა სასამართლომ და რომლებიც გამორიცხავდა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება სადავო ფაქტის დადგენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

აღნიშნული ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრეს. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლში მითითებული მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

პირთა შორის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ განცხადების განხილვისას, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულება, ვინაიდან ასეთი ფაქტების დადგენისას გარკვეული სახის მტკიცებულებებით კანონი არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ასეთი ფაქტები დასტურდება მხოლოდ სააქტო ჩანაწერით. პირთა შორის ნათესაური კავშირი, ჩვეულებრივ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით შესრულებული სათანადო ჩანაწერით დასტურდება, მაგრამ ნათესაური კავშირის დადგენის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას, როდესაც გარკვეული პირის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლის ან შვილის მონაცემები შეცდომითაა მითითებული ან ამა თუ იმ მიზეზის გამო არ არის დაცული (შემონახული) რომელიმე პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. ჟ-ტი და შ. კ-შვილი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იყვნენ. 1943 წელს შეეძინათ მოსარჩელე დ. კ-შვილი. მიუხედავად არარეგისტრირებული ქორწინებისა მ. ჟ-ტს მიღებული ჰქონდა მეუღლის გვარი და შესაბამისად დ-ს დაბადების სააქტო ჩანაწერის დედის გრაფაში შეცდომით დედად ჩაიწერა -მ. კ-შვილი.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ნათესაური კავშირის დადგენით სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვდა ამ კავშირის დადგენას და პირველი რიგის მემკვიდრედ ცნობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1020-1214-08

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: მიუღებელი ხელფასის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს მ. ც-მემ და ი. ს-უამ მოპასუხის - შპს „ფსიქიატრიასა“ და ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოს წინააღმდეგ და მოითხოვეს 1998 წლიდან მიუღებელი სახელფასო დავალიანების -2800 ლარისა და უქმე დღეებისათვის -432 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელეთა განმარტებით, 1996 წელს მოსარჩელებსა და სამტრედიის სარაიონთაშორისო ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელე-

ბი იღებდნენ ვალდებულებას, შეესრულებინათ სამუშაო, დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული პირობებითა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, ხოლო შპს „ფსიქიატრია“ იღებდა ვალდებულებას, რომ აანაზღაურებდა შრომას შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მოსარჩელებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულეს, ხოლო მოპასუხე მხარემ, როგორც დამქირავებელმა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და უარი უთხრა მოსარჩელებს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ისინი კუთვნილი ხელფასის ანაზღაურებას ითხოვენ 1999 წლიდან. შპს „ფსიქიატრიის“ მაშინდელმა დირექტორმა კი თანხების ანაზღაურებაზე უარი განუცხადა, უფრო მეტიც, თავისი 2002 წლის 2 ოქტომბრის #20-ე და #21-ე ბრძანებებით მთლიანად გააუქმა სამსახური.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული ბრძანებები და აღდგენილ იქნა ლაბორატორიის ფუნქციონირება.

სარჩელით მოსარჩელებმა მოითხოვეს 1999 წლიდან მიუღებელი ხელფასის -1440 ლარის მ. ც-მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრება, ხოლო ი. ს-უას სასარგებლოდ -1440 ლარის ოდენობით. მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს უქმე დღეებში მუშაობის საფასურის ანაზღაურება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მ. ც-მემ და ი. ს-უამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მ. ც-მის და ი. ს-უას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1996 წლის 1 აპრილს, ერთის მხრივ, სამტრედიის ფსიქონერვოლოგიური დისპანსერსა და, მეორე მხრივ, მოსარჩელებს შორის შედგა უვადო შრომითი ხელშეკრულება, ხელშეკრულების მე-10 პუნქტის თანახმად, ხელფასი საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა გამოწერილიყო.

ასევე დადგენილია, რომ 1999 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო პროგრამების დასრულების შემდეგ შეწყდა ნარკოლოგიური ლაბორატორიის დაფინანსება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან და 1999 წლის 1 აპრილს შპს „ფსიქიატრიას“ დირექტორის #4 ბრძანების საფუძველზე ნარკოლოგიური ლაბორატორია (სადაც მოსარჩელები მუშაობდნენ), სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა.

პალატამ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლისა და ახალი პირობების შემოღების თაობაზე ადმინისტრაციამ ერთი თვით ადრე არ აცნობა მოსარჩელებს.

პალატამ მიიჩნია, რომ, რადგან მოსარჩელები ფაქტობრივად ასრულებდნენ 2002 წლამდე მათზე დაკისრებულ შრომით ვალდებულებებს, სარჩელი საფუძვლიანია (ნაწილობრივ) მოპასუხეზე ხელფასის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ფსიქიატრიის“ დირექტორმა ლ. ლ-მემ.

კასატორის განმარტებით, შპს „ფსიქიატრიის“ მიერ 2006 წლის 15 მარტს გაცემულ ცნობებში მითითებულია, რომ 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1999 წლის 1 აპრილამდე ლაბორატორია ფინანსდებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან. მ. ც-მისა და ი. ს-უას ხელფასი განისაზღვრებოდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით, რომელიც შეადგენდა თვეში საშუალოდ 15 ლარს. შესაბამისად. აღნიშნული თანხა თითოეულ მათგანს ეძლეოდა იმის გამო, რომ მათ 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1999 წლის 1 აპრილამდე გასწიეს მითითებული თანხის ღირებულების სამუშაო.

კასატორის განმარტებით 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1999 წლის 1 აპრილამდე თითოეული მოსარჩელისათვის თვეში მიცემული საშუალოდ 15 ლარი ეს იყო გაწეული სამუშაოს მიხედვით გაცემული თანხა. 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1999 წლის 1 აპრილამდე თითოეულ მათგანს არ ეძლეოდა სარგო - თვეში 15 ლარი. ეს არ იყო სარგო, რომელსაც ისინი მიიღებდნენ ყოველთვიურად. საქმეში არ დევს არანაირი მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს მისცემს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ მ. ც-მემ და ი. ს-უამ 1999 წლის 1 აპრილიდან 2002 წლის 1 ივნისამდე შპს „ფსიქიატრიაში“ გასწიეს იმ ღირებულების სამუშაო, რომელიც უნდა ანაზღაურდეს თვეში 15 ლარით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარში აპელანტებმა მიუთითეს, რომ მათთვის უცნობი იყო სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ, რაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, თუმცა, როგორც ი. ს-უასთან, ასევე, მ. ც-მესთან 1996 წლის 1 აპრილს გაფორმებულ კონტრაქტში

არის ი. ს-უასა და მ. ც-ძის ხელმოწერა. აღნიშნული კი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებს ეცნობათ შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლისა და ახალი პირობების შემოღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს, მასზე თანდართულ მტკიცებულებას და თვლის, რომ შპს "ფსიქიატრიის" დირექტორის ლ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1996 წლის 1 აპრილს, ერთი მხრივ სამტრედიის ფსიქონერვოლოგიური დისპანსერსა და, მეორე მხრივ, მოსარჩელებს შორის შედგა უვადო შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-10 პუნქტის თანახმად ხელფასი საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა გამოწერილიყო.

ასევე დადგენილია, რომ 1999 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო პროგრამების დასრულების შემდეგ შეწყდა ნარკოლოგიური ლაბორატორიის დაფინანსება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან და 1999 წლის 1 აპრილს შპს „ფსიქიატრიის“ დირექტორის #4 ბრძანების საფუძველზე ნარკოლოგიური ლაბორატორია (სადაც მოსარჩელები მუშაობდნენ), სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მ. ც-ძის მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ მან არ იცოდა ორგანიზაციის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის თაობაზე.

საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორი საკასაციო პრეტენზიად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ც-ძესთან 1996 წლის 1 აპრილს გაფორმებულ კონტრაქტი ხელმოწერილია ი. ს-უასა და მ. ც-ძის მიერ. აღნიშნული კი კასატორის აზრით, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებს ეცნობათ შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლისა და ახალი პირობების შემოღების თაობაზე.

საკასაციო პალატა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, იზიარებს კასატორის მიერ წამოყენებულ შედავებას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. კერძოდ კი მ. ც-ძესთან და ი. ს-უასთან 1996 წლის 1 აპრილს დადებული შრომის კონტრაქტი. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული მტკიცებულება სასამართლოს მიერ გამოკვლეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს არ უმსჯელია მითითებულ შრომის ხელშეკრულებაზე. სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ც-ძესა და ს-უასთვის არ შეუტყობინებიათ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის თაობაზე, რომ სასამართლოში წარგენილი შრომის ხელშეკრულება არ შეუფასებია აღნიშნულ ნორმათა დაცვით.

ამდენად პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "ფსიქიატრიის" დირექტორის ლ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-861-1075-08

23 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება, საცხოვრებელი ფართისა და ავტოფარების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 30 ივლისს დ. და შ. შ-ძეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - ამხანაგობა „იმედი 2-ისა“ და ამხანაგობა „იმედი 91-ის“ მიმართ და მოითხოვეს მოსარჩელების დ. და შ. შ-ძეების აღიარება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „იმედი 91-ის“ და „იმედი 2-ის“ წევრებად; შევიდეს ცვლილება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „იმედი 91-ის“ 2002 წლის 10 მაისის კრების #15 ოქმში და მოსარჩელები, როგორც თანხის სრულად და დროულად გადამხდელები, შეყვანილ იქნენ პირველი კატეგორიის მენაშენეთა სიაში; დაეკისროს მოპასუხეებს ქ. თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით საცხოვრებელი სახლის აშენებისას 122 კვ.მ სამოთახიანი და 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინებისა და 2 ავტოფარების გადაცემის ვალდებულება პირველი კატეგორიის მენაშენეთათვის განთავსებულ ფართში, კერძოდ, „იმედი 91-ისათვის“ გადაცემულ მე-2 და მე-3 სართულზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დ. და შ. შ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. და შ. შ-ძეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით დ. და შ. შ-ძეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 6 ნოემბრის განკარგულებების თანახმად, სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო მოსარჩელების ამხანაგობა „იმედი 91-ში“ გაწევრიანების ფაქტი, კერძოდ, დ. შ-ძეს ოთხოთახიანი ბინის, ხოლო შ. შ-ძეს სამოთახიანი ბინის აშენების უფლებით, აგრეთვე, დადგინდა ცნო, რომ აღნიშნული განკარგულებები გაუქმებული არ არის, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი დ. და შ. შ-ძეებისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი დ. და შ. შ-ძეების მიერ ამხანაგობა „იმედი 91-ისათვის“ ბინის ასაშენებლად 160000 მანეთის გადახდის ფაქტი და ის გარემოება, რომ ამხანაგობა „იმედი 91“ წარმოადგენს ამხანაგობა „იმედი 2-ის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, რომელმაც შესატანის სახით შეიტანა 3 138 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ამის სანაცვლოდ უნდა გადაეცეს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში საცხოვრებელი ფართი მე-2 და მე-3 სართულზე, ასევე, ავტოფარეხები და სარდაფი, ე.წ. კარკასი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „იმედი 91-ის“ 2004 წლის 6 ოქტომბრის კრების #21 ოქმი, რომლის მე-2 პუნქტადაც აღნიშნულია, რომ ამხანაგობა „იმედი 91-ის“ წევრებს გადაეცეთ გარკვეული ფართები, მათ შორის, დ. შ-ძეს -28 კვ.მ, შ. შ-ძეს კი 14 კვ.მ. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე დასკვნების გაკეთებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს დ. და შ. შ-ძეებმა.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას იგნორირება გაუკეთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე და 178-ე მუხლების მოთხოვნებს.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ ბინათმშენებლობა ამხანაგობა "იმედი 91-ის" 2004 წლის 6 ოქტომბრის #21 კრების ოქმს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ დ. და შ. შ-ძეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დ. შ-ძისა და შ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განსახილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო არ ასაბუთებს საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განაწილა მტკიცების ტვირთი. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ უნდა ადასტუროს მოსარჩელების მიერ გადახდილი თანხების არასაკმარისობა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელები აღიარებულ იქნან პირველი კატეგორიის მენაშენებებად, ხოლო თანხის სრულად გადახდის მტკიცების ტვირთი კი ეკისრებათ მოსარჩელებს.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ბინათმშენებლობის ამხანაგობა "იმედი-91-ის" 2004 წლის 6 ოქტომბრის კრების #21 ოქმი, რომლის მე-2 პუნქტიდაც აღნიშნულია, რომ ამხანაგობა "იმედი 91-ის" წევრებს უნდა გადაეცეთ გარკვეული ფართები, მათ შორის დ. შ-ძეს _28 კვ.მ, შ. შ-ძეს კი -14 კვ.მ. ასევე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, რის შედეგად მიიღო არასწორი გადაწყვეტილება (განჩინება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ არსებობს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიმარტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ პროცესუალური შესაძლებლობა, რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე, ამ გარემოებების გათვალისწინებით რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, ხომ არ გამოიწვევს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია პირველ ინსტანციაში გადააგზავნოს საქმე, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო კანონები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლო არ უთუთებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასარკვევ იმ საკითხთა წრეს, რომლის გარკვევა მას არ შეუძლია (ან არ არის მიზანშეწონილი, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უხეში პროცესუალური დარღვევების გამო, რამაც შეზღუდა პროცესუალური მხარის უფლებები).

სააპელაციო სასამართლო უთითებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე, რომლითაც დასტურდება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობები და პირველივე ინსტანციის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს (ამ ინსტანციისათვის დადგენილი იურისდიქციის გათვალისწინებით) შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს უკან საქმე, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მიზანშეუწინელია საქმის უკან დაბრუნება.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული (სააპელაციო სასამართლოს) გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს. კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არ არის გამოკვლეული და შეფასებული გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, არ არის მითითებული სადავო ურთიერთობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ უთითებს, რომ სადავო ურთიერთობის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის აუცილებელია სრულად იქნეს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ დაადგინოს საქმისათვის აუცილებელი ფაქტები და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. და შ. შ-ძეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1031-1224-08

19 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: გათავისუფლების შესახებ ბრძანებათა კანონშეუსაბამოდ აღიარება და მიუღებელი ხელფასის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს თ. გ-ულმა, რ. ჩ-ელმა, შ. წ-შვილმა, მოპასუხედ სს „ენერგო პროჯორჯია“ დაასახელეს და მოითხოვეს სამსახურიდან უკანონო დათხოვნით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2007 წლის 30 ივნისს მათსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, თ. გ-ული ერთი წლის ვადით დაინიშნა ქ. ზესტაფონის მომსახურეობის ცენტრის უბნის მენეჯერის თანამდებობაზე, 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით და მისი ხელფასი შეადგენდა 650 ლარს; რ. ჩ-ელი და შ. წ-შვილი ერთი წლის ვადით დაინიშნენ ზესტაფონის მომსახურეობის ცენტრის ტექნიკოსის თანამდებობაზე, 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით და მათი შრომის ანაზღაურება შეადგენდა 360 ლარს. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი არაბრალეულობით გამოწვეული ინციდენტის გამო შეუწყდათ შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებზე მითითებით. მოსარჩელებმა მიიჩნიეს რომ შრომითი ხელშეკრულება ადმინისტრაციამ უკანონოდ შეუწვიტა, შესაბამისად, მათ მოითხოვეს გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა უკანონოდ ცნობა და თ. გ-ულის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 5850 ლარის, რ. ჩ-ელის სასარგებლოდ 3240 ლარის, შ. წ-შვილის სასარგებლოდ 3240 ლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებები თ. გ-ულისა და რ. ჩ-ელის მიმართ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ცნობილ იქნა

უკანონოდ; სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ თ. გ-ულის სასარგებლოდ 5850 ლარის; რ. ჩ-ელის სასარგებლოდ 3240 ლარის გადახდა დაეკისრა; შ. წ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ენერგო-პრო-ჯორჯიამ“ და შ. წ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ და შ. წ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თ. გ-ულსა და მოპასუხე ორგანიზაციას შორის 2007 წლის 30 ივნისს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება ერთი წლით, სამთვიანი გამოსაცდელი ვადით. ხელშეკრულების თანახმად, თ. გ-ული დაინიშნა ზესტაფონის მომსახურეობის ცენტრის უზნის მენეჯერის თანამდებობაზე და მისი ხელფასი 650 ლარით განისაზღვრა.

რ. ჩ-ელი და შ. წ-შვილი ერთი წლის ვადით დაინიშნენ ზესტაფონის მომსახურეობის ცენტრის ტექნიკოსის თანამდებობაზე, 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით და მათი შრომის ანაზღაურება შეადგენდა 360 ლარს.

პალატამ ჩათვალა, რომ აბონენტის (მესამე სკოლის) თვითნებურ ჩართვაზე მოსარჩელეთა ჩ-ელისა და გ-ულის მიერ 26 სექტემბერს შედგენილი აქტი მათ მიერ სწორედ დარღვევის ფაქტზე რეაგირების დასტურს წარმოადგენდა. რაც შეეხება იმას, რომ 28 სექტემბერს გამოვლინდა ამ აბონენტის თვითნებური ჩართვის ფაქტი, პალატის მოსაზრებით, არ ადასტურებდა მოსარჩელეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობას.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია არც შრომითი ხელშეკრულებით (არც თანამდებობრივი ინსტრუქციისა და „წესებით“ გათვალისწინებული) და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ენერგო-პრო-ჯორჯიამ“.

კასატორის აზრით, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია. სასამართლომ დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დავალიანების გამო გამორთული აბონენტი თვითნებურად კვლავ ჩართული იყო ქსელში. ეს ქმედება მოსარჩელეთა მიერ დარჩა რეაგირების გარეშე მაშინ, როცა აღნიშნული კონტროლი მათ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა. ამავე დროს, მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლება სასამართლომ მიიჩნია არამართლზომიერად, თუმცა, რაში გამოიხატა არამართლზომიერება, ამის სამართლებრივ საფუძვლებზე არ მიუთითებია.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელებს სადავოდ არ გაუზღიდათ ის გარემოება, რომ მათ მიერ დავალიანების გამო გათიშული აბონენტი შემოწმების დროს იყო თვითნებურად ჩართული ქსელში და კვლავ მოიხმარდა ელექტროენერგიას. აღნიშნული ფაქტის არსებობა უდაოდ ადასტურებს გ-ულისა და ჩ-ელის მიერ მათზე თანამდებობრივად დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ფაქტს, რაც გახდა კანონიერი საფუძველი მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ ეს იყო სწორედ უნებართვო მიერთება, ოღონდ ამგვარი უნებართვო მიერთებით მცირეოდენობით ზიანი (12 კვ.) მიადგა კომპანიას. აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება კანონის მოთხოვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ თ. გ-ული და რ. ჩ-ელი 2007 წლის 30 ივნისს დაინიშნენ ქ. ზესტაფონის მომსახურეობის ცენტრში 3-თვიანი გამოსაცდელი ვადით. ისინი სამსახურიდან განთავისუფლდნენ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და 38-ე მუხლის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მითითებულ პირთა განთავისუფლების თაობაზე მიიჩნია უკანონოდ იმ საფუძველით, რომ დარღვევა იყო უმნიშვნელო და, ამასთან, მათ მიერ შეუძლებელი იყო საჯარო სკოლის მიერ ქსელში თვითნებური ჩართვის კონტროლი.

როგორც კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს, აღნიშნული დარღვევა ამ პირთა მიმართ გამოვლენილია გამოსაცდელ სამთვიან ვადაში და ეს პირები ამავე ვადაში არიან განთავისუფლებული სამსახურიდან. აღნიშნული გარემოება საერთოდ არ არის გამოკვლეული სააპელაციო სასამართლოს

მიერ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით სამართლებრივი რეგულირება შრომითი ურთიერთობებისა ცალსახაა და ამას უკავშირდება განსხვავებული შედეგი. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება, სააპელაციო სასამართლოს არ აქვს დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებაც, თუ როდის განთავისუფლდნენ აღნიშნული პირები სამსახურიდან. აღნიშნულ გარემოებათა დაუდგენლობა შეუძლებელს ხდის სამართლებრივად გადაწყვეტის მოცემული დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო პრეტენზია დასაშვები და დასაბუთებულა. ამავე დროს შეუძლებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გაზიარება. პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი, რის შემდეგაც მოახდინოს მათი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

სს „ენერგო-პროჯორჯიას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-84-417-09 30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 21 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციის წარმომადგენელმა მოპასუხის - შპს „აგარას“ წინააღმდეგ და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოპასუხეზე 22 346 ლარისა და 65 თეთრის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2001 წლის 11 ნოემბერს, სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციის #2 ფილიალის დირექტორს ა. ჯ-მესა და შპს „აგარას“ დირექტორ ნ. ჭ-იას შორის ქ. ბათუმში დადებულ იქნა #15 ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციის მიერ წინასწარ ჩარიცხულ იქნა დასამზადებელი პროდუქციის ღირებულების 70%, ანუ 26 7646 ლარი და 65 თეთრი, ხოლო დანარჩენ თანხას -7 254 ლარს შპს „აგარას“ ჩაურთავდა პროდუქციის სრულად დამზადების შემდეგ.

შპს „აგარას“ ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2001 წლის 30 დეკემბრამდე. შპს „აგარამ“ შეასრულა მხოლოდ 4 400 ლარის სამუშაო, ხოლო 22 346 ლარისა და 65 თეთრის სამუშაო მის მიერ შესრულებული არ ყოფილა. 2004 წლის მარტში შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციიდან მიიღო შპს „აგარას“ წერილი, რომ

ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებდნენ 2004 წლის 25 აპრილამდე, მაგრამ არც ამ წერილით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციამ არაერთგზის მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, შპს „აგარა“ უარს აცხადებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციამ მოითხოვა მოპასუხისათვის 22 346 ლარისა და 65 თეთრის დაკისრება.

შპს „აგარას“ დირექტორმა შეგებებული სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციისათვის 8000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საოქმო განჩინებით არასათანადო მოსარჩელე შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანცია შეიცვალა სათანადო მოსარჩელით – შპს „საქართველოს რკინიგზით“, შესაბამისად, შეგებებული სარჩელის არასათანადო მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანცია ასევე შეიცვალა სათანადო მოპასუხით – შპს „საქართველოს რკინიგზით“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს „აგარას“ სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „საქართველოს რკინიგზა“ დავალდებულდა, მიიღოს შპს „აგარასაგან“ შესრულებული სამუშაო – დახვეული ომეგის კოჭები და გადაუხადოს 8000 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2001 წლის 11 ნოემბერს, სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციის #2 ფილიალის დირექტორ ა. ჟ-მესა და შპს „აგარას“ დირექტორს ნ. ჭ-ის შორის დადებული იქნა #15 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „აგარას“ დირექტორმა აიღო ვალდებულება დაემზადებინა მოსარჩელისათვის 30 ცალი ტრანსფორმატორი „ომეგას“ ჩტუ 32-ცვ-227-01-76-ის და 100 „ა“ კლასის იზოლაციის ემალირებული სპილენძის მათვლისაგან მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი. აღნიშნული ნაწარმის საერთო ღირებულება შეადგენდა 34 000 ლარს. ამავე ხელშეკრულების თანახმად, ელექტრომომარაგების დისტანციას ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხის 70% უნდა ჩაერიცხა წინასწარ, მასალების შესაძენად, ხოლო დარჩენილი 30% – თანხისა სამუშაოს შესრულების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლო განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებულია ნარდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების თავდაპირველი დარღვევა სწორედ „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია.

საქმეში წარმოდგენილი შპს „აგარის“ 2002 წლის 30 დეკემბრის წერილიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აღნიშნული წერილით მხარეთა შორის ხელშეკრულების შესრულების ახალი პირობები დადგინდა.

შპს აგარის 2005 წლის 25 მარტის წერილიდან გამომდინარე პალატამ ასევე დადგინილად მიიჩნია, რომ სახელშეკრულებო პირობები მენარდეს ეს არ დაურღვევია.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელმა.

კასატორის აზრით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, აგრეთვე, არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან შპს „აგარამ“ შეასრულა მხოლოდ 24 200 ლარის სამუშაო, ხოლო რკინიგზამ კონტრაქტს გადაურიცხა 26 746.55 ლარი, შესაბამისად, შპს „აგარამ“ ზედმეტად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო 2 546 ლარი.

კასატორის განმარტებით შპს „აგარამ“ შპს „საქართველოს რკინიგზას“ შეუსრულა მხოლოდ 24 200 ლარის ღირებულების სამუშაო, შპს „აგარას“ მიერ უსაფუძვლოდ მიღებული 2 546 ლარი ექვემდებარება უპირობო დაბრუნებას, როგორც ვალდებულების გარეშე მიღებული შესრულება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ გაითვალისწინა.

კასატორის განცხადებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გარდა იმისა, რომ უკანონოდ არ დააკმაყოფილა რკინიგზის მოთხოვნა მოპასუხის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული 2 546 ლარის რკინიგზისთვის დაბრუნების შესახებ, რკინიგზას მოპასუხის სასარგებლოდ დამატებით დააკისრა 8 000 ლარის გადახდა, რაც ასევე უკანონოა.

კასატორის აზრით, საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 976-ე მუხლები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებათა გამო:

2001 წლის 11 ნოემბერს სამტრედიის ელექტრომომარაგების დისტანციის #2 ფილიალის დირექტორ ა. ჯ-მეს და შპს „აგარას“ შორის დაიდო #15 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „აგარამ“ აიღო ვალდებულება მოსარჩელისათვის დაემზადებინა 30 ცალი ტრანსფორმატორი „ომეგას ჩტუ 32-ცვ-227-01-76-ის და 100 „ა“ კლასის იზოლაციის ემალირებული სპილენძის მავთულისაგან დამზადებული მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი. აღნიშნული ნაწარმის საერთო ღირებულება შეადგენდა 34000 ლარს. ამავე ხელშეკრულების თანახმად ელექტრომომარაგების დისტანციას ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხის 70% უნდა ჩაერიცხა წინასწარ, მასალების შესაძენად, ხოლო დარჩენილი 30% თანხისა სამუშაოს შესრულების შემდეგ.

დავის განხილვის მოცემულ ეტაპზე სადავო არ არის მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულება, მაგრამ რამდენად მოხდა მათ მიერ ამ ვალდებულებათა ჯეროვნად და სრულად შესრულება სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული არ არის. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შპს „აგარას“ ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად, მის მოწინააღმდეგე მხარეს კი არა. სასამართლო ასეთი დასკვნის გაკეთებისას ეყრდნობა შპს „აგარის“ გენერალური დირექტორის წერილს შპს „საქკინიგზის“ გენერალური დირექტორისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ მათ დაამზადეს სულ 33 ცალი გადახვეული ომეგის კოჭები და 50 ცალი კოჭის პირველადი ხვია. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ მითითებული მტკიცებულებები არ არის შეფასებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

აღნიშნული დოკუმენტი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩაითვლებოდა ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შპს „აგარა“ შეასრულებდა იმ ოდენობისა, ხარისხისა და, შესაბამისად, ღირებულების პროდუქტს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. აღნიშნული დასკვნის გაკეთება კი შესაძლებელია ამ ორი მტკიცებულების შეჯერებითა და შეფასებით. მოცემულ წერილში და ხელშეკრულებაში შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობა განსხვავებულია. აღნიშნული ფაქტორის სწორად განსაზღვრაზე კი დამოკიდებულია სასამართლოს მიერ დავის განხილვის შედეგიც. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით შეუძლებელია სასამართლომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების საკითხი და ამასთან მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო ნორმათა დარღვევით, აღნიშნულ დარღვევასთან კი უშუალოდ დაკავშირებულია სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების შედეგი. აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ამ მიმართულებით იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს შპს „აგარას“ მიერ შესრულებული სამუშაოთა მოცულობა და მისი ღირებულება. შესაბამისად, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შესრულებული ვალდებულების მოცულობა და ამ ფაქტობრივი გარემოებათა შეფასებით განისაზღვროს მხარეთა შორის შეუსრულებელ ვალდებულებათა მოცულობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1173-1318-08

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 24 დეკემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. მ-შვილმა მოპასუხეების: რ. ფ-შვილის, ნოტარიუს ვ. ჭ-შვილისა და ნოტარიუს ე. შ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, დიდ დილოში, ... ქ. #9-ში მდებარე #13 ბინაზე 2003 წლის 22 თებერვალს ა. გ-ძესა და რ. ფ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ა. გ-ძე იყო გ. მ-შვილის და, რომელიც გარდაიცვალა 2003 წლის 18 ნოემბერს. ამ უკანასკნელს საკუთრებაში გააჩნდა თბილისში, დიდ დილოში, ...ქ. #9-ში მდებარე #13 ბინა, რომელიც მის სახელზე იყო პრივატიზებული 1994 წლიდან.

მოსარჩელის განმარტებით, ა. გ-ძე წლების განმავლობაში დაავადებული იყო გულის იშემიითა და ნერვული სიმპტომებით, რის გამოც პერიოდულად მკურნალობდა ნევროლოგიის კვლევიტ ცენტრში. საკითხი იდგა მისი შერაცხადობის დადგენაზე, თუმცა უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა სპეციალური სამკურნალო კურსის ჩატარება. ავადმყოფს უვლიდნენ მოსარჩელე და დისშვილი.

2003 წლის 22 თებერვალს ა. გ-ძესა და მის მახლს -რ. ფ-შვილს შორის დაიდო ზემომითი-თებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანი შეფასდა 2000 ლარად.

მოსარჩელის მტკიცებით, თავად ა. გ-ძე განმარტავდა, რომ მას სახლი არავისზე არ გაუსხვი-სებია და არც თანხა აუღია, სადავო გარიგება დადებული იყო მოტყუებით რ. ფ-შვილისა და ნოტარიუს ე. შ-შვილის მიერ. ავადმყოფობის გამო ა. გ-ძე ვერ გააცნობიერებდა იმ დოკუმენტების მნიშვნელობას, რომლებსაც ხელს აწერდა. რ. ფ-შვილის მიერ საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე ხელშეშლის მიზნით, ა. გ-ძის მოთხოვნის საფუძველზე, მისივე სიცოცხლეში მოხდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ ნასყიდობის საგანზე ყადაღის დადება.

მოსარჩელემ სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესის დასადასტურებლად მიუთითა ა. გ-ძის მიერ 2001 წლის 2 დეკემბერს შედგენილ ანდერძზე, რომლითაც სადავო ბინა მას გადაეცა. ამასთან, სასარჩელო განცხადებას თან ერთვოდა 2003 წლის 8 აგვისტოს რწმუნებულება, რომლითაც ა. გ-ძემ გ. მ-შვილს მიანიჭა მისი სახელით სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება. რწმუნებულება გაცემული იყო განუსაზღვრელი ვადით, გაუქმებამდე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2003 წლის 22 თებერვალს ა. გ-ძესა და რ. ფ-შვილს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება;

ა. გ-ძე გარდაიცვალა 2003 წლის 18 ნოემბერს;

მანამდე, ა. გ-ძის სიცოცხლეში გ. მ-შვილმა, როგორც ა. გ-ძის წარმომადგენელმა, განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ა. გ-ძის მიერ სარჩელი არ აღძრულა.

სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთ მოტივად რაიონულმა სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია ა. გ-ძის ქმედუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარონად აღიარების დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილება ან კომპეტენტური სამედიცინო ექსპერტიზის დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა ა. გ-ძის ისეთ მდგომარეობას, რომ მას ხელშეკრულების დადებისას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედება და ეხელმძღვანელა მასზე. აქვე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის შუამდგომლობა აწ გარდაცვლილი ა. გ-ძის ქმედუნარიანობის საკითხზე მოწმეთა დაკითხვის შესახებ, ვინაიდან მსგავსი ფაქტები უნდა დადასტურებულიყო წერილობითი მტკიცებულებებით.

რაიონულმა სასამართლომ გ. მ-შვილის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა დაასაბუთა ნოტარიუს ე. შ-შვილის განმარტებითაც, რომლის თანახმად, ხელშეკრულების გაფორმებისა და ხელმოწერის დროს ა. გ-ძემ გამოავლინა თავისუფალი ნება და ნების თავისუფალ გამოვლინებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა.

გარდა ამისა, რაიონული სასამართლოს მითითებით, გ. მ-შვილის მიერ გაცემული პასუხებიდან დგინდებოდა, რომ ჯერ კიდევ ა. გ-ძის სიცოცხლეში, მან, დისგან და რ. ფ-შვილისაგან იცოდა სადავო ხელშეკრულების შესახებ. იგი ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ ა. გ-ძესთან ერთად იმყოფებოდა ე. შ-შვილის სანოტარო ბიუროში, სადაც რესტრის ჟურნალში ა. გ-ძემ ამოიწერა თავისი ხელმოწერა, რის შემდეგაც გ. მ-შვილმა მიუთითა, გაჩერებულიყო. აღნიშნული მიანიშნებდა ა. გ-ძის ქმედუნარიანობაზე მისი სიცოცხლის ბოლო თვეებშიც.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ ა. გ-ძემ და გ. მ-შვილმა იცოდნენ ხელშეკრულების არსებობა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის შემდეგ ა. გ-ძის სიცოცხლეში სარჩელი არ აღძრულა, იმაზე მიანიშნებდა, რომ ა. გ-ძე თავს მოტყუებულად არ მიიჩნევდა.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ნოტარიუს ვ. ჭ-შვილის მიმართ, რამდენადაც მხარემ სარჩელის საგანსა და ნოტარიუს ვ. ჭ-შვილის ქმედებას შორის კავშირის არსებობაზე ვერ მიუთითა და მისი არსებობა ვერ დაამტკიცა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მეზვრიშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების ბათილად ცნობა.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ა. გ-ძის ქმედუნარობის დასადასტურებლად აპელანტმა მიუთითა სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის" 15.05.2003წ. და 18.06.2003წ. ცნობებზე. აპელანტის აზრით, აღნიშნულ გარემოებას ასევე ცხადყოფდა თავად ნასყიდობის ხელშეკრულება. მისი შინაარსის გაცნობისას სრულიად ნათელი იყო, რომ ბინის გამსხვისებელს წარმოადგენდა ა. გ-ძე, თუმცა ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო "მ-ძის" გვარით. ცდომილება იყო ნოტარიუსთან არსებულ სარეგისტრაციო ჟურნალში, ამ შემთხვევაშიც ხელმოწერა შესრულებული იყო "მ-ძის" გვარით, ხოლო სახელი საერთოდ არ იყო მითითებული. აქედან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევდა, რომ პიროვნება, რომელსაც საკუთარი გვარი ეწოდებოდა, სწორი განსჯის შესაძლებლობას აშკარად მოკლებული იქნებოდა.

აპელანტის მოსაზრებით, ზემოთქმული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ნოტარიუსი ვალდებული იყო, ეჭვი შეეტანა ა. გ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობაში, მით უფრო, როდესაც ამ უკანასკნელს საუბარი უჭირდა და ავადმყოფობა გარეგნული მონაცემებითაც შეემჩნეოდა.

აპელანტმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ა. გ-ძე თავს მოტყუებულად არ თვლიდა. ის ფაქტი, რომ იგი ნოტარიუსთან მივიდა, ხელმოწერა დაათვალიერა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება თავის დას მიანიჭა, რომლის მეშვეობითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ სასამართლოში განცხადება შეიტანა, სწორედ იმაზე მეტყველებდა, რომ ა. გ-ძე თავს მოტყუებულად მიიჩნევდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ რ. ფ-შვილს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზერული თანხა (2000 ლარი) არ გადაუხდია. ნასყიდობის რეალურად არსებობის შემთხვევაში აპელანტისათვის გაუგებარი იყო, რატომ არ გადაიხადა რ. ფ-შვილმა თანხა ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების მე-3 მუხლი ცალსახად მიუთითებდა, რომ მყიდველი ვალდებული იყო, გამყიდველისათვის ნასყიდობის ფასი სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2005 წლის 28 ივნისის განჩინებით მოცემულ დავაზე დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელსაც ეთხოვა პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებზე: ა) ა. გ-მეს თავისი ავადმყოფობის გათვალისწინებით, ასევე ავადმყოფობასთან დაკავშირებით ძლიერი პრეპარატების გამოყენების ფონზე, 2003 წლის 22 თებერვლისათვის, ანუ ა. გ-მესა და რ. ფ-შვილს შორის უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის შეეძლო თუ არა რეალური ვითარების სწორად აღქმა; ბ) როგორი იყო ა. გ-მის ფსიქიკური მდგომარეობა მის მიერ ხელმოწერის შესრულებისას "მ-მის" გვართით (როცა იგი თავის გვარს აკლებს პირველ მარცვალ გა-ს) და შეეძლო თუ არა მას თავისი მოქმედების სწორად აღქმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27.07.2005წ. დასკვნის თანახმად, დასმულ კითხვაზე პასუხი მოითხოვდა სასამართლო სხდომაზე საექსპერტო კომისიის წევრების თანდასწრებით ა. გ-მის მკურნალი ექიმის ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან და ნევროლოგიის ინსტიტუტიდან, ნოტარიუსების, ე. შ-შვილისა და ვ. ჭ-შვილის, აგრეთვე, იმ პირების დაკითხვას, რომლებსაც შეეძლოთ ინფორმაციის მიცემა მისი ფსიკური მდგომარეობის შესახებ ხელშეკრულების დადების პერიოდში.

მას შემდგომ, რაც სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 23 იანვრის სხდომაზე დაიკითხნენ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული პირები, სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 23 იანვრის განჩინებით მიზანშეწონილად მიიჩნია ამავე სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის განჩინებით სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გადასაწყვეტად დადგენილი საკითხების ხელახლა გაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 5 აპრილის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ საქმეში ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების, აგრეთვე, არასრულყოფილი სამედიცინო დოკუმენტაციის არსებობის გამო ა. გ-მის მიერ 2003 წლის 22 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის "შეეძლო თუ არა მას რეალური ვითარების სწორად აღქმა" დადგენა შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის სხდომაზე გ. მ-შვილმა (წარმომადგენელი თ. ლ-ძე) განაცხადა, რომ, რამდენადაც ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ვერ იძლეოდა დასკვნას სადავო საკითხთან დაკავშირებით, იგი განმეორებით შუამდგომლობდა ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაზე, ამასთან, მოითხოვდა, სასამართლოს განჩინებაში დასმული საკითხის გადაწყვეტა დავალებოდა ალტერნატიულ საექსპერტო დაწესებულებას -მ. ა-ანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის განჩინებით გ. მ-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე დაინიშნა ალტერნატიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მისი ჩატარება დაევალი მ. ა-ანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტს. ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები შემდეგნაირად განისაზღვრა: ა) ა. გ-მეს თავისი ავადმყოფობის გათვალისწინებით, ასევე ავადმყოფობასთან დაკავშირებით ძლიერი პრეპარატების გამოყენების ფონზე, 2003 წლის 22 თებერვლისათვის, ანუ ა. გ-მესა და რ. ფ-შვილს შორის უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის, შეეძლო თუ არა რეალური ვითარების სწორად აღქმა; ბ) როგორი იყო ა. გ-მის ფსიქიკური მდგომარეობა მის მიერ ხელმოწერის შესრულებისას "მ-მის" გვართით (როცა იგი თავის გვარს აკლებს პირველ მარცვალს "გა") და შეეძლო თუ არა მას თავისი მოქმედების სწორად აღქმა.

იმ მიზეზით, რომ მ. ა-ანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში საექსპერტო კვლევების ჩატარება შეჩერებული იყო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის განჩინება ვერ შესრულდა და საქმე, 2007 წლის 14 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნდა შეუსრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით საქმეზე განმეორებით დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ამჯერად, ექსპერტიზის ჩატარება დაევალი არასაექსპერტო დაწესებულებას, შპს "ფსიქო-დიაგნოსტიკის და ფსიქო-კორექციის ცენტრს", ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები უცვლელი დარჩა.

ფსიქო-დიაგნოსტიკისა და ფსიქო-კორექციის ცენტრის 2008 წლის 20 მაისის დასკვნაში მითითებულია, რომ საქმის მასალებში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები არასრული და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია. 2006 წლის 6 დეკემბერს სასამართლო პროცესზე გამოძახებულ იყვნენ ექიმი-სპეციალისტები, მაგრამ ექსპერტ-ფსიქიატრის ვ. ჟ-ანის მიერ, სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, არ დასმულა სპეციფიური შინაარსის კითხვები. ამის გამო ვერ აღმოიფხვრა ის წინააღმდეგობრივი ინფორმაცია, რაც არსებობდა სამედიცინო დოკუმენტაციაში. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად აუცილებელი იყო ექიმ-სპეციალისტის, ფსიქიატრის -ი. ლ-ანის

დაკითხვა სასამართლო პროცესზე კომისიის წევრ ექსპერტ-ფსიქიატრების მიერ, რის შემდეგაც შემადგენელი იქნებოდა საექსპერტო საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე ექიმ-სპეციალისტ ი. ლ-ანის მიერ განმარტებების მიცემის შემდგომ საოქმო განჩინებით დადგინდა საქმეზე დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა ამავე სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით დანიშნული განმეორებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისთვის დასმული საკითხების გადასაწყვეტად.

ფსიქო-დიაგნოსტიკისა და ფსიქო-კორექციის 2008 წლის 8 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, 2003 წლის 22 თებერვლისათვის ა. გ-მეს ფსიქიკური აშლილობის შედეგად არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მნიშვნელობა და გაეკონტროლებინა იგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისში, დიდ დილოში, ... ქ. #9-ში მდებარე #13 ბინაზე 2003 წლის 22 თებერვალს ა. გ-მესა და რ. ფ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-შვილი არის აწ გარდაცვლილი ა. გ-მის და, მეორე რიგის მემკვიდრე (დაინტერესებული პირი), რომელსაც დავის საგნისადმი აქვს ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი, როგორც სამკვიდრო ქონება, შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ აღიარებული.

საქმეში არსებული 2008 წლის 8 ოქტომბრის განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ა. გ-მის ნების გამოვლენა სადავო ხელშეკრულების დადების დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი, რადგან მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სადავო ხელშეკრულების დადებისას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედება და ეხელმძღვანელა მასზე. აღნიშნული დასკვნის თანახმად, ა. გ-მის ნების გამოვლენა არ შეესაბამებოდა რეალური ვითარების სწორად აღქმას, რაც ვლინდებოდა მის ფსიქიკაში გამოხატული ცვლილებებით, მათ შორის, მეხსიერების მკვეთრი დაქვეითებით; ადგილში, დროში, გარემოში დეზორიენტაციით; მის გარემოში შექმნილი სიტუაციის მიმართ საკუთარი მდგომარეობის უკრიტიკოობით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ გარემოებებზე მითითებით, როგორც იყო ნოტარიუს ე. შ-შვილის ახსნა-განმარტება, რომელმაც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველის ხელმოწერა არ მიიჩნია საეჭვოდ და ჩათვალა იგი ქმედუწარიანად; გ. მ-შვილმა სარჩელი არ აღძრა ა. გ-მის სიცოცხლეში, რადგან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან, 2003 წლის 22 თებერვლიდან, ა. გ-მეს, მის გარდაცვალებამდე, 2003 წლის 18 ნოემბრამდე, 9 თვის განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია მითითებული ხელშეკრულება იმის გამო, რომ ა. გ-მე თავს მოტყუებულად არ მიიჩნევდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება 2003 წლის 22 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის გამო, იმ მოტივით, რომ აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე. შესაბამისად, გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ფ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის აზრით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას ცხადყოფს ის გარემოება, რომ უგულებელყოფილია საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები, სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებიდან. საქმის რეალური ვითარება შემდეგში მდგომარეობს:

2003 წლის 22 თებერვალს რ. ფ-შვილსა და ა. გ-ძეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ, თბილისში, დიდ დილოში, ... ქ. #9-ში მდებარე #13 ბინაზე. რ. ფ-შვილმა ნასყიდობის საფუძველზე ა. გ-ძეს გადასცა ბინის საფასური - 5 000 აშშ დოლარი, რაც იმ დროისათვის წარმოადგენდა ბინის რეალურ ფასს. ხელშეკრულების დადების მომენტში არც მას და არც ნოტარიუს ე. შ-შვილს ეჭვია არ შეუტანიათ ა. გ-ძის გონებრივ თუ ფსიქიკურ შესაძლებლობებში. უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის შემდეგ (2003 წლის 8 აგვისტოს), იმ დროს, როდესაც ექიმ ი. ლ-ანისა და ექსპერტ თ. ხ-ვას ვარაუდიდან გამომდინარე ა. გ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებული უნდა ყოფილიყო, ამ უკანასკნელმა ნოტარიუს ვ. ჯ-შვილთან რწმუნებულება შეადგინა დის -გ. მ-შვილის სახელზე. მითითებულ სანოტარო აქტში (რეგისტრაციის ნომერი 1-918) პირდაპირაა აღნიშნული, რომ ნოტარიუსმა შეამოწმა ა. გ-ძის ქმედუნარიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხარის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. იმის გამო, რომ ა. გ-ძე ინსულტის გამო ვერ მეტყველებდა, სანოტარო აქტის დამოწმებას ესწრებოდა ორი მოწმე.

კასატორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ა. გ-ძის სიცოცხლეში მის დას (მოსარჩელეს) არ მოუთხოვია სათანადო ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარება ა. გ-ძის ქმედუნარიანობის დასადგენად. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა გ. მ-შვილმა სწორედ იმის გამო ვერ განახორციელა, რომ ა. გ-ძე აღნიშნულზე არ დათანხმდებოდა.

კასატორისათვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა წარედგინა მას სადავო ხელშეკრულების დადებისას ა. გ-ძის ქმედუნარიანობის დამადასტურებელი მტკიცებულება, მაშინ, როდესაც სანოტარო აქტის შემდგენი ორი ნოტარიუსი, მის შედგენაზე დამსწრე ორი მოწმე და თვით გ. მ-შვილიც, ნებით თუ უნებლიედ ადასტურებდნენ, რომ ა. გ-ძე საკუთარ ნებას გამოხატავდა.

კასატორის მოსაზრებით, საგულისხმოა საქმეში არსებული ნოტარიუს ე. შ-შვილის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მის სანოტარო ბიუროში მისულმა ა. გ-ძემ ამოიციწო თავისი ხელმოწერა, რის გამოც გ. მ-შვილმა მიუთითა, გაჩერებულიყო. მოცემული ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ა. გ-ძეს ახსოვდა საკუთარი მოქმედება და ნოტარიუსთან ნასყიდობის ხელშეკრულების თარიღის გარკვევის დროს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. მეტიც, ხელშეკრულების მოტყუებით ან იძულებით დადების შესახებ არ აღუნიშნია არც იქვე მყოფ გ. მ-შვილს. მისი მხრიდან ამგვარი პრეტენზია გაცხადდა მხოლოდ ა. გ-ძის გარდაცვალების შემდეგ.

კასატორის განმარტებით, ა. გ-ძეს ზეპირი შეთანხმების საფუძველზე სიცოცხლის ბოლომდე შეეძლო ეცხოვრა სადავო ბინაში. ამასთან, რ. ფ-შვილი და მისი მეუღლე საჭიროების მიხედვით იზრუნებდნენ მასზე. ბინის გასხვისებამდე რამდენიმე თვით ადრე ა. გ-ძემ კონფლიქტის გამო დასა და დისშვილს მითითებული ბინა დაატოვებინა. აღნიშნული ფაქტის შესახებ რ. ფ-შვილისათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი რძალი ა. გ-ძე დაუკავშირდა, მოუყვა მოსარჩელესთან თავისი გაუსაძლისი მდგომარეობის თაობაზე და შესთავაზა ბინის ყიდვა. კასატორი შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა, რადგან არის სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირი, არ ჰქონდა ბინა და ეძებდა ოჯახისათვის საცხოვრებელ სახლს მისაღებ ფასებში. ა. გ-ძეს ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენისას არანაირი მატერიალური ზიანი მიდგომია, ვინაიდან რ. ფ-შვილმა მას გადაუხადა ბინის რეალური საბაზრო ღირებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სადავოა აწ გარდაცვლილი ა. გ-ძის მიერ 2003 წლის 22 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ნების ნამდვილობის საკითხი.

სააპელაციო სასამართლო სადავო საკითხის გადაწყვეტისას მთლიანად დაეყრდნო არასაექსპერტო დაწესებულება "ფსიქო-დიაგნოსტიკის და ფსიქო-კორექციის ცენტრის" სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმად, 2003 წლის 22 თებერვლისთვის ფსიქიკური აშლილობის შედეგად ა. გ-ძეს არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მნიშვნელობა ან გაეკონტროლებინა იგი. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის აღნიშნულ დასკვნასთან ერთობლიობაში არ შეაფასა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები და ამის გათვალისწინებით არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, არ იმსჯელა, თუ რატომ არ გაიზიარა დანარჩენი მტკიცებულებები და რატომ მიანიჭა უპირატესობა მხოლოდ ექსპერტიზის ზემოაღნიშნულ დასკვნას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის შეფასება, მიუხედავად მისი შინაარსისა, ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის ზემოაღნიშნულ დასკვნასთან ერთობლიობაში არ გამოიკვლია საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, კერძოდ, სადავო ხელშეკრულების დადების შემდგომ ა. გ-ძის მიერ გ. მ-შვილის სახელზე 2003 წლის 8 აგვისტოს გაცემული მინდობილობა, რომლის შედეგისას ა. გ-ძის ნების გამოვლენის ნამდვილობა საეჭვო არ გამხდარა. ამასთან, საქმის მასალებით, აღნიშნული დროისათვის ა. გ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო საკმაოდ მძიმე, კერძოდ, ინსულტის გამო იგი ვეღარ მეტყველებდა, ამიტომ სანოტარო აქტი შედგა მოწმეთა თანდასწრებით. საქმეში ასევე წარმოდგენილია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს განჩინება, რომლითაც ა. გ-ძის (წარმომადგენელი გ. მ-შვილი) სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე, სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო თბილისში, დიდ დილოში, ... ქ. #9-ში მდებარე ქონებას, თუმცა სარჩელი არ აღძრულა.

საქმეში ასევე არსებობს ნოტარიუს ე. შ-შვილის ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მასთან მისულმა ა. გ-ძემ სანოტარო რეესტრში ამოიცნო თავისი ხელმოწერა, რაზეც დამ-გ. მ-შვილმა მიუთითა, გაჩერებულიყო. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია მოცემულ საქმეზე თავდაპირველად ჩატარებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27.07.2005წ. ექსპერტიზის დასკვნა და 2006 წლის 5 აპრილის დასკვნა, რომელთა თანახმად, ა. გ-ძის მიერ 2003 წლის 22 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების კონკრეტულ მომენტში რეალური ვითარების სწორად აღქმის დადგენა შეუძლებლად იქნა მიჩნეული შესაბამისი დასაბუთებით. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევია საქმეში არსებული სხვა მასალები, მათ შორის, ა. გ-ძის სამედიცინო დოკუმენტაცია, თვით ექიმი-სპეციალისტების მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებები, კონკრეტულ რიცხვში -სადავო ხელშეკრულების დადების დღეს ა. გ-ძის ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხის სარწმუნოდ გასარკვევად.

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული საქმის მასალები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუკი სადავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ა. გ-ძის მიერ, გაუარესებული ჯანმრთელობის მიუხედავად, განხორციელებულია იურიდიული მოქმედებები ქმედუნარიანობის პირობებში, რამდენად არსებობს საფუძველი, რომ ხელშეკრულების დადებისას მისი ნების გამოვლენა არ ყოფილიყო ნამდვილი და არის თუ არა ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-294-616-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შუახვევის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. დ-მემ, მოპასუხედ შუახვევის სატყეო მეურნეობა დაასახელა და განმარტა: 1993 წლიდან მუშაობდა შუახვევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობაში. 2005 წლის 18 ივნისიდან 22 სექტემბრამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. 2005 წლის აგვისტოში განხორციელდა აგროსატყეო მეურნეობის გაერთიანება, სახელმწიფო სატყეო მეურნეობასთან, რის შესახებაც იგი კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არ ყოფილა, სატყეო მეურნეობის დირექციამ კი სამსახურში დაბრუნებაზე უარი უთხრა. გამომდინარე აღნიშნულიდან, მოსარჩელემ მისი მუშაობის პერიოდში -1998-2005 წლებში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება და სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა.

შუახვევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით პირველი ინსტანციის მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის შუახვევის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნდა.

შუახვევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ხოლო ამავე სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის განჩინებით საქმეში ასევე მესამე პირად ჩაბმულ იქნა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -ნ. დ-მეს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, მესამე პირს -აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკისრა კომპენსაციის სახით 120 ლარის და ერთი თვის ხელფასის 60 ლარის ანაზღაურება, მისი სამსახურის ლიკვიდაციის გამო შესაძლო გათავისუფლების შესახებ გაუფრთხილებლობის გამო; ნ. დ-მის სარჩელი 1998-2002 წლების პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა -მესამე პირს აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკისრა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 1580 ლარისა და 275 ლარის ოდენობით, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა ნ. დ-მის შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნის გამო, 2005 წლის 18 ივლისიდან 22 სექტემბრამდე პერიოდისათვის, შრომისუუნარობის ფურცელთა წარდგენა შესაბამისი დოკუმენტაციით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუახვევის რაიონულ განყოფილებაში.

შუახვევის რაიონული სასამართლოს, 2007 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაციის -120 ლარის და ერთი თვის ხელფასის -60 ლარის გადახდა, 1998-2005 წლებში მიუღებელი ხელფასის 1580 ლარისა და 275 ლარის დაკისრება და შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნის გამო 2005 წლის 18 ივნისიდან 22 სექტემბრამდე პერიოდისათვის შრომისუუნარობის ფურცელთა წარდგენა შესაბამისი დოკუმენტაციით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუახვევის რაიონულ განყოფილებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა) გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -სატყეო მეურნეობის მართვის შუახვევის რაიონულ განყოფილებას ნ. დ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1507 ლარის გადახდა.

საპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე მუშაობდა შუახვევის აგროსატყეო მეურნეობაში.

საქმეში არსებობს აჭარის ა/რ მთავრობის #24 განკარგულება 2005 წლის 5 ივლისისა –ყოფილი საკომუნიკაციო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყის ფონდის მიწების აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

განკარგულების მე-4 პუნქტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებში არსებული შუახევის აგროსატყეო მეურნეობის ლიკვიდაცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება დაევალა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს“.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა და მესამე პირთა წარმომადგენლებმა დაადასტურეს და სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საკომუნიკაციო ტყეები, რომლის მართვა-გამგეობასაც ახორციელებდა შუახევის აგროსატყეო მეურნეობა აჭარის ა/რ სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას გადაეცა.

დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ საწარმო, სადაც ნ. დ-მე მუშაობდა, ანუ შუახევის აგროსატყეო მეურნეობა, ფაქტობრივად კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით შექმნილ საწარმოს წარმოადგენდა, მაგრამ არ იყო რეგისტრირებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნთა შესაბამისად.

პალატის განმარტებით, მართალია, საქმეში წარმოდგენილი აჭარის ა/რ მთავრობის 205 წლის 5 ივლისის განკარგულების თანახმად უნდა მომხდარიყო შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის ლიკვიდაცია, მაგრამ როგორც ირკვევა, ფაქტობრივად მოხდა არა ლიკვიდაცია, არამედ, რეორგანიზაცია საწარმოსი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მოუწესრიგებელი საწარმოს საქმიანობა სამართლებრივ რეჟიმში მოიქცა. იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ იმ საწარმოს უფლება-მოვალეობები სადაც მოსარჩელე მუშაობდა, (საკომუნიკაციო ტყეების მართვა-გამგეობა), მთლიანად გადაეცა მოპასუხე ორგანიზაციას, აჭარის ა/რ სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას, პალატა მიიჩნევს, რომ არანაირ ლიკვიდაციას არ მომხდარა, არამედ მოხდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის ქონება სამართავად გადაეცა შუახევის სატყეო მეურნეობას.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მაშინ როცა იგი მუშაობდა მოსარჩელესთან ერთად შუახევის აგროსატყეო მეურნეობაში 1998 წელს, რამდენადაც ახსოვს, დ-მის ხელფასი დაახლოებით 20 ლარს შეადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ დადგინდა ჩათვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დ-მის ხელფასი ხელზე ასაღებ 23 ლარს შეადგენდა. საკითხზე აქვს თუ არა მიუღებელი მოსარჩელეს 1998-2005 წლების ხელფასი, მოპასუხემ განმარტა, რომ მათი ორგანიზაცია ამ დავაში არ არის სათანადო მხარე, ამდენად მას არც იმ მტკიცებულებების წარმოდგენა შეუძლია სასამართლოში, რომელიც აღნიშნულ გარემოებას უარყოფს, ხოლო რაკი მოსარჩელემ ვერ შეძლო ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

პალატის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, მოსარჩელეს მიღებული აქვს თუ არა განვლილი წლების ნამუშევარი კუთვნილი ხელფასი –აწევს მოპასუხე მხარეს. რადგან ამის დამადასტურებელ კანონშესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა, (კონკრეტულად კი სახელფასო უწყისებისა რომლითაც უტყუარად დასტურდება მართლაც აღებული აქვს თუ არა მოსარჩელეს კუთვნილი გასარმჯელო), სწორედ ორგანიზაციის წარმოსადგენია, ანუ მისი მტკიცების ტვირთია.

რაც შეეხება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლით გათვალისწინებულ გათავისუფლებული მუშაკის კომპენსაციებსა და შეღავათებს, პალატის განმარტებით, მოსარჩელის ეს მოთხოვნა უკანონოა, რადგან მისი სამუშაოდან დათხოვნის დროისათვის 2005 წლის 18 ივნისისათვის –აღნიშნული ნორმა შრომის კანონთა კოდექსისა აღარ მოქმედებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებამ.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ სათანადო მოპასუხეობის საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სწორად იქნა შერჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოს ტერიტორიული ორგანო –სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების სახით, რადგან საკომუნიკაციო ტყეები, რომლის მართვა-გამგეობასაც ახორციელებდა შუახევის აგროსატყეო მეურნეობა აჭარის ა/რ სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას გადაეცა. აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ, კასატორის წარმომადგენელი განმარტავს, რომ „აგროსატყეო მეურნეობა“, წარმოადგენდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის –შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების –სახით არსებულ იურიდიულ პირს 100%-იანი წილის სახელმწიფო საკუთრებით. მისი განმარტებით, „საქართველოს ტყის კოდექსის“ 115-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, საქართველოს პრეზიდენტის 2000

წლის 12 სექტემბრის #404 ბრძანებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის #24 განკარგულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გამგებლობაში გადმოეცა მხოლოდ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე არსებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები და საბჭოთა მეურნეობის ტყის ფონდის მიწები. ქონება აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს არ გადმოეცა.

კასატორის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მოცემული მსჯელობით შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ სახელმწიფო ქონების გამგებლობის განმახორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, მითითებული ქონების ნორმატიული აქტით სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის გამგებლობაში გადაცემა წარმოშობს და ითვალისწინებს ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის ვალდებულებების შესრულებას. კასატორის წარმომადგენელს მოცემული მსჯელობა ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულად მიაჩნია და შესაბამისად მითითებული საფუძვლით სატყეო რესურსების მართვის განყოფილების დავალდებულებას და თანხის დაკისრებასაც უკანონოდ მიიჩნევს.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული თუ რომელი სამართლებრივი და საქმეში არსებული მტკიცებულების საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ განხორციელდა აგროსატყეო მეურნეობის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია.

კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ფაქტობრივად მოხდა შპს "შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის" არა ლიკვიდაცია, არამედ რეორგანიზაცია, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მოუწესრიგებელი საწარმოს საქმიანობა სამართლებრივ რეჟიმში მოიქცა, რომლის შედეგადაც შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის ქონება სამართავად გადაეცა სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას, შესაბამისად მოსარჩელის მიერ სწორად შეირჩა მოპასუხე მხარე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის #24 განკარგულება, რომლის თანახმად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებში არსებული შუახევის აგროსატყეო მეურნეობის ლიკვიდაცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება დაევალია აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს“, შესაბამისად, გაურკვეველია სააპელაციო სასამართლო რომელი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოხდა შპს "შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის" არა ლიკვიდაცია, არამედ -რეორგანიზაცია. საქმიდან არ ირკვევა გატარდა, თუ არა რაიმე სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიება და, აგრეთვე, გაფორმდა თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის #24 განკარგულების 1-ლი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტი.

ამასთან საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, არასწორად მიიჩნია კასატორი -შპს "შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის" სამართალმემკვიდრედ და მოპასუხე მხარედ.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე არ არის სრულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა განიხილოს სასამართლომ.

საქარველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი -დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობის მქონეა ის გარემოება, მოხდა თუ არა ლიკვიდაცია; მხოლოდ ამ გარემოების დადგენის შემდეგ უნდა მომხდარიყო სარჩელის დაკმაყოფილება ან არდაკმაყოფილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარეთა სათანადობის საკითხი, ასევე გამოიკვლიოს უზრუნველყო თუ არა აჭარის ა/რ ფი-

ნანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის #24 განკარგულებით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-356-675-09

13 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 დეკემბერს თელავის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ა-შვილმა მოპასუხეების -თ. ა-შვილისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა მამის -ო. ა-შვილის დანაშთი ქონების -თელავში, ... ქ. #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/4 წილის 1/2-ზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, აგრეთვე, მოპასუხე თ. ა-შვილისათვის აღნიშნული ქონებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვა.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ მოდავე მხარეები არიან დედამამიშვილები. მათი მამა ო. ა-შვილი გარდაიცვალა 1989 წელს, ხოლო დედა -1985 წელს. თელავში, ... ქ. #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ირიცხება ო. ა-შვილისა და თ. ა-შვილის სახელზე წილთა 2/4-2/4 თანაფარდობით.

მოსარჩელის მითითებით, მართალია, ცხოვრობს თბილისში, მაგრამ მეუღლესთან და შვილებთან ერთად ხშირად ჩადიოდა მამისეულ სახლში, სადაც გააჩნია კუთვნილი ოთახი და ნივთები. აქედან გამომდინარე, იგი, როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, დაუფლებულია მამის დანაშთი ქონებას. 2007 წლის ზაფხულში მასა და თ. ა-შვილს შორის წარმოიშვა უთანხმოება, კერძოდ, მამამ აუკრძალა ქონებით სარგებლობა. რამდენადაც კანონით გარდაცვლილი მამკვიდრებლის შვილები თანაბარი წილის უფლებით სარგებლობენ, მ. ა-შვილის მოსაზრებით, მისი სარჩელი დასაკმაყოფილებელია. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1307-ე, 1336-ე და 1421-ე მუხლებზე.

მოპასუხე თ. ა-შვილმა სარჩელი არ ცნო და წარდგინებულ შესაგებელში განმარტა, რომ ჯერ კიდევ ო. ა-შვილის სიცოცხლეში თელავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1977 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით მას ნება დაერთო, მამის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე დაემატებინა ოთახები და მიეშენებინა დამხმარე სათავსები. აღნიშნულის შედეგად საცხოვრებელი ბინა თანაბარწილად აღირიცხა ო. ა-შვილისა და მის სახელზე. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი მთლიანად დაეუფლა როგორც კუთვნილ ფართს, ისე -მამის სამკვიდროს.

მოპასუხის განმარტებით, მ. ა-შვილს მშობლების სამკვიდროდან მემკვიდრეობა არ მიუღია კანონით დადგენილი წესით. იგი მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ჩადიოდა სტუმრად. მის

სახელზე მშობლებს არც ანდერძი შეუდგენიათ. აქედან გამომდინარე, არსებული ვითარება არ იმ-
ლეოდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღებულად მიჩნევის საფუძველს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის
სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელე ცნობილ იქნა მამის -ო. ა-შვილის დანაშთი ქონების -თე-
ლავეში, ... ქ. #9-ში მდებარე მთელი სახლის 2/4 წილის 1/2 ნაწილის მემკვიდრედ და მესა-
კუთრედ; თ. ა-შვილს აკრძალა მოსარჩელის მიმართ ზემომითითებული ქონებით სარგებლობის
ხელშეშლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-შვილმა, რომელმაც მოითხოვა
გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილე-
ბაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გან-
ჩინებით თ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თელავის რაი-
ონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე ხელახლა განსახილვე-
ლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის
სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ მ. ა-შვილისა და თ. ა-შვილის
მამა ო. ა-შვილი გარდაიცვალა 1989 წლის 7 სექტემბერს; მამის გარდაცვალებამდე და გარდაცვა-
ლების შემდეგაც თ. ა-შვილი ცხოვრობდა თელავში, ... ქ. #9-ში მდებარე სახლში; მ. ა-შვი-
ლი მამის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრობდა და ცხოვრობს თბილისში, იგი
პერიოდულად სტუმრად ჩადიოდა თელავში.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მამის დაკ-
რძალვაზე ყოფნა და დროდადრო სტუმრად ჩასვლა ნიშნავს სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას,
რადგან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა და სასამართლოს ვერ წარუდგინა რაიმე მტკიცებულება,
რითაც დაადასტურებოდა, რომ იგი დაეუფლა მამის დანაშთი ქონებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებული ო. ა-შვილი გარდაიცვალა 1989 წელს, რაიო-
ნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა ექვემდებარებოდა 1964 წლის
სამოქალაქო სამართლის კოდექსით მოწესრიგებას.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს დამტოვებლის გარ-
დაცვალების დღე ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ. ამავე კოდექსის 556-ე მუხლის მიხედ-
ვით, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. არ შეიძლება
სამკვიდროს მიღება რაიმე პირობების წამოყენებით. სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემ-
კვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი
სანო.ო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას შეიტანს განცხადებას
სამკვიდროს მიღების შესახებ. სამკვიდროს მიღების ვადა არის ექვსი თვე სამკვიდროს გახსნის
დღიდან.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე
მუხლებზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზე-
დაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, ხოლო მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარე-
ბი.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ა-შვილმა ვერ დაამტკიცა გარემოებანი, რომელსაც
იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას მამის -ო. ა-შვილის დანაშთი ქონებიდან წილის გა-
მოყოფის თაობაზე, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-
შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტი-
ლებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ
მოწმეთა ჩვენებებით ცალსახად დასტურდებოდა მ. ა-შვილის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი.
ამ შემთხვევაში საუბარი იყო არამართო მოსარჩელის, არამედ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომ-
ლობით დაკითხულ მოწმეებზე. სამკვიდრო ქონების დაუფლებაში გამოიხატებოდა ის, რომ მ. ა-
შვილმა მამის სამკვიდროდან მიიღო თანხა, სხვადასხვა სამკაული, პერიოდულად ჩადიოდა ამ
უკანასკნელის სახელზე რიცხულ სახლში. აპელანტის აზრით, დასახელებული ფაქტობრივი გარე-
მოებების უგულვებელყოფა რაიონული სასამართლოს მიერ დავის საპროცესო კანონმდებლობის დარ-
ღვევით განხილვას ასაბუთებდა, რის შესაბამისადაც არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების
გაუქმების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის
გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა თელავის რაიონუ-

ლი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოსარჩელე, როგორც თ. ა-შვილის მემკვიდრე, ცნობილ იქნა თ. ა-შვილის სამკვიდრო ქონების - თელავში, ... ქ. #9-ში მდებარე 1/4 წილის მესაკუთრედ, თ. ა-შვილს აეკრძალა მ. ა-შვილის მიმართ აღნიშნული ქონებით სარგებლობაში ხელშეშლა.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ დაასაბუთა მამის დანატოვარი სამკვიდროს დაუფლების ფაქტი. მისი მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს აღნიშნულ სადავო გარემოებასთან დაკავშირებით შეფასება უნდა მიეცა საქმეზე დაკითხული მოწმეების ახსნა-განმარტებებისთვის, ვინაიდან სამკვიდროს დაუფლების შესახებ ფაქტობრივი გარემოების დადგენისას მოწმეთა ახსნა-განმარტებები წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, მით უფრო მოცემულ შემთხვევაში, რადგან დაპირისპირებულ მხარეთა მიერ მიწვეულმა მოწმეებმა არსებითად ერთი და იგივე შინაარსის განმარტებები მისცეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე თ. ა-შვილი, როგორც თ. ა-შვილის კანონისმიერი მემკვიდრე, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სამკვიდროში შემავალ სადავო საცხოვრებელ სახლს და ამ გზით მიიღო მამის დანატოვარი სამკვიდრო.

საქმეზე სადავოს წარმოადგენდა მოსარჩელე მ. ა-შვილის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ა-შვილი მამკვიდრების გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში დაეუფლა სამკვიდროში შემავალი ქონების ნაწილს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სასამართლომ გამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე: ა) მოსარჩელე მ. ა-შვილის ახსნა-განმარტება; ბ) მოსარჩელე მ. ა-შვილის მიერ მიწვეული მოწმეების -ლ. მ-ავსა და თ. ო-შვილის ჩვენებები; გ) მოპასუხე თ. ა-შვილის მიერ მიწვეული მოწმეების -ლ. კ-შვილისა და მ. კ-მის ჩვენებები. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დასმულ კითხვაზე: მამის დანაშთი ქონებიდან, სამკვიდროდან გადაეცა თუ არა რაიმე მოსარჩელეს, მოწმეების ლ. კ-შვილისა და მ. კ-მის ჩვენებებით დგინდებოდა, რომ მ. ა-შვილი მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში დაეუფლა სამკვიდრების სამკვიდროში შემავალი ქონების ნაწილს ფულადი თანხის სახით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია იძლეოდა საფუძველს სარჩელის დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი გამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას.

რამდენადაც მოსარჩელემ სამკვიდროში შემავალი ქონების ნაწილის დაუფლებით გამოავლინა ნება სამკვიდროს მიღების თაობაზე, გამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 6 ივლისის დადგენილების (რომელსაც იმ დროს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გააჩნდა ნორმატიული ხასიათი) საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო.

მოწმეთა განმარტებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელეს გადაეცა მამის დანატოვარი ქონება (დანაზოგი ფული), სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მემკვიდრეები გადაცემულ თანხას განიხილავდნენ სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებად. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ მოწმეების განმარტებით, სამკვიდრების დანაშთი დანაზოგი ფული მოსარჩელეს მოპასუხის მიერ გადაეცა "ცხოვრების" მოსაწყობად, რაც თავისთავად მიანიშნებდა მის რაოდენობასა და მნიშვნელობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მოწმეთა ჩვენებებს თ. ა-შვილის მიერ მამის დაკრძალვის შემდეგ მ. ა-შვილისათვის ფულადი თანხის გადაცემის შესახებ, თუმცა მოწმეები არაფერს ამბობენ იმ გარემოებაზე, თუ რა რაოდენობის და ვისი კუთვნილი თანხა გადასცა მოპასუხემ მოსარჩელეს. მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება, რომ მ. ა-შვილმა ფაქტობრივი დაუფლების გზით მიიღო მამის -ო. ა-შვილის დანაშთი ქონება.

კასატორის მითითებით, მ. ა-შვილმა გათხოვებისას მშობლებისაგან მზითევის სახით მიიღო ქონება, რაც მას ეკუთვნოდა, როგორც შვილს. აქედან გამომდინარე, მამის გარდაცვალების მომენტისათვის -1989 წლის მდგომარეობით მოსარჩელეს სამკვიდროს სახით არანაირი ნივთი აღარ

მიუღია. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მ. ა-შვილის მოთხოვნა ო. ა-შვილის დანაშთი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის გზით მიღების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასრულყოფილი დადგენის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ავასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქმეზე სადავო არ არის, რომ მამკვიდრებელი ო. ა-შვილი გარდაიცვალა 1989 წლის 7 სექტემბერს. მოპასუხე თ. ა-შვილი, როგორც ო. ა-შვილის კანონისმიერი მემკვიდრე, ფაქტობრივი ფლობით დაუფლებულია სამკვიდროში შემავალ საცხოვრებელ სახლს და ამ გზით მიღებული აქვს მამის დანატოვარი სამკვიდრო. მოსარჩელე მ. ა-შვილმა მამის დანაშთ უძრავ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნით სარჩელი აღძრა 2007 წლის 14 დეკემბერს.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე მ. ა-შვილი ფაქტობრივად დაუფლებულია მამის სამკვიდროს ფულადი თანხის მიღების გზით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება დასტურდება მოწმეების -ლ. მ-ავას, თ. ო-შვილის, ლ. კ-შვილის, მ. კ-ძის ჩვენებების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა საკმარისად არ არის დასაბუთებული. მოწმეების -ლ. მ-ავას, თ. ო-შვილის ჩვენებებში საერთოდ არ არის საუბარი მ. ა-შვილის მიერ ფულადი თანხის მიღებაზე, ხოლო მოწმეები ლ. კ-შვილი და მ. კ-ძე მხოლოდ ზოგადად საუბრობენ, რომ ძმამ -თ. ა-შვილმა დას-მ. ა-შვილს მისცა გარკვეული თანხა მამის გარდაცვალების შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე უნდა გამოარკვიოს, აღნიშნული თანხის გადაცემა წარმოადგენდა მ. ა-შვილის მიერ თავისი დამოუკიდებელი ნების გამოვლენის გზით სამკვიდროს მიღების ვადაში სამკვიდროს დაუფლებას, თუ ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ძმამ კეთილი ნების გამოვლენით და დაასაჩუქრა. ასევე საყურადღებოა, რომ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე სარჩელის საფუძველად არ მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სამკვიდრო მიიღო ფულადი თანხის დაუფლების გზით, იგი მხოლოდ აღნიშნავდა მიმისეულ სახლში ხშირად ჩასვლისა და იქ ნივთების ქონის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს მ. ა-შვილის მიერ სამკვიდროს მიღების საკითხი და გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-452-766-09

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ჯ-ძის მიმართ სასმელი წყლით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: 2005 წელს მოპასუხემ მოჭრა მოსარჩელის კუთვნილი რამდენიმე ძირი ხე, გადაუჭრა მას სასმელი წყალი, რის გამოც 9-სულიანი ოჯახი დარჩა უწყლოდ. მათი სახლების ზემოთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულია ორი წყლის ავზი, რომელთაგან ერთი უშუალოდ მოპასუხის საკუთრებაშია და მისივე აშენებულია, ხოლო მეორე ააშენა და ეკუთვნის სახელმწიფოს, შესაბამისად, მოპასუხე არ არის უფლებამოსილი, ხელი შეუშალოს მოსარჩელეს ამ ავზით სარგებლობაში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად მოპასუხის მხარეს ჩაებნენ ნ. გ-მე და გ. ჯ-მე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ მითითებული ავზები განლაგებულია მოპასუხის კუთვნილ ნაკვეთზე. მართალია, მითითებული მიწა მას ჯერჯერობით თავის სახელზე არ დაურეგისტრირებია, მაგრამ აღნიშნულის ყველა წინაპირობა არსებობს. სადავო წყლის ავზი 50-იან წლებში, მოპასუხის ბების ნებართვით, მწვანე კონცხზე არსებული მაშინდელი ტურბაზის დირექტორმა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ააშენა იმ პირობით, რომ მოპასუხის ოჯახთან ერთად წყლით ტურბაზაც ისარგებლებდა, რა დროიდანაც ავზით 3 ოჯახი სარგებლობს. იმის გამო, რომ წყალი ყველას არ ჰყოფნიდა, მოპასუხის მამა გ. ჯ-მემ იქვე მეორე ავზიც მოაწყო. 1974 წელს გ. ჯ-მემ მოსარჩელის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით დროებით დაერთო ნება, რეზინის მილის საშუალებით ესარგებლა წყლით, თუმცა მოსარჩელემ მოპასუხის ეზოში მდებარე წყლის მილზე თვითნებურად მიბაზა მილი. მოგვიანებით, მოსარჩელის მილები დაღპა და წყალმა მოპასუხის ეზოში დაიწყო დენა. ზ. ჯ-მემ არაერთხელ უშედეგოდ სთხოვა ი. ბ-მეს, გაერემონტებინა მილები, რის შემდგომ იძულებული გახდა, დაეღუქა ისინი თავის ეზოში. ამჟამად საერთო ავზს სამი ოჯახი მოიხმარს. წყლის დონე მათში იმდენად დაბალია, რომ წყალი ყველას არ ჰყოფნის. ამ ტერიტორიაზე არსებობს სხვა წყაროებიც, რომლებითაც მოსარჩელეს შეუძლია მოაწყოს ავზი და ისარგებლოს წყლით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ი. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ზ. ჯ-ძესა და მესამე პირებს აეკრძალათ მოსარჩელისათვის სასმელი წყლის ავზით სარგებლობაში ხელშეშლა, რაც ზ. ჯ-მემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ი. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სადავო წყლის ავზი, რომლის სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასაც მოსარჩელე ითხოვს, მდებარეობს მხარეთა საცხოვრებელი სახლების ზემოთ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მასზე განთავსებული სადავო წყლის ავზი 50-იან წლებში აშენებულია მწვანე კონცხის ტურბაზის მაშინდელი დირექტორისა და მოპასუხის წინაპრის (ბების) ერთობლივი ძალისხმევით. მას შემდგომ, რაც ტურბაზა აღნიშნული ავზით აღარ სარგებლობდა, მოპასუხის გარდა სადავო ავზიდან წყალს მოიხმარდა და სარგებლობდა კიდევ ორი ოჯახი. მოსარჩელის ოჯახი აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლდა მოგვიანებით და სადავო ავზით სარგებლობს დაახლოებით 60-იანი წლების ბოლოდან, როცა მოპასუხის მამამ დართო ავზში არსებული წყლით სარგებლობის ნება, კერძოდ, 2002 წლამდე. ავზთან ახლოს მოპასუხის მიერ აშენებული და მისივე კუთვნილი მეორე ავზია განთავსებული. საქმეში წარდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, სადავო ავზის მოცულობა შეადგენს 1,3 მ³-ს. ექსპერტიზის ჩატარების დროისათვის ავზი 40%-ით იყო შევსებული. სადავო ავზის ახლოს მდებარეობს მეორე ავზიც, რომელიც 1,02 მ³ მოცულობისაა. სანიტარული წესების 2.1 პუნქტის თანახმად, სასმელი წყლის საშუალო ნორმა

ერთ სულზე შეადგენს 200 ლიტრს. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად მოსარჩელემ განმარტა, რომ მხოლოდ მოსარჩელისა და მოპასუხის ოჯახებში 16 სული ცხოვრობს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 172-ე, 161-ე, 163-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე ი. ბ-მე სადავო ავზის კეთილსინდისიერი მფლობელია, რომელსაც, მართალია, თავიდან არ ჰქონდა მისი ფლობის უფლება, მაგრამ უფლებამოსილი პირის - მოპასუხის მიერ შემდგომში მიენიჭა. ამავე ავზის კეთილსინდისიერი მფლობელია ასევე ზ. ჯ-მეც, რადგან მისი წინაპარი 50-იანი წლებიდან ფლობს და სარგებლობს სადავო ნივით. მოცემული დავის გადაწყვეტისას პალატა დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლსაც, ვინაიდან უდავოდ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ ავზის წყლის გამოყენება იწვევს სხვისი, ამ შემთხვევაში მოპასუხის ნაკვეთზე წყლის შემცირებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. ბ-მემ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: აღსანიშნავია, რომ სასმელი წყლის ორი ავზი განთავსებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. იმავე წყლის ავზებით სარგებლობს ზ. ჯ-მე. ერთ-ერთი ავზი საბჭოთა პერიოდში მწვანე კონცხის ტურბაზის საკუთრება იყო. დაახლოებით 1960 წლიდან 2002 წლამდე ამ წყლის ავზით სარგებლობდა როგორც კასატორის, ასევე ჯ-მეების ოჯახი, სასმელი წყალი ი. ბ-მის მიწის ნაკვეთზე შეყვანილ იქნა ზ. ჯ-მის მიწის ნაკვეთის გავლით, თუმცა 2002 წელს მოწინააღმდეგე მხარემ თვითნებურად ჩაჭრა წყალსადენი მილი და კასატორის ოჯახი დარჩა სასმელი წყლის გარეშე. ზ. ჯ-მის განმარტებით, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე წყლის მიღების გავლით მხარეს მიადგა ზიანი, რადგან მოძველებული მილები დაზიანდა, წყალმა კი ნაკვეთი დატბორა. მართალია, კასატორმა შესთავაზა მილების გამოცვლა, თუმცა ზ. ჯ-მე წყლის მილების თავის ნაკვეთზე გაყვანის წინააღმდეგი იყო, სხვა გზით წყლის კასატორის ეზოში შეყვანა კი შეუძლებელია. გაურკვეველია ის გარემოებაც, თუ რატომ განიხილა სააპელაციო სასამართლომ ზ. ჯ-მის კერძო საკუთრებად ის მიწა, რომელზეც სადავო ავზია მოწყობილი. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის მეორე ნაწილის, 172-ე მუხლის, 183-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზ. ჯ-მე ამ ობიექტის მესაკუთრეს არ წარმოადგენს და ასეთი ვერც იქნება "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების, ასევე „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, როდესაც დაადგინა, რომ სადავო ავზით სარგებლობის უფლება კასატორმა მიიღო ჯ-მეებისგან. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ი. ბ-მე ავზს კეთილსინდისიერად ფლობდა 30 წლის განმავლობაში და ისეთივე უფლება გააჩნია მასზე, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს. აღნიშნული გარემოების დასადგენად მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს ზ. ჯ-მის სრულიად დაუსაბუთებელ მითითებას, რომ სადავო ავზის მშენებლობაში მონაწილეობდა მისი ბებია. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის მიხედვით კასატორს სრული უფლება გააჩნია, წყალმომარაგების ქსელთან კავშირი მეზობლის მიწის ნაკვეთის გავლით იქონიოს, ვინაიდან მის მიწის ნაკვეთს წყალთან ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი სხვა კავშირი არა აქვს. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ასევე ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც მიკერძოებულ აზრს გამოხატავს. ექსპერტმა არასწორად განმარტა სადავო ავზის ტევადობის ფარგლები მისი შევსებისას წყლის ოდენობის შესახებ და მიუხედავად მითითებისა, არ შეამოწმა ავზის ავარიული მდგომარეობა, არ უპასუხა კითხვას, სადავო ავზი იყო თუ არა მეცნიერული თვალსაზრისით საკმარისი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის „ე¹“ პუნქტის თანახმად, საკასაციო პალატა აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის მითითებული დანაწესი ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს და კანონდარღვევით მიღებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის ფაქ-

ტობრივი დაუსაბუთებლობა ამ გადაწყვეტილების იურიდიული საფუძვლიანობის შემოწმებას შეუძლებელს ხდის.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას აფუძნებს და უდავოდ დადგენილად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებებს, რომ სადავო წყლის ავზი მდებარეობს ი. ბ-ძისა და ზ. ჯ-ძის საცხოვრებელი სახლების ზემოთ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. იგი აშენებულია 50-იან წლებში მწვანე კონცხის ტურბაზის მაშინდელი დირექტორისა და მოპასუხის წინაპრის (ბებუის) ერთობლივი ძალისხმევით. მოსარჩელის ოჯახი აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლდა მოგვიანებით და სადავო ავზით სარგებლობს დაახლოებით 60-იანი წლების ბოლოდან, როცა მოპასუხის მამამ დართო ავზში არსებული წყლით სარგებლობის ნება, კერძოდ, 2002 წლამდე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული გარემოებების დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაადგინოს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ობიექტურად ურთიერთშეჯერების საფუძველზე და მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებათა შეფასების გზით დაასაბუთოს თავისი შინაგანი რწმენა ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც უდავო ფაქტებთან ერთად მოიცავს სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს. ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ეყარება მის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა საერთოდ არ ასაბუთებს, თუ კონკრეტულად რომელ მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებას ეფუძნება მის მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტი 50-იან წლებში სადავო წყლის ავზის ზ. ჯ-ძის ბებუის მონაწილეობით აშენების შესახებ მაშინ, როცა მოსარჩელე ი. ბ-ძე თავის სასარჩელო განცხადებაშივე უთითებდა, რომ მხარეთა სახლების ზემოთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულია ორი წყლის ავზი, რომელთაგან ერთი უშუალოდ მოპასუხის საკუთრებაშია, ხოლო, სადავო მეორე ავზი აგებულია სახელმწიფოს მიერ, მისივე კუთვნილ ტერიტორიაზე და ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. ამდენად, სადავო წყლის ავზის აშენებისა და კუთვნილების საკითხი, ასევე მისი სარგებლობის უფლებამოსილება სადავოდაა გამხდარი ი. ბ-ძის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები ერთმანეთის საპირისპიროა და გაუგებარია, თუ რა საფუძველით გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ მხოლოდ მოპასუხე ზ. ჯ-ძის ახსნა-განმარტება, რასაც დააფუძნა გადაწყვეტილების შემდგომი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოდავე მხარეთა განმარტებები უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რის შედეგად კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინოს და დაასაბუთოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ფაქტის არსებობის ან არარსებობის საკითხი. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ასევე ნათლად და გასაგებად უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი და, ასეთ შემთხვევაშიც, რამდენად დასაშვებია სადავო სასამართლო წყლის ავზით სარგებლობის აღკვეთა. მოცემულ დავასთან მიმართებით სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეაფასოს სამეზობლო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და დებულებების გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-217-543-09

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნება, საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლო სარჩელით მიმართა ნ. ა-ძემ, მოპასუხეებად დაასახელა მ. ა-ძე, ი. ა-ძე და ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ, 2007 წლის 1 მაისს შედგენილი რ#2-94 სამკვიდრო მოწმობის, ასევე 2007 წლის 12 ივნისს, ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ დამოწმებული რ#1-4846 ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, აწ გარდაცვლილი ა. ა-ძის სამკვიდრო ქონების სამემკვიდრეზე გაყოფა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში, ქ. ქუთაისში, ... გამზ. #56/27-ში მდებარე ბინის მესაკუთრეთა მონაცემებში ცვლილების შეტანა მოითხოვა.

მოპასუხე ი. ა-ძემ სასარჩელო მოთხოვნა სცნო.

მოპასუხე მ. ა-ძემ და მისმა წარმომადგენელმა ნ. ა-ძემ უარი განაცხადეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნ. ა-ძის სარჩელს მ. ა-ძისა და ი. ა-ძის მიმართ ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-ძემ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ქუთაისში ... გამზ. #56/27-ში მდებარე უძრავი ქონება, სამ ოთახიანი საერთო -54,98 კვ.მ საცხოვრებელი -42,38 კვ.მ, დამხმარე -12,60 კვ.მ ა. ა-ძის საკუთრებას წარმოადგენდა;

საქმეში არსებული გარდაცვალების #14090 მოწმობით დადგენილია, რომ ა. ა-ძე გარდაიცვალა 2005 წლის 14 ივლისს;

ა. ა-ძის სამკვიდრო, ქ. ქუთაისში ... გამზ. #56/27-ში მდებარე უძრავი ქონება -სამოთახიანი ბინა საერთო -54,98 კვ.მ; საცხოვრებელი -42,38კვ. მ; დამხმარე -12,60 კვ.მ თანდაბარი წილის უფლებით საკუთრებაში მიიღეს პირველი რიგის მემკვიდრეებმა, შვილებმა: მ. და ი. ა-ძეებმა, რაზედაც 2007 წლის 1 მაისს ნოტარიალურად გაცემულ იქნა დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა.

2007 წლის 12 ივნისს, ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ შედგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. ქუთაისში, ... გამზირზე #56/27-ში მდებარე უძრავი ქონება, მ. ა-ძემ აჩუქა მ. ა-ძეს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 ნოემბრის #22/34-4/42 ცნობით დადგენილია, რომ 2007 წლის 1 მაისის სამკვიდრო მოწმობისა და 2007 წლის 12 ივნისს, ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ შედგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. ქ. ქუთაისში ... გამზირზე #56/27-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია მ. ა-ძისა და ი. ა-ძის საკუთრებად.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ფ. შ-ძის, დ. შ-ძისა და ნ. ს-ძის ჩვენებებით დადგენილია, რომ დედის, ა. ა-ძის სიცოცხლეში, მოსარჩელე დედის სახლში გასაყიდად აცხობდა ფუნთუშებს, ხოლო შემდეგ დედამისმა გამოუშვა სახლიდან და ნ. ა-ძემ ფუნთუშების ცხობა განაგრძო მეზობლის ავტოფარეხში. დედის გარდაცვალების შემდეგ მ. ა-ძემ ათხოვა ავტოფარეხი, სადაც მან განაგრძო ფუნთუშების ცხობა და ცხობის დროს დახარჯული ელექტროენერჯის საფასურს იხდიდა ნ. ა-ძე.

პალატის განმარტებით, მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადავო.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხებმა სადავო გახადეს ნ. ა-ძის მიერ, ა. ა-ძის სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი, ხოლო მოსარჩელეს მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში დაუფლა დედის ქონებას, პალატამ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხე მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ ნ. ა-ძეს ა. ა-ძის სამკვიდრო არ მიუღია.

პალატის განმარტებით, თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას. სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა. აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მის სახლში მცხოვრები ძმის, მ. ა-ძის მოვლისა და მზრუნველობის მიზნით ხშირად მიდიოდა სადავო საცხოვრებელ სახლში, სადაც დედის გარდაცვალებამდე მიტანილი ჰქონდა პირადი ნივთები, პალატამ არ მიიჩნია სამკვიდროს დაუფლებად.

პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა განმარტებებითა და საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ა. ა-ძის გარდაცვალების დროისათვის, ქ. ქუთაისში, ... გამზირზე #56/27-ში მდებარე ავტოფარეხი მის საკუთრებაში რეგისტრირებული არ ყოფილა და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის 2007 წლის 17 ივლისს კრების გადაწყვეტილებით, საკუთრების უფლებით გადაეცა მ. ა-ძეს.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირების ჩვენებებითა და მოსარჩელეს მიერ წარმოდგენილი, 2007 წლის 22 ივნისის #12-1603990, 2007 წლის 17 სექტემბრის #12-179524, #12-111982, #12-53868 ელექტროენერჯის გადახდის ქვითრების საფუძველზე პალატამ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება, რომ ქ. ქუთაისში, ... გამზირზე #56/27-ში მდებარე ავტოფარეხს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით ნ. ა-ძე იყენებდა 2007 წლის ივნისიდან. შესაბამისად გაზიარებული არ იქნა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ავტოფარეხს უწყვეტად ფლობდა დედის გარდაცვალებამდე -2007 წლამდე. აღნიშნული წარმოადგენდა ა. ა-ძის სამკვიდროს, რომლის ფაქტობრივი დაუფლებით მთლიანი სამკვიდრო ქონება მიღებული აქვს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. და ი. ა-ძეები, როგორც ა. ა-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები წარმოადგენენ თანასწორი წილის უფლების მქონე მემკვიდრეებს, რომელთაგან თითოეულს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვთ ქ. ქუთაისში, ... გამზირზე #56/27-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2. ამ გარემოების გათვალისწინებით, ნოტარიუსის დ. ხ-შვილის მიერ, 2007 წლის 1 მაისს შედგენილი რ#2-94 სამკვიდრო მოწმობა კანონშესაბამისი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

პალატის განმარტებით, ვინაიდან მ. ა-ძე წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... გამზირზე #56/27-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ის მესაკუთრეს, მის მიერ საკუთრების განკარგვა ნამდვილი იყო და არ არსებობდა 2007 წლის 12 ივნისს ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ დამოწმებული რ#1-4846 ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ა-ძემ.

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არასწორად აღიქვა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებები და ფაქტები, აგრეთვე არასწორად გაიგო იმ კანონების აზრი და შინაარსი, რაზეც იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას.

კასატორის განმარტებით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ დედის გარდაცვალებამდე მისი აწ გარდაცვლილი ძმა -მ. ა-ძე თავისი ოჯახით ცხოვრობდა სიდედრის ოჯახში, გამომდინარე იქიდან, რომ დედაშვილური ურთიერთობები დამაბული იყო და მხოლოდ დედის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა იგი ძირეულ ოჯახში. კასატორის თქმით, ამას ადასტურებს არა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები, არამედ ისიც, რომ მხოლოდ 2006 წლის 17 მაისს აიღო მისმა ძმამ ახალი პირადობის მოწმობა მისამართით: ქ. ქუთაისი, ... გამზირი #56/27, რამეთუ დედის სიცოცხლეში საბინაო წიგნის ან დედის წერილობითი თანხმობის მიღება პირადობის მოწმობის ასაღებად მათ შორის არსებული დამოკიდებულების გამო გამორიცხული იყო.

კასატორის განმარტებით, მისი და -ი. ა-ძე თავისი ოჯახით დღემდე ცხოვრობს სოფელ გეგუთში, თუმცა რეგისტრირებულია ძველ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ... გამზირი #56/27-ში, თუმცა მის მიერ მიცემული ჩვენების ირგვლივ კასატორის განმარტებით, არცერთმა ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა სამკვიდროს ფაქტობრივად ფლობისა და განკარგვის თაობაზე. მეზობელთა ჩვენებები კი ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებზეა აგებული და, კასატორის აზრით, არის გასათვალისწინებელი, ვინაიდან მათი ხელმოწერებით დადასტურებულ განცხადებაში მითითებულია, რომ დედამის მხოლოდ ორი შვილი -მ. და ი. ჰყავდა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2007 წლის მაისი –სექტემბრის თვეებში ელექტროენერგიაზე გადახდილი თანხა არაფერზე მეტყველებს და ეს თურმე იმ დახარჯული ელექტროენერგიის თანხაა, რომელსაც იგი ფუნთუშების ცხოვისათვის იყენებდა.

კასატორი მიიჩნევს, რომ სამკვიდროს მიღების ექსპოზიციანი ვადა არცერთმა მემკვიდრემ არ დაცვა. ამდენად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლიდან გამომდინარე, ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნას სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. კასატორის განმარტებით, მის მიერ ასეთი თანხმობა ბუნებაში არ არსებობს.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ ნ. ა-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები შეაფასა აღნიშნული ნორმის მოთხოვნათა უგულვებელყოფით. კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ნ. ა-ძე არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოწმეებმა მისცეს განსხვავებული ინფორმაცია. სასამართლომ კი გაიზიარა მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდნენ ზემოთ მითითებულ გარემოებას, ხოლო მიზეზები, თუ რატომ უარყო სასამართლომ სხვა მოწმეთა ჩვენებები, გადაწყვეტილებაში ასახული არ არის. აღნიშნული წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას, რომლის თანახმადაც, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოპასუხეთაგან ერთ-ერთი ცნობს სარჩელს. აღნიშნული წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ამ მოპასუხის ნაწილში მაინც. სასამართლომ ეს ფაქტი ყურადღების მიღმა დატოვა, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს ი. ა-ძის ახსნა-განმარტება არ მოუსმენია. მხარის ახსნა-განმარტება წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, თუნდაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლში მითითებული დებულების თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას. ი. ა-ძემ სააპელაციო სასამართლოში დაადასტურა მისი დის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს მისი ახსნა-განმარტება სრულად და ყოველმხრივად არ განუხილავს. ახსნა-განმარტებაში მითითებული ასეთი გარემოებათა აღიარებით კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ უარყო სასამართლომ მხარის ასეთი ახსნა-განმარტება.

პალატა მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს განჩინება არასრულადაა დასაბუთებული, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სასამართლოს.

საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს დაეუფლა თუ არა ნ. ა-ძე სამკვიდრო ქონებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ა-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა

განჩინება

#ას-249-508-08

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონების გამიჯვნა და სავალდებულო წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 17 აპრილს თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. ბ-მემ მოპასუხე ო. ბ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მისი კუთვნილი ქონების გამიჯვნა გარდაცვლილი დედის -ზ. ბ-ძის დანაშთი ქონებიდან, ზ. ბ-ძის მთელი დანაშთი ქონების აღწერა და აქედან სავალდებულო წილის გამოყოფა, ო. ბ-ძის სახელზე რიცხული მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების ბათილად ცნობა, მიწის ფართობების ესკიზების მიხედვით მიწის ნაკვეთების მის სახელზე აღრიცხვა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ცხოვრობდა თერჯოლის რაიონ სოფელ ... დედის -ზ. ბ-ძის კომლში. 1970 წელს დედასთან ერთად ააგო საზიარო სახლი, რომლის ერთ ნახევარში ცხოვრობდა დედა, ხოლო მეორე ნახევარში -თვითონ ოჯახით. მიწის პრივატიზების დაწყების წინ მოსარჩელე ოფიციალურად ამოეწერა დედამისის კომლიდან და დარეგისტრირდა მე-2 კატეგორიის კომლად, როგორც ცალკე გამოყოფილ კომლს, შეეფსო მიწის ნაკვეთი 0,60 ჰა-მდე, რაც დასტურდება თერჯოლის რაიონის სოფელ ... საკრებულოს 1993 წლის 28 ივნისის #58 განკარგულებით და ... სახელმწიფო მეურნეობის 1993 წლის 12 ივლისის #23 ბრძანებით. მოსარჩელე 1970 წლიდან დღემდე ფლობს თერჯოლის რაიონის სოფელ ... საცხოვრებელი სახლის ნახევარს და 1993 წლიდან 6000 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რაც ასევე დასტურდება თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით და სოფელ ... საკრებულოს 2005 წლის 16 აგვისტოს #28 გადაწყვეტილებით. ზ. ბ-მე გარდაიცვალა 1998 წლის 12 თებერვალს, რის შემდეგაც, როგორც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, გარდაცვალებამდე 5 დღით ადრე, 1998 წლის 7 თებერვალს, ზ. ბ-მეს დაუწერია ანდერძი, რომლითაც საცხოვრებელი სახლი ქ. ქუთაისში და სოფელ ... უანდერძა მოსარჩელის ძმას -ო. ბ-მეს. ზ. ბ-ძის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ, 6-თვიანი ხანდაზმულობის ვადის იგნორირებით, თერჯოლის რაიონის ნოტარიუსი ახდენს დედის დანაშთი ქონების აღრიცხვას და მემკვიდრეობის გაფორმებას ო. ბ-ძის სახელზე. ამასთან, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით ... საკრებულო და თერჯოლის მიწის მართვის სამმართველო არ აუქმებენ მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის შეცდომით მისი ძმის სახელზე აღრიცხვის მოწმობებს. დედის მდგომარეობით საჯარო რეესტრი ასევე იგნორირებას უკეთებს თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებას და მიწას არ აღრიცხავს მოსარჩელის სახელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ჯერ უნდა გაიმიჯნოს მისი ქონება და მიწის ნაკვეთი დედამისის დანაშთი ქონებიდან და ამის შემდეგ გამოეყოს მას სავალდებულო წილი ამ ქონებიდან -როგორც ქუთაისში, ... ქ. #23/31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან, ასევე სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 მაისის საოქმო განჩინებით საქმეში თანამოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ... საკრებულო და საჯარო რეესტრის თერჯოლის სამსახური.

მოპასუხე ო. ბ-მემ შესაგებელში განმარტა, რომ ზ. ბ-ძის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის მიღებაზე სარჩელის მოთხოვნას ეთანხმება და ამ ნაწილში ცნობს სარჩელს. დანარჩენ ნაწილში სარჩელს არ ცნობს, რამდენადაც ზ. ბ-ძის კომლიდან გამოყოფის შემდეგ დ. ბ-მემ რა ქონება მიიღო, სამართლებრივად არ არის გარკვეული, ეს ქონება არ აღრიცხულა არც საკომლო წიგნში და არც სხვა სარეგისტრაციო საბუთებში. ამასთან, ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე ბინა ზ. ბ-ძის საკუთრებას არ წარმოადგენდა, რის გამოც იგი სამკვიდრო მასაში ვერ შევა.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს თერჯოლის სამსახურს დაევალა დ. ბ-ძის სახელზე თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს

გადაწყვეტილების საფუძველზე თერჯოლის რაიონის სოფელ ... საკრებულოს მიერ გაცემული საკარმიდამო მიწების ესკიზების შესაბამისად აღურიცხავი მიწის ფართობის საჯარო რეესტრში გატარება; ბათილად იქნა ცნობილი ო. ბ-ძის სახელზე საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 28 ოქტომბრის #4341/99, 1999 წლის 7 ნოემბრის #6504/99, 6528/99 და #6526/99 მიწის ფართობის სარეგისტრაციო მოწმობები; დ. ბ-ძე ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილი ზ. ბ-ძის დანაშთი ქონების, კერძოდ, მიწის (უძრავი ქონების) შესახებ 2000 წლის 27 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ქონების 1/6-ის -სავალდებულო წილის მე-საკუთრედ.

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე დ. ბ-ძე ცხოვრობს თერჯოლის რაიონის სოფელ ... დედამისი ზ. ბ-ძე, რომელიც ცხოვრობდა ამავე სოფელში, გარდაიცვალა 1998 წლის 12 თებერვალს. ზ. ბ-ძემ ქონება უანდერძა მოპასუხე ო. ბ-ძეს. საქმეში წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტისა და უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ზ. ბ-ძის სახელზე სოფელ ... ირიცხება 96,0კვ.მ საცხოვრებელი სახლი. სოფელ ... საკრებულოს 1993 წლის 28 ივნისის #58 განკარგულების მიხედვით, ზ. ბ-ძის ოჯახის შემადგენლობიდან ცალკე კომლად გამოიყო დ. ბ-ძე. ... სახელმწიფო მეურნეობის 1993 წლის 12 ივლისის #23 ბრძანებით დ. ბ-ძეს გამოეყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,60 ჰა. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 27 მარტის #050/178 ცნობის მიხედვით დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გადაცემულ საგადასახადო სივრცეში დ. ბ-ძეს საკუთრებაში ერიცხება 1822კვ.მ და 533კვ.მ მიწის ნაკვეთები 2006 წლის მდგომარეობით. იგივე დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის წერილით. თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ... საკრებულომ შეადგინა დ. ბ-ძის საკარმიდამო მიწის ფართობების ესკიზები, რის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს ამ მიწის მის სახელზე აღრიცხვას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ყველასათვის. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მის სახელზე საჯარო რეესტრში აღურიცხავი მიწის ფართობის გატარების შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

რაიონულმა სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელის მოთხოვნა იმ ნაწილშიც, რომ ო. ბ-ძის სახელზე საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 28 ოქტომბრის #4341/99, 1999 წლის 7 ნოემბრის #6504/99, 6528/99 და #6526/99 მიწის სარეგისტრაციო მოწმობები უკანონოდ არის გაცემული და უნდა გაუქმდეს. საქმეში წარმოდგენილი სოფელ ... საკრებულოს 05.03. #4 ცნობით დასტურდებოდა, რომ ზ. ბ-ძე გარდაცვალებამდე ფლობდა 0,90ჰა მიწას. ზ. ბ-ძის გარდაცვალების შემდგომ მის დანაშთი ქონებას კანონის ფარგლებში არც ერთი შვილი არ ფლობდა. იგივე დასტურდებოდა სოფელ ... საკრებულოს 2006 წლის 05.07 #16 ცნობით და საქმეში არსებული სხვა გარემოებებით. კანონით დადგენილი წესით მემკვიდრეობა ჯერ არც ერთ მემკვიდრეს არ ჰქონდა მიღებული. ზ. ბ-ძეს საკუთრებაში მიწის ნაკვეთი გადაეცა მიწის რეფორმის შემდეგ, როგორც პირველი კატეგორიის კომლს, რის შემდეგაც თავისი საკუთრება არ გაუსხვისებია კანონით დადგენილი წესით. ამის გამო ო. ბ-ძის სახელზე ზ. ბ-ძის კუთვნილი მიწის აღრიცხვის დამადასტურებელი მოწმობები ბათილად გამოცხადებას ექვემდებარებოდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ ზ. ბ-ძის კომლიდან გამოყოფის შემდეგ დ. ბ-ძეს კომლის ქონება არ გადასცემია და სახლის ტექნიკური პასპორტისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საცხოვრებელი სახლი და 729,41კვ.მ მიწა მხოლოდ ზ. ბ-ძის საკუთრებაა. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, დ. ბ-ძეს, როგორც ზ. ბ-ძის შვილსა და პირველი რიგის მემკვიდრეს ეკუთვნის სავალდებულო წილი, რა ნაწილშიც მოპასუხე ო. ბ-ძე სარჩელს აღიარებდა. მოცემულ შემთხვევაში სავალდებულო წილის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონისმიერი მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ანდერძი რომ არ ყოფილიყო, ზ. ბ-ძის მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ მისი სამი პირველი რიგის მემკვიდრე -ო. ბ-ძე, დ. ბ-ძე და მათი აწ გარდაცვლილი და -ც. ბ-ძე. ვინაიდან არსებობდა ანდერძი, თითოეულს ეკუთვნოდა 1/3-ის ნახევარი, ანუ სამკვიდროს 1/6 ნაწილი. მოსარჩელე სავალდებულო წილის უფლებას მოიპოვებდა სოფელ ... ზ. ბ-ძის საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე, რაც აღრიცხული იყო საჯარო რეესტრში

და მიწის რეფორმის შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა ზ. ბ-მეს კერძო საკუთრებაში, რაც შეადგენდა 0,90 ჰა-ს.

მოსარჩელის მოთხოვნა ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე სავალდებულო წილის მიღების შესახებ სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან აღნიშნული საცხოვრებელი სახლი ზ. ბ-მის საკუთრებას არ წარმოადგენდა. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის მუნიციპალური მართვის სამსახურის 10.08.2006წ. #677 ცნობის თანახმად, აღნიშნული სახლი ეკუთვნოდა ნ. ბ-მეს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით დ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი სადავო საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მთლიანი საცხოვრებელი სახლი და 729,41 მ² მიწის ნაკვეთი მხოლოდ ზ. ბ-მის საკუთრებაა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეებს არ წარმოუდგენიათ კომლის გაყოფის დოკუმენტი - ე.წ. "გაყოფის ფარდი", რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო, რა ქონება გაიყო მხარეთა შორის და რა წესით უნდა გადაეცემულიყო ეს ქონება. ასევე, დ. ბ-მემ ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი პრივატიზებული იყო ზ. ბ-მის სახელზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის სწორი გამოყენების გზით სწორად განსაზღვრა დ. ბ-მის სავალდებულო წილი -1/6.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო დადგინდა ფაქტად მიიჩნევს, რომ 1993 წლიდან იგი ცალკე კომლად გამოეყო ზ. ბ-მის კომლს და საკუთრების უფლებით ფლობდა 0,60 ჰა კვ/მ მიწის ნაკვეთს, რაც ასევე დასტურდება სოფელ ... საკრებულოს 2005 წლის 14 მარტის #19 ბრძანებით. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო აპელირებას აკეთებს საკრებულოს მიერ გაცემულ ცნობებზე და შეფასებას არ აძლევს ამავე საკრებულოს 1993 წლის 28 ივნისის # 58 განკარგულებას, სადაც ცალსახადაა მითითებული, რომ დ. ბ-მეს დედის სახლში აქვს კუთვნილი საცხოვრებელი ფართი და მოითხოვს ცალკე კომლად გამოყოფას, საკრებულომ კანონიერად ჩათვალა მისი მოთხოვნა და გამოყო ცალკე კომლად. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება მიწასთან დაკავშირებით, რადგან სადავო შენობის ნახევარი, საკადასტრო რუკის მიხედვით, კასატორის კუთვნილ 634კვ.მ მიწაზეა განთავსებული, მეორე ნახევარი აწ გარდაცვლილი ზ. ბ-მის სახელზეა. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის, 170-ე და 172-ე მუხლების მოთხოვნები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფაქტობრივი გარემოებები მოცემულ საქმეზე დამატებით გამოკვლევას საჭიროებს.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2000 წლის 27 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული უძრავი ქონებიდან მოსარჩელის სავალდებულო წილის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულ ამონაწერში მითითებულია, რომ ზ. ბ-მის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 96,0კვ.მ. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ამავე ამონაწერის მიხედვით, ზ. ბ-მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 729,41კვ.მ-ს. სააპელაციო სასამართლომ

ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ბ-მის სარჩელი და სოფელ ... საკრებულოსა და მიწათმომწყობს დაევალიათ დ. ბ-მისათვის მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ესკიზების გადაცემა ზომებისა და საზღვრების მითითებით საჯარო რეესტრის თერჯოლის სამსახურში რეგისტრაციისათვის წარსადგენად. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ აღნიშნული მიწა წარმოადგენს 1993 წელს მიწის რეფორმის დროს დ. ბ-მისათვის მიზომილ ნაკვეთებს. განსახილველ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია აღნიშნული მიწის დ. ბ-მისადმი კუთვნილება და საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაცია, ამ ნაწილში გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და კანონიერ ძალაშია შესული. სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია, მოიცავს თუ არა ამ მიწას 2000 წლის 27 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული მიწის ფართი და დგას თუ არა სახლი ან მისი ნაწილი ამ მიწაზე, რომელიც დ. ბ-მის საკუთრებაა. აღნიშნული გარემოების გამორკვევის, ასევე, იმ გარემოების გარკვევის შემდეგ, თუ როდის არის ეს მიწა დ. ბ-მისათვის გადაცემული, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, ხომ არ შეფარდება სადავო ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რომლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად კი ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზეც, როგორცაც ამავე კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიაკუთვნებს მიწასთან მყარად დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით საპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თუ რამდენს შეადგენს რეალურად ზ. ბ-მის დანაშთი ქონება და შესაბამისად, დ. ბ-მის სავალდებულო წილი ამ ქონებიდან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, თუ რას ნიშნავს სოფელ ... საკრებულოს გამგებლის 1993 წლის 28 ივნისის #59 განკარგულებაში იმის მითითება, რომ "დ. ბ-მეს დედის სახლში აქვს თავისი წილი (კუთვნილი) საცხოვრებელი ფართი", რა არის ასეთი მითითების საფუძველი და რა სამართლებრივ შედეგს იწვევს. ასევე, რატომ არის განსხვავება საქმეში არსებულ ამ განკარგულების ხელნაწერ და ნაბეჭდ ტექსტებს შორის და რომელია სარწმუნო ტექსტი.

მოცემულ შემთხვევაში ასევე გასარკვევია, თუ, რეალურად, რა შეადგენს დ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნას და რამდენად თანხვედრაშია მისი იურიდიული ინტერესის საგანთან. დ. ბ-მე ითხოვს მისი ქონების გამიჯვნას ზ. ბ-მის ქონებისაგან, ზ. ბ-მის დანაშთი ქონების განსაზღვრას და მისთვის ამ ქონებიდან სავალდებულო წილის გამოყოფას. ამასთან, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მისი იურიდიული ინტერესი საქმეზე, ფაქტობრივად, მისთვის სახლის ნახევარის მიკუთვნებაში მდგომარეობს, რომელსაც, მისი განმარტებით, იგი ყოველთვის ფლობდა. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს, რას ნიშნავს მოთხოვნა: "კუთვნილი ქონების გამიჯვნა ზ. ბ-მის დანაშთი ქონებისაგან", ხომ არ მოიცავს ეს დ. ბ-მისათვის სახლის ნახევრის მიკუთვნების ან ამ ნაწილის მესაკუთრედ მისი აღიარების მოთხოვნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა

განჩინება

#ას-262-520-08

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ლ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიმართ უძრავ ნივთზე მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და მისი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1957 წლიდან მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ბ. ლ-შვილთან, რომელიც გარდაიცვალა 1993 წლის 8 დეკემბერს. ვ. ლ-შვილმა კანონიერი მემკვიდრეობის საფუძველზე მიიღო სამკვიდრო ქონება - ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ... ქ. #4-ში მდებარე ავტოფარეხი, რომელიც მამკვიდრებელს დაკანონებული ჰქონდა ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1973 წლის 11 ივლისის #2040 გადაწყვეტილებით და ფლობდა მას 1967 წლიდან. ავტოფარეხი მდებარეობს მოპასუხის ტერიტორიაზე და მისი შესასვლელი განლაგებულია სამსახურის ეზოს შიდა მხარეს. ვ. ლ-შვილმა მიმართა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს მას შემდეგ, რაც შენიშნა, რომ ავტოფარეხის კარი იყო გატეხილი, ხოლო კედელი ნაწილობრივ დანგრეული, მაგრამ მოპასუხისაგან შეიტყო, რომ სადავო უძრავი ქონება მათი საკუთრებაა, აპირებდნენ მის დანგრევასა და მასალის გაყიდვას. ამდენად, მოპასუხეს სამოქალაქო კოდექსის 157-ე, 159-ე და 161-ე მუხლების საფუძველზე უნდა აეკრძალოს მოსარჩელის კუთვნილი ავტოფარეხის მფლობელის უკანონო ხელშეშლა და დაევალოს მისი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებს განკარგავდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, სადაც განთავსებული იყო სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო ნაწილი, ხოლო 2004 წლის 24 დეკემბრამდე - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტი. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონში 2004 წლის 24 დეკემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, მოხდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფლებამონაცვლედ ჩაითვალია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2004 წლის 24 დეკემბერს ცვლილება შევიდა "სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" კანონშიც, რის საფუძველზეც განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის მოადგილე ბ. ბ-ძემ 2005 წლის 6 მაისის #2/10-1546 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მინისტრის მოადგილე ვ. დ-იას, რათა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს გადასცემოდა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობანი, ძირითადი ფონდები და მცირეფასიანი ინვენტარი. "საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის უძრავი და მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ივნისის #1-1/671 ბრძანების მე-2 პუნქტით, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს გადაეცა ქ. თბილისში, ... ქუჩა #4-ში მდებარე 900 კვ.მ შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 1455 კვ.მ მიწის მის კომპეტენციაში არსებული ფუნქციების, ამოგანებისა და საკითხების განხორციელების მიზნით, უვადოდ, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტით. ხსენებული მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ყველა შენობა-ნაგებობა გადაცემის დროისათვის ირიცხებოდა სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1973 წლის 11 ივლისის #18 §89 გადაწყვეტილებით ლ-შვილს ... ქ. #4-ში მდებარე ავტოფარეხი დაუკანონდა, არ ყოფილა რეგისტრირებული არც ტექაღრიცხვის ბიუროში და არც საჯარო რეესტრში. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, რომ მან სადავო ავტოფარეხი მიიღო მემკვიდრეობით, რადგანაც მოსარჩელის მიერ წარდგენილ სამკვიდრო მოწმობაში სადავო ქონება მი-

თითებული არ არის. ვ.დ-შვილის რმალი შეხვდა მოპასუხე სამსახურის იურისტს და შესთავაზა გარკვეული თანხის სანაცვლოდ ავტოფარების დათმობა, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა. საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მითითება, რომ მან ნახა სადავო ავტოფარების გატეხილი კარი, რადგანაც სადავო ობიექტი მდებარეობს შიდა ეზოში, სადაც უცხო პირთა დაშვება აკრძალულია. ექსპერტთა დასვნიით ირკვევა, რომ ავტოფარები ავარიულია, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) რეკომენდაციით და მოითხოვნით კი მოპასუხე ორგანიზაციის პერიმეტრის ღობე მოყვანილ უნდა იქნეს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ვ. დ-შვილმა, არსებული პრეტენზიებით უნდა მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამასთან, ვ. დ-შვილი არასათანადო მოსარჩელეა, რადგან სასამართლოსათვის სადავო ავტოფარებზე თავისი საკუთრების უფლება სათანადოდ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, არ დაუდასტურებია. ასევე ნიშანდობლივია, სადავო უძრავი ნივთი ვ.დ-შვილის საკუთრება რომ ყოფილიყო, საჯარო რეესტრი მას მოპასუხის სახელზე არ აღრიცხავდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. დ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აკრძალა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს მოსარჩელის მიერ ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე ავტოფარებით სარგებლობის ხელშეშლა, ხოლო ავტოფარების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ვ. დ-შვილის სარჩელი ავტოფარებით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1973 წლის 11 ივლისის #2040 გადაწყვეტილებით ბ. დ-შვილს დაუკანონდა ... ქუჩა #4-ში მდებარე პოლიკლინიკის ეზოში აშენებული ავტოფარები, ქალაქის მთავარი არქიტექტორისა და ქალაქის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმთან შეთანხმებული 1967 წლის 5/XIII პროექტის თანახმად. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ბ. დ-შვილმა მოიპოვა ავტოფარების მართლობითი მფლობელობის უფლება. 1993 წლის 8 დეკემბერს ბ. დ-შვილი გარდაიცვალა. 1994 წლის 11 აგვისტოს მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე ვ. დ-შვილმა მიიღო სამკვიდრო -ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლით, 1328-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჩათვალა, რომ მემკვიდრე ვ.დ-შვილზე მამკვიდრებელ ბ. დ-შვილის სამკვიდროში შემავალი სადავო ავტოფარების ფლობისა და სარგებლობის უფლება გადავიდა იმავე სახით, როგორც იგი მამკვიდრებელს გააჩნდა. საჯარო რეესტრის ამონაწერით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ჩათვალა, რომ ... ქ. #4-ში მდებარე 1455 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ #1 და #2 შენობა-ნაგებობებზე რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრების უფლება, ხოლო #3 და #4 ნაგებობები ირიცხება ასევე სახელმწიფოს სახელზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის #1-1/671 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ... ქ. # 4-ში მდებარე 900 კვ.მ შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული 455 კვ.მ მიწის ნაკვეთი უვადოდ სარგებლობაში გადაეცა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს ისე, რომ დ-შვილის ავტოფარებით სარგებლობის უფლებით აღმჭურველი აქტი არ გაუქმებულა. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2004 წლის 30 აგვისტოს .#1-3/31 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2007 წლის 18 იანვრის #1-1 ოქმის თანახმად, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს ნება დაერთო, ჩამოეწერა მის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე და ბალანსზე რიცხული ოთხი ავტოფარები, მათ შორის, სადავო ობიექტიც. მხარეთა განმარტებებით სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ვ. დ-შვილს არ შეუძლია ისარგებლოს ავტოფარებით საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის გავლის გარეშე და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე ავტოფარებით ვერ სარგებლობს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 385-ე მუხლების საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. პალატის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ ვ. ლ-შვილი სადავო ნივთის მართლზომიერი მფლობელია, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური არ აძლევს მას შესაძლებლობას, ისარგებლოს ავტოფარეხით, რაც გამოიხატება მოპასუხისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთზე შესვლის აკრძალვაში. 2006 წლის 24 ივლისიდან მიწის ნაკვეთზე, რომლის არსებითი შემადგენელი ნაწილია ავტოფარეხი, ასევე მართლზომიერი მფლობელობის უფლება გააჩნია საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს. პალატამ ჩათვალა, რომ საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მხრიდან ვ.ლ-შვილის სარგებლობის უფლების ხელშეშლას გააჩნია კანონიერი საფუძველი, ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე უვადო სარგებლობაში გადაეცა სადავო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები თავის კომპეტენციაში არსებული ფუნქციების, ამოცანებისა და საკითხების განხორციელების მიზნით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტით, "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მეხუთე პუნქტითა და 38-ე მუხლით, აპელანტის განმარტებით და მიუთითა, რომ მოპასუხეს საიდუმლო რეჟიმის ობიექტების ნუსხაში უკავია პირველი ადგილი, იგი ამუშავებს და ამზადებს "განსაკუთრებული მნიშვნელობის", "სრულიად საიდუმლო" და "საიდუმლო" ინფორმაციის შემცველ მასალებს, ფლობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ქვერეესტრს და სამსახურის უფროსის სპეციალური ნებართვის გარეშე მის ტერიტორიაზე შესვლა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამდენად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება გამოიწვევს საიდუმლოების რეჟიმის, ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დარღვევას. პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მხრიდან სადავო ავტოფარეხით სარგებლობის უკანონო ხელშეშლა არ განხორციელებულა და მხარე მოქმედებდა საკუთარი მიზნებისა ამოცანებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ვ. ლ-შვილის წარმომადგენელმა ლ. ნ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მამკვიდრებელს დაკანონებული ჰქონდა სადავო ავტოფარეხი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე და სამკვიდროს გახსნის დროისათვის მოპოვებული ჰქონდა ავტოფარეხის მართლზომიერი ფლობის უფლება. ვ.ლ-შვილმა, როგორც ბ. ლ-შვილის კანონიერმა მემკვიდრემ, სადავო ავტოფარეხის ფლობისა და სარგებლობის უფლება მემკვიდრეობით ისეთივე სახით მიიღო, როგორც მამკვიდრებელს გააჩნდა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო ქონებით სარგებლობის უფლებით აღმჭურველი აქტი გაუქმებული არ არის, ხოლო მისით სარგებლობა შეუძლებელია საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის გავლის გარეშე, რის გამოც უდავოა, რომ კასატორი ავტოფარეხით ვერ სარგებლობს. საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ მსჯელობა დაუსაბუთებელია და რაიმე სამართლის ნორმას არ ემყარება, რითაც დაირღვა ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" პუნქტები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მხრიდან ვ.ლ-შვილისათვის სარგებლობის უფლების ხელშეშლას გააჩნია კანონიერი საფუძველი, მაგრამ არ მიუთითა იმ კანონზე, რომელიც მას უფლებას აძლევს კანონიერ საფუძველზე ხელი შეუშალოს მართლზომიერ მოსარგებლეს უფლების განხორციელებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არასწორად მიუთითა "სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილზე, "სახელმწიფო საიდუმლოების" შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეხუთე პუნქტზე და ამავე კანონის 38-ე მუხლზე, რადგან ხსენებული ნორმები მსგავსს დანაწესს არ შეიცავს. სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა კონკრეტულ კანონზე და არ დაასაბუთა, თუ როგორ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო პოლიტიკას სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ ვ.ლ-შვილის მიერ საკუთარი ავტოფარეხის ფლობისა და სარგებლობის უფლების განხორციელება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარი საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მისი გარემოება, რომ ვ. ლ-შვილი წარმოადგენს სადავო ავტოფარების მართლზომიერ მფლობელს ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1973 წლის 11 ივლისის #2040 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკანონდა ქ. თბილისში, ... ქუჩა #4-ში მდებარე მე-9 პოლიკლინიკის ეზოში მისი მამკვიდრების მიერ აშენებული ავტოფარები.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რეგისტრირებულია რა სახელმწიფო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის #1-1/671 ბრძანების საფუძველზე მიწის ფართი უვადოდ სარგებლობაში გადაეცა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს ისე, რომ ლ-შვილის ავტოფარებით სარგებლობის უფლებით აღმჭურველი აქტი არ გაუქმებულა.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, ადმინისტრაციული აქტი -საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის #1-1/671 ბრძანება მოიცავს თუ არა იმ მიწის ფართს, რომელზედაც განთავსებულია სადავო ავტოფარები. აღნიშნული გარემოება გამოკვლევას საჭიროებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ნახაზებით ზემოაღნიშნულ მისამართზე რვა ავტოფარებია განთავსებული, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის მიერ გამოცემული აქტები აღნიშნულ მისამართზე ავტოფარების ჩამოწერის თაობაზე ეხება მხოლოდ ოთხ ავტოფარებს, ანუ ამ უკანასკნელი დოკუმენტიდან არ ირკვევა ჩამოიწერა თუ არა სადავო ავტოფარები.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ დავის გადაწყვეტისას შეფასება უნდა მისცეს ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1973 წლის 11 ივლისის #2040 გადაწყვეტილებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის #1-1/671 ბრძანებასა და ამავე ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის მიერ გამოცემულ აქტებთან მიმართებით, კერძოდ:

სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, 1973 წლის 11 ივლისის აღმასკომის გადაწყვეტილებით კონკრეტულად რომელი უფლებით იქნა პირი (ვ. ლ-შვილი) აღჭურვილი, გაუუქმდა თუ არა მას ეს უფლება კანონით დადგენილი წესით, რა გავლენას ახდენს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2006 წლის 24 ივლისის მინისტრის ბრძანება, ანუ უცვლის ან უწყვიტავს თუ არა აღნიშნული ბრძანება პირს უკვე წარმოშობილ უფლებას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ ზემოხსენებულ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა შეაფასოს მოსარჩელის მართლზომიერების საკითხი და აღნიშნულ დავას სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა

განჩინება

#ა-172-ა-8-09

6 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანამესაკუთრედ და მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. კ-ავამ სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხედ ე. თ-ავა და-ასახელა და სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 1984 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწარ-დაცვილი რ. თ-ავასთან. რ. თ-ავა გარდაიცვალა 1994 წელს. პირველი მეუღლიდან რ. თ-ავას დარჩა შვილები აწ გარდაცვილი თ. თ-ავა (1991 წ. გარდაცვილი), ე. თ-ავა და ქალიშვილი მ. თ-ავა. გარდაცვილი თ. თ-ავას დარჩა შვილი ნ. თ-ავა. ოჯახში მისულ მოსარჩელეს მ. თ-ავა დაოჯახებული დახვდა, იგი თბილისში ცხოვრობდა. რაც შეეხება თ. თ-ავას შვილს, მ. თ-ავას, 1991 წელს მხარეთა შორის მიმდინარე დავა, სადაც მხარეს მ. თ-ავას დედაც წარმოადგენ-და, მორიგებით დამთავრდა და მაშინდელი მოსარჩელე მხარე, ანუ მ. თ-ავა და დედამისი ოჯახმა თანხით გაისტუმრა.

მოსარჩელის განმარტებით, ოჯახში ცხოვრობდნენ ის, თავისი აწარდაცვილი მეუღლე და მოპასუხე ე. თ-ავა. 1984 წელს, როცა მოსარჩელე საცხოვრებლად სადავო სახლში გადავიდა, სახლი მთლიანად შეკეთებას საჭიროებდა. სწორედ ამის გამო შეიცვალა სახურავი -დაიხურა სახ-ლი. სახლს ორი მხრიდან შემოაკრეს ალუმიანის ღარიანი თუნუქი, ხოლო ორი მხრიდან ფერადი ქვიშით შელესეს, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ააშენეს სამხარეულო და აბაჯანა, ასე-ვე, გაკეთდა კაპიტალური რემონტი სახლის შიგა მხარეს, შეცვალეს სახლის კარ-ფანჯრები, სახ-ლის პირველ სართულზე გააკეთეს მანქანის კაპიტალური ავტოსადგომი, რომელშიც შემდგომ სასა-დილო მოაწყვეს, რაც შეიძლებოდა შეარემონტეს სახლის პირველი სართული, გაიყვანეს კანალიზა-ცია, კეთილმოაწყვეს სახლის წინა ეზო; გარდა ამისა, მოსარჩელეს ოჯახიდან სამი მიცვალებულ-ლის გასვენება მოუხდა, რაც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; ასევე, უვლიდა და მკურნალობდა ქმრის აწ გარდაცვილი მამიდას, რაშიც ეხმარებოდნენ თავისი დისშვილები.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი თანამესაკუთრეა ამჟამად ე. თ-ავას სახელზე რიცხული ქონე-ბისა, რადგან ქონება, რომელიც ე. თ-ავამ შემდგომ მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან, არ წარმო-ადგენდა მხოლოდ გარდაცვილი რ. თ-ავას საკუთრებას, არამედ იგი იყო მეუღლეთა თანასა-კუთრება, შესაბამისად, დარჩენილი ქონების 1/2-დან მას, როგორც რ. თ-ავას პირველი რიგის თანმყოფ კანონისმიერ მემკვიდრე,ს 1/2 ეკუთვნის. გამომდინარე აღნიშნულიდან გამომდინარე მო-სარჩელემ მოითხოვა საკუთრების უფლებით სამკვიდრო ქონებიდან 3/4-ის გამოყოფა.

მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და იგივე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით მოითხოვა სადაო ქონებაზე, ქ. ქობულეთში ... ქუჩის #139-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობა; დარჩენილი 1/2-დან როგორც პირველი რიგის თანმყოფი მემკვიდრისათ-ვის 1/2-ის გამოყოფა, ანუ მთლიანი სახლის 3/4-ზე მესაკუთრედ აღიარება; შესაბამისი ცვლი-ლების შეტანა საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 1 სექტემ-ბრის ჩანაწერებში.

მოპასუხე ე. თ-ავამ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თ.კ-ავას მოთხოვნა იყო ხანდაზმულ-ლი. მისი განმარტებით, რადგან თ. კ-ავასთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა ე. თ-ავას სახელზე იყო გაცემული. ამის დამადასტურებელია თ.კ-ავას მიერ 2005 წლის 29 აგვისტოს აღძრული სარჩელი -როდესაც იგი სამკვიდრო მოწმობის ბათილო-ბას ითხოვდა, თუმცა ამ საქმეზე წარმოება შეწყდა თ.კ-ავას განცხადების საფუძველზე და ეს გან-ჩინება კანონიერ ძალაშია შესული.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-ავამ და მოითხოვა მისი გა-უქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით თ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -თ. კ-ავა ცნობილი იქნა ქობულეთის რაიონის ... # # 139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/4-ის მესაკუთრედ.

პალატამ მოცემულ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ თ. კ-ავა და რ. თ-ავა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ.

ასევე მოწმეთა ჩვენებზე დაყრდნობით, პალატამ დადასტურებულად ჩათვალა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი აშენდა ოჯახში თ. კ-ავას მისთვის შემდგომ, მანამდე იგი ნახევრად აშენებული იყო. თ.კ-ავას მისთვის შემდეგ სახლს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი მოწმეთა ჩვენებები.

პალატამ მიიჩნია, რომ თ.კ-ავა მიჩნეული უნდა ყოფილიყო სადავო საცხოვრებელი სახლის ნახევრის მესაკუთრედ. რაც შეეხება დარჩენილ 1/2-ს, სადაო არ გამხდარა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. კ-ავა ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა რ. თ-ავას სამკვიდრო ქონებას, რის გამოც იგი დარჩენილ 1/2-ზე ანუ ნახევარზე კანონისმიერ მემკვიდრედ იქნა მიჩნეული ე. თ-ავასთან ერთად. თ. კ-ავას ამ უკანასკნელის მიერ მამის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და სამართლებრივი უფლებები სადაოდ არ გაუხდია.

რაც შეეხება სარჩელის ხანდაზმულობას, პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება და განმარტა, რომ მესაკუთრის უფლებაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, პალატამ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრის უფლება განიცდის კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, უფლების დაცვის თვალსაზრისით კანონმდებელი არ ზღუდავს მესაკუთრეს თავისი უფლების დასაცავად და ნებას რთავს, შეუზღუდავად იდაოს მაშინ, როცა იგი თავის უფლებას დარღვევულად მიიჩნევს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. თ-ავას წარმომადგენელმა ე. ბ-მემ.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, განსახილველ შემთხვევაში, სახლის გადაკეთებასთან დაკავშირებით, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა იმ მოწმის ჩვენებებს, რომლებიც ე. თ-ავასთან კონფლიქტურ სიტუაციაში არიან, არაზუსტად ასახავენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ამახინჯებენ ფაქტებს და დაზუსტებით ვერ საუბრობენ ამა თუ იმ გარემოებაზე.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). კასატორის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარე შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ ადასტურებს -ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების და აღნიშნულის შედეგად სადაო ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გადიდების ფაქტს.

ამასთან კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარეს გაშვებული აქვს სამკვიდროზე შედავების და სამკვიდრო მოწმობის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა. სადაო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ე. თ-ავას საკუთრებად აღირიცხა 1994 წლის 29 აგვისტოს კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით. ამ პერიოდიდან დაკარგა თ. კ-ავამ უფლება სადავო ქონებაზე და შესაბამისად სწორედ ამ პერიოდიდან წარმოეშვა მას უფლება, ედავა თავისი დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

კასატორის წარმომადგენლის აზრით, ის რომ მოწინააღმდეგე მხარე ფლობდა ინფორმაციას კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის შესახებ, რომლითაც მთლიანი უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრედ რ. თ-ავას დანაშთ ქონებაზე ე. თ-ავა აღირიცხა, ადასტურებს თ. კ-ავას მიერ წარმოებული სამოქალაქო საქმე -ე. თ-ავაზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილობის შესახებ, სადაც იგი მიუთითებს, რომ -ქ. ქობულეთში, ... ქუჩის #193-ში მდებარე ქონებაზე გაცემული სამკვიდროდ მოწმობა უკანონოა, რადგან მას ე. თ-ავასთვის არ მიუცია თანამობა ქონების გაფორმებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებით დაადგინა, რომ რ. თ-ავას სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის ღირებულება თ.კ-ავასთან ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ნიშნელოვნად გაიზარდა, რის გამოც თ.კ-ავა მიჩნეულ იქნა რ. თ-ავას თანამესაკუთრედ და მას გადაეცა თანასაკუთრებიდან 1/2, ხოლო როგორც მემკვიდრეს -1/4. სასამართლოს გადაწყვეტილებით -თ. კ-ავა ცნობილი იქნა სადავო საცხოვრებელი სახლის 3/4-ის მესაკუთრედ.

კუთრედ. იმავდროულად დადგინდა სამკვიდრო მოწმობაში და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა.

სასამართლოს მიერ მიღებული ასეთი სახის გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი თ. კ-ავას მიერ 2005 წლის 23 აგვისტოს სასამართლოში შეტანილი სარჩელიდან ირკვევა, რომ თ. კ-ავა აღნიშნული სარჩელით ითხოვდა ე. თ-ავას სახელზე სახლის, როგორც სამკვიდრო ქონების. გადაფორმების თაობაზე სანორტარო მოქმედების გაუქმებას. აღნიშნულის თაობაზე დავა შეწყვეტილია სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით. დღეისათვის თ. კ-ავას სანორტარო მოქმედების გაუქმება არ მოუთხოვია, რაც ნიშნავს იმას, რომ დღეისათვის არ არსებობს რ. თ-ავას სამკვიდრო ქონება, რის გამო შეუძლებელია, მოსარჩელე მის ქონებაზე ცნობილი იქნეს მემკვიდრედ ან მესაკუთრედ. აღნიშნულის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. უფრო მეტიც, სასამართლოს არ დაუდგინა ფაქტობრივი გარემოება სამკვიდრო ქონების დღეისათვის არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია იმსჯელო სარჩელის სამართლებრივ დასაბუთებულობასა თუ ფაქტობრივ გარემოებათა არსებობა-არარსებობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული გარემოება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. პალატა თვლის, რომ საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული იმავე სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისათვის სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა რ. თ-ავას სამკვიდრო ქონება და შესაძლებელია თუ არა მისი საკუთრების სახით ან მემკვიდრეობით სხვა პირისთვის გადაცემა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ე. თ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა

განჩინება

#ას-559-868-09

8 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 31 ივლისს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს კ. ჩ-ავამ, გ. კ-იამ და ო. გ-იამ მოპასუხე სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება თითოეულ მოსარჩელისათვის 8081,92 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელები 2006 წლის 3 ნოემბერს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის #01-02\579 ბრძანებით დაწესებულების ზუგდიდის ფილიალში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნეს კონკურსის შედეგების მიხედვით. მათთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 2006 წლის 16 ოქტომბრიდან 2009 წლის 15 ოქტომბრამდე. საქარ-

თველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის #145 დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო ზუგდიდის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობები შესაბამისად გაგრძელდა.

სსიპ ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ამჟამად სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი) რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 20 ოქტომბრის #01-02\26 ბრძანებით სპეციალობებისა და მიმართულებების გაუქმებასთან დაკავშირებით მოსარჩელები კ. ჩავა, გ. კ-ია და ო. გ-ია გათავისუფლდნენ აკადემიური თანამდებობიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რაც მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტაზე მიუთითებდა.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა მისი ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორცაა წარმოადგენდა „სპეციალობებისა და მიმართულებების გაუქმება“. აქედან გამომდინარე, ისინი დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ უსაფუძვლოდ, რამაც მათივე შრომითი უფლებების დარღვევა განაპირობა.

მოსარჩელებმა მიუთითეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც, მართალია, სამუშაოდან მათი გათავისუფლება მიჩნეულ იქნა უკანონოდ, მაგრამ თანამდებობებზე აღდგენის მოთხოვნაზე შესაბამისი თანამდებობების არარსებობის გამო ეთქვათ უარი. ასევე არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. რაც შეეხებოდა იძულებით განაცდურს, დასახელებული გადაწყვეტილებით მოპასუხე სსიპ ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 1120 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში იძულებითი განაცდური მოიცავდა თანამდებობებზე აღდგენის პერიოდამდე მისაღებ ხელფასს.

მოსარჩელებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ მათივე სარჩელით მანამდე (2008 წელი) წარმოებულ სასამართლო ვადაზე არ დაუსახელებიათ ვადიანი ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში ხელფასის სახით მისაღები შემოსავლის კონკრეტული ოდენობა, რამდენადაც მათი მიზანი იყო სამსახურში აღდგენა და აღდგენამდე პერიოდში იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ თანამდებობებზე აღდგენის შესახებ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა. იმის გამო, რომ დღეის მდგომარეობით მოსარჩელების სამუშაოებზე აღდგენა შეუძლებელი გახდა, ხოლო მათთან შრომითი ხელშეკრულებების მოშლა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკანონოდაა მიჩნეული, მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავალი უნდა ანაზღაურებოდათ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

მოპასუხე სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 აპრილის #106 დადგენილებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამონაცვლეს. მოპასუხის აზრით, წარმოდგენილი სარჩელი განხილვას არ უნდა დაქვემდებარებოდა, რამდენადაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე სსიპ ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მათ სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის -1120 ლარის ანაზღაურება, უკვე აღსრულებული იყო. დასახელებული თანხები თითოეულ მოსარჩელეს პირად ანგარიშზე გადაერიცხა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნები აკადემიურ თანამდებობებზე აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. ჩავას, გ. კ-იას და ო. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტს დაეკისრა თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 6888 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. მოსარჩელებთან დადებული ხელშეკრულებების არსიდან გამომდინარე ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ მხარის მიერ პირობების დარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა მეორე მხარე მას მიიღებს. მოცემულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების სახით მხარეებმა დააფიქსირეს თავიანთი ნება აღნიშნულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ საფუძველებთან შედარებით.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელებს -კ. ჩ-ავას, გ. კ-იას და ო. გ-იას შრომითი ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევიათ (ბრძანებაში ასეთ გარემოებებზე მითითებული არ არის და არც მხარე ხდიდა აღნიშნულს სადავოდ). აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებთან ვადაზე ადრე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა იყო უკანონო და სამოქალაქო კოდექსის 405-ე-408-ე მუხლებიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით კ. ჩ-ავას, გ. კ-იას და ო. გ-იას უარი ეთქვათ აკადემიურ თანამდებობებზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნებზე, ხოლო ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 1120 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნაზე სასამართლოს ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო ინსტიტუტმა, რომელმაც მოითხოვა მოცემულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტმა მიუთითა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმეზე წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. თავდაპირველად წარდგენილი სარჩელით მოსარჩელები ითხოვდნენ აკადემიურ თანამდებობებზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ერთი მხრივ, მოსარჩელებს უარი ეთქვათ აკადემიურ თანამდებობებზე აღდგენაზე, ხოლო, მეორე მხრივ, აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური. აპელანტის აზრით, ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა 2008 წლის 28 იანვრის სასამართლო სხდომაზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვეს სამსახურში აღდგენამდე პერიოდში, ხოლო ამჟამად ითხოვდნენ ანაზღაურებას შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადით, არ ნიშნავდა მათ მიერ დავის საგნის შეცვლას. რეალურად შეცვლილი იყო მხოლოდ დავის საგნის (იძულებითი განაცდურის) ოდენობა. ამასთან, ორივე შემთხვევაში საუბარი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე.

აპელანტმა მცდარად მიიჩნია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელები სამუშაოდან გაათავისუფლეს არაკანონიერად. დასახელებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ იყო საუბარი მოსარჩელების თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობაზე, რის გამოც სასამართლოს ზემომითითებულ დასკვნას არ გააჩნდა რაიმე საფუძველი.

აპელანტმა ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შრომის ხელშეკრულებაში შესაბამისი საფუძვლის მიუთითებლობის გამო მისი შეწყვეტა უკანონო იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხს) აწესრიგებს არა სამოქალაქო კოდექსი, არამედ -სპეციალური კანონი -შრომის კოდექსი. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქო კოდექსით მხოლოდ იმ შემთხვევაში დარეგულირდება, როდესაც ისინი შრომის კოდექსით ან სხვა სპეციალური კანონით მოწესრიგებული არ არის, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. შრომის კოდექსის 37-ე მუხლში ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლებთან ერთად საუბარია ხელშეკრულების მოშლაზე, ხოლო 38-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ამდენად, აღნიშნული თვალსაზრისით, მოსარჩელეთა სამუშაოდან გაათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძველი არ არსებობდა. ამასთან, აპელანტმა საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა სამუშაოდან გაათავისუფლების ანუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ბრძანების კანონიერების შემოწმება არ წარმოადგენდა მოცემული დავის საგანს. შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო მსჯელობა, თითქოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა კანონის დარღვევით მოხდა.

აპელანტის მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელი იყო, ზიანის ფაქტის დადგომას განაპირობებდა თუ არა პირის უკანონო ქმედება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მოპასუხეს ისე დააკისრა მოსარჩელეთათვის თანხების ანაზღაურება, რომ თანამდებობებიდან მათი გაათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად არ უცვნიდა. ასეთს არც

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გალდაწყვეტილებით მომხდარა.

აპელანტმა მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების სისწორე შემდგენიერად დაასაბუთა:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის #145 დადგენილების შესაბამისად უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, მას გამოეყო ზუგდიდის ფილიალი, რომლის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მოსარჩელების სამუშაოდან გათავისუფლების დროს - 2007 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, მოპასუხე უკვე ჩამოყალიბებული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილი არიან ავტონომიით, რაც დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განხორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახორციელებს სტრუქტურულ ცვლილებებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სწორედ სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა „სპეციალობების გაერთიანებისა და მიმართულებების გაუქმების შესახებ“ სსიპ ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 19 ოქტომბრის #01-01/-4 ბრძანებით, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელების თანამდებობიდან გათავისუფლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მოსაზრება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ გაიზიარა. დასახელებულ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების მართლზომიერების დასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ უწინარესად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეთა მიერ თავდაპირველად წარდგენილი სარჩელისა და მოცემულ საქმეზე განსახილველი სარჩელის დავის საგნის საფუძველი სხვადასხვა იყო, კერძოდ, პირველ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვდნენ აკადემიურ თანამდებობაზე აღდგენას, მორალური ზიანისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, რა დროსაც სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელების მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოიცვა პერიოდი სარჩელის წარდგენიდან 2008 წლის 28 იანვრამდე. იმავდროულად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობის მოშლა არასწორად განხორციელდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილი იყო, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყვეტილა და გრძელდებოდა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლოს ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებას მიანიჭა პრეიუდიციული ძალა და შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნია.

რაც შეეხება განსახილველ სარჩელს, მისი შინაარსიდან დგინდებოდა, რომ მოსარჩელების მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე ეფუძნებოდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც პეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა განხორციელდა არასწორად, შესაბამისად, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა, ანუ ხელშეკ-

რულებები მოქმედებდა. ზემომითითებული გადაწყვეტილებით დგინდებოდა ისიც, რომ მოსარჩელებები არ იქნენ დაშვებულნი სამსახურში, ანუ, მართალია, ხეშეკრულებები მოქმედებდა, მაგრამ დამსაქმებლის უფლებამოსილება, დაესაქმებინა დაქირავებული, მოპასუხის მხრიდან დარღვეული იყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია ზემოაღნიშნულ ვითარებაში დამსაქმებელს უნდა გაეგრძელებინა შრომითი ურთიერთობების შესრულება, მაგრამ საქმეზე დგინდებოდა, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ეშუაღბელი იყო, კერძოდ, მოპასუხე დაწესებულების ხელმძღვანელის 2007 წლის 19 ოქტომბრის #01-01-04 ბრძანებით გაუქმდა ფიზიკის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ის მიმართულებები, რომლის ასოცირებულ პროფესორებსაც მოსარჩელები წარმოადგენდნენ და აღარ არსებობდა ის სამუშაო, რასაც ისინი ასრულებდნენ. სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაწონიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. იმ მოტივით, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი იყო, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია.

ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მოვალისათვის (აპელანტისათვის) ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელფასის ოდენობა. გარდა ამისა, მის მიერ ხელშეკრულებების უკანონო გაუქმებით მისთვის წინასწარ იყო სავარაუდოდ ცნობილი მოსალოდნელი ზიანის არსებობა. ხელშეკრულებების უკანონოდ გაუქმებამ კი გამოიწვია ზიანი იმ კუთხით, რომ მოსარჩელები ვერ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუღებელი თანხა, როგორც მიყენებული ზიანი, გადასახდელად უნდა დაკისრებოდა სწორედ მოპასუხეს.

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო სამი წლით და მოქმედებდა 2006 წლის 16 ოქტომბრიდან 2009 წლის 15 ოქტომბრამდე. კ. ჩ-ავას, გ. კ-იას და ო. გ-იას ხელფასი ყოველთვიურად შეადგენდა 336 ლარს, ხოლო აქედან ხელზე ასაღები თანხა იყო 294.24 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის ნაწილი (2006 წლის 16 ოქტომბრიდან 2008 წლის 28 იანვრამდე) მოსარჩელებს მიღებული ჰქონდათ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტმა, რომელმაც მოითხოვა მოცემულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

მოცემულ საქმეზე არსებობს წარმოების შეწყვეტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. მოსარჩელეთა მოთხოვნას, როგორც მანამდე განხილულ, ისე -განსახილველი სარჩელით წარმოებულ დავაზე წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხელფასის ანაზღაურება. ის გარემოება, რომ პირველ შემთხვევაში დავის საგნად დასახელებულია "იძულებითი განაცდური", ხოლო ამჟამად -"მიუღებელი შემოსავალი", არ ნიშნავს, რომ დავის საგანი შინაარსობრივად სხვადასხვაა. ორივე შემთხვევაში საქმე შეეხება მოსარჩელების მიერ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებას. ამდენად, ადგილი აქვს სასარჩელო მოთხოვნების (სარჩელის საგნის) იგივეობას.

გარდა ამისა, იდენტურია სარჩელის საფუძველი. თავდაპირველი სარჩელის განხილვისას მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნებს ამყარებდნენ თანამდებობიდან მათ უკანონოდ გათავისუფლებაზე. ასევე ამჟამადაც. მოსარჩელეთა მოთხოვნა სწორედ მათი უკანონოდ გათავისუფლებიდან გამომდინარეობს, რის დასტურადაც ისინი დამატებით მიუთითებენ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე.

კასატორი მცდარად მიიჩნევს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამკარაა, რომ კანონის დასახელებულ ნორმაში საუბარია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებზე და არა საკუთრივ სასამართლო გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა

იმის შესახებ, რომ მოსარჩელები მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაზე აფუძნებენ, არასწორია. სასამართლო გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭება ნიშნავს არა იმას, რომ მხარეები ამ გადაწყვეტილებაზე აფუძნებენ თავიანთ მოთხოვნებს, არამედ აღნიშნული გულისხმობს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების დადასტურებისაგან მათ გათავისუფლებას.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, იგი მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს და არა სასამართლო გადაწყვეტილებას, ხოლო ეს ფაქტები შეიძლება დადგენილი იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში საუბარია იმაზე, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც მიჩნეულ იქნა, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა არასწორად განხორციელდა, შესულია კანონიერ ძალაში, ამასთან, ბრძანება მოხელეთა გათავისუფლების შესახებ მისი კანონდარღვევით გამოცემის გამო ბათილია, რის შესაბამისადაც მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყვეტილა და იგი გრძელდება. სინამდვილეში, რაიონული სასამართლოს ზემომითითებულ გადაწყვეტილებაში არ არის საუბარი მოსარჩელების კანონდარღვევით გათავისუფლებაზე, არ არის მსჯელობა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების უკანონოობაზე, რაც სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მოსარჩელებს საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე სამუშაოდან მათი დათხოვნის შესახებ ბრძანება სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნულს ისიც ცხადყოფს, რომ 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არაფერია ნათქვამი მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების უკანონოობასა და მის ბათილად ცნობაზე, მაშინ როდესაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. ამდენად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელსაც მოცემული საქმის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა, ბათილად არ ყოფილა ცნობილი მოსარჩელების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება. აქედან გამომდინარე, საპელაციო სასამართლოს მსჯელობა კანონსაწინააღმდეგობის გამო მისი ბათილობის შესახებ დაუსაბუთებელია.

კასატორის აზრით, ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ზიანის არსებობა, აუცილებელია, რომ იგი გამოწვეული იყოს უკანონო ქმედებით. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით ისე დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელებისათვის თანხის ანაზღაურება, რომ მათი თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად არ უცვნია. შესაბამისად, მოთხოვნა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, არსებობს კანონიერ ძალაში შესული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-იას, კ. ჩ-ავსა და ო. გ-იას სარჩელი აკადემიურ თანამდებობებზე აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ: მოპასუხე სსიპ "ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას" (ამჟამად სსიპ "შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი") დაეკისრა თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 1120 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში იძულებითმა განაცდურმა მოიცვა პერიოდი სარჩელის წარდგენიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ საქმეზე სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობების არამართლზომიერად შეწყვეტა.

განსახილველ საქმეზე მოსარჩელები ითხოვენ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას შრომითი ხელშეკრულებების ვადის ამოწურვამდე -2009 წლის 15 ოქტომბრამდე მისაღები ხელფასის ოდენობით. მოთხოვნა ეყრდნობა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონ-

ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობას, რასაც მოსარჩელები მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველად მიიჩნევენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეთა განცხადებით ან სასამართლოს ინიციატივით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. სარჩელის იგივეობა გულისხმობს ამ მუხლში დასახელებული სამივე კომპონენტის იდენტურობას, ე.ი. სარჩელი იგივეა, თუკი იდენტურია სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს განსახილველ საქმეზე წარმოების შეწყვეტის წინაპირობები. მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განხილული სარჩელისა და ახალი სარჩელის მოთხოვნა და საფუძველები. პირველ შემთხვევაში მოსარჩელები მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშლაზე მიუთითებდნენ, ამჯერად ისინი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ეყრდნობიან. გარდა ამისა, თავდაპირველ საქმეზე მოსარჩელები ხელფასის ანაზღაურებას ითხოვდნენ სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდში, ხოლო მოცემულ დავაზე განსხვავდება აღნიშნული მოთხოვნა, ამ შემთხვევაში მოსარჩელები იძულებითი განაცდურის სახით მიუღებელ შემოსავალს ითხოვენ ხელშეკრულებების მოქმედების ვადის ბოლომდე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ კანონიერ ძალაში შესული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებიდან არ დგინდება მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების არამართლზომიერება. მართალია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანებების არაკანონიერად აღიარება არ გადაწყვეტილა, მაგრამ სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ შრომის ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტა არამართლზომიერად არის შეფასებული. ხელფასიც სწორედ ამიტომ აუნაზღაურდათ მოსარჩელებს გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდში.

რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა მდგომარეობს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე მათ მიერ მიუღებელი შემოსავლის – განაცდური ხელფასის ანაზღაურებაში, რაც მოიცავს პერიოდს კანონიერ ძალაში შესული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან – 2008 წლის 28 იანვრიდან – შრომის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე – 2009 წლის 15 ოქტომბრამდე. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება ეძლევა მხოლოდ დამსაქმებელთან მისი შრომითი ურთიერთობის განმავლობაში. ამდენად, მოსარჩელებისათვის ასანაზღაურებელი მიუღებელი შემოსავლის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ დრომდე, სანამ მათთან შრომითი ურთიერთობა იარსებებდა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია აღნიშნული საკითხი, კერძოდ, როდემდე იარსებებდა მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობა, ეს ურთიერთობა უცილობლად იარსებებდა თუ არა შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, არსებობდა თუ არა მოსარჩელეთა აკადემიური თანამდებობები ამ ვადამდე და სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტს“ შეეძლო თუ არა მოსარჩელების მიმართ ნაკისრი შრომითსამართლებრივი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ხელშეკრულების მოქმედების ბოლომდე. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს აღნიშნული საკითხი და ამის გათვალისწინებით გამოიტანოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა

განჩინება

#ას-347-666-09

29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდო.ე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2005 წლის 11 ივლისს სარჩელით მიმართა ზ. თ-იამ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს მხატვართა კავშირმა 1996 წლის 18 აპრილს #5673 სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად, შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად გადასცა ქ. თბილისში, ... მე-3 მ\რ-ის დასაწყისში მდებარე სავაჭრო ცენტრის მეორე სართულის მარჯვენა მდებარე არასაცხოვრებელი 150 კვ.მ, რომელიც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაკავებული აქვთ მოპასუხეებს: ზ. მ-შვილს, ჯ. ს-იას, რ. მ-ავას, ზი. (ზ.) უ-მე-ჟ-იას, ო. ჟ-იასა და დ. ჩ-იას. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მოპასუხეები არ ათავისუფლებენ დაკავებულ ფართს. მოსარჩელემ მოითხოვა, საქართველოს სსკ-ის 170-ე, 172-ე მუხლების თანახმად, მოპასუხეთა და მათი თანმხლები პირების უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა თანმხლებ პირთა წრე და მოპასუხეებად მიუთითა ნ. ს-ია, ი. ჟ-ია, მ. ა-იანი, მ. ს-ია, ა. თ. დ. მ. და ნ. ნ-უები, შ. და მ. მ-ავები, რ. და ნ. თ-ძეები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ სარჩელში აღნიშნული გარემოება, სადავო ფართში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მათი შესახლების შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ისინი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზაში სწორედ მითითებულ მისამართზე არიან რეგისტრირებული 1996 წლის იანვრიდან, ხოლო მოპასუხე დ. ჩ-ია საბურთალოს რაიონის გამგეობის 1995 წლის 7 დეკემბრის #561 განკარგულების საფუძველზე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს სავაჭრო ცენტრის შენობის ორ ოთახში. ამდენად, მოსარჩელის მტკიცება, თითქოს ისინი სადავო ფართში შესახლდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფართი გადაეცა ზ. თ-იას შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად, სინამდვილეს არ შეეფერება. მოპასუხეების განმარტებით, სადავო ფართის პრივატიზაცია მოსარჩელის სახელზე განხორციელდა 1996 წლის 10 ოქტომბერს კანონდარღვევით, რის თაობაზეც ისინი ცალკე სარჩელს აღძრავენ სასამართლოში. გარდა ამისა, ზ. თ-იას არ გააჩნია რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ მათ მიერ დაკავებული ფართი მოიცავს მოსარჩელის კუთვნილ 150 კვ.მ-ს. შესაგებელში მითითებულია, რომ მოპასუხეების მიერ დაკავებული ოთახები არ შედის ხსენებულ 150 კვ.მ-ში.

სასამართლოს 2006 წლის 5 ივლისის განჩინებით საქმის წარმოება ზ. მ-შვილის მიმართ შეწყდა საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სასამართლოს 2007 წლის 29 ივლისის საოქმო განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა, დ. ჩ-იას, ა. თ. დ. მ. და ნ. ნ-უების მიმართ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

სასამართლოს 2006 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მოპასუხეების მხარეზე ჩაება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ მხარი დაუჭირა სარჩელს და დამატებით განმარტა, რომ, მართალია, მოპასუხეები რეგისტრირებული არიან სადავო ფართში, როგორც დევნილები - დროებით საცხოვრებელ ადგილზე, მაგრამ თავად რეგისტრაცია განხორციელდა უკანონოდ, მესა-

კუთრის თანხმობის გარეშე, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტრომ მოსარჩელეს ვერ წარმოუდგინა მოპასუხეების სადავო ფართში შესახლების საფუძველი და მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. თ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ზ. თ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ზ. თ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 28 მარტის დადგენილების საფუძველზე ზ. თ-იას შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად გადაეცა ქ. თბილისში, ... მე-3 მ/რ-ის, სვაჭრო ცენტრის შენობის მე-2 სართულზე, მარჯვნივ მდებარე არასაცხოვრებელი 150 კვ.მ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს საბინაო საქსპლუატაციო პ.ტრესტსა და ზ. თ-იას შორის 1996 წლის 11 იანვარს მითითებულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა ზ. თ-იას საკუთრების უფლება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხეები არიან იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები. დევნილის მოწმობების მიხედვით, მათი რეგისტრაციის ადგილად მითითებულია სადავო უძრავი ნივთის მისამართი. ზ. ნ უ-მე (ჟ-ია), ი. ჟ-ია, ჯ. ს-ია, მ. ს-ია, ნ. ს-ია, მ. ა-იანი სადავო ფართში რეგისტრირებული არიან 1996 წლიდან და მინიჭებული აქვთ საოჯახო ნომრები. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ფართში დევნილთა ჩასახლება და რეგისტრაცია განხორციელდა უძრავი ნივთის ზ. თ-იასათვის საკუთრებაში გადაცემამდე. მითითებულ მისამართზე, როგორც დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტზე, რეგისტრირებული არიან ასევე, რ. მ-ავა, მ. მ-ავა, რ. თ-მე და ნ. თ-მე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ფართში რეგისტრაცია არ წარმოშობს მოპასუხეთა მფლობელობის მართლზომიერ საფუძველს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დევნილის სამართლებრივ სტატუსს, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებსა და მის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს „იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სოციალური დახმარებისა და სხვა უფლებების განხორციელება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტია დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებული დევნილები. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა ამავე პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ზ. თ-იამ. მან მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალები და გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

სასამართლომ საკუთარი შინაგანი რწმენა დაამყარა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხეებმა, რომლებიც არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, სადავო ფართი დაიკავეს ზ. თ-იას საკუთრებაში გადაცემამდე.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ფართში დევნილთა ჩასახლება და რეგისტრაცია განხორციელდა უძრავი ნივთის ზ. თ-იასათვის საკუთრებაში გადაცემამდე, რაც არასწორია.

რეალურად 1996 წლის 9 დეკემბერს ხელშეკრულება არ გაფორმებულა. სასამართლოს მიერ მითითებულ საქმეში მოთავსებული პრივატიზაციის ხელშეკრულება გაფორმებულია 1996 წლის 10 ოქტომბერს და არა 9 დეკემბერს. სასამართლომ შეგნებულად დაამახინჯა ფაქტები და, შესაბამისად, წინააღმდეგობრივია გადაწყვეტილების დასკვნები, რომ ჯერ დევნილთა რეგისტრაცია განხორციელდა და მერე საკუთრებაში გადაეცა.

სასამართლომ დავის საგანთან მიმართებაში არ გამოარკვია კონკრეტულად რომელ ფართში იყვნენ რეგისტრირებული მოპასუხეები. არ შეაფასა ის გარემოება, რომ არსებობს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ზ. თ-იას სარჩელი და იმავე მისამართზე მდებარე 30 კვ.მ-დან გამოსახლებულ იქნა დევნილთა ერთი ნაწილი. განსახილველ საქმეზე დართული მასალებით მოპასუხეები ნამდვილად არ ცხოვრობდნენ ზ. თ-იასადმი გადაცემულ ფართში 1996 წლიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 28 მარტის დადგენილების საფუძველზე ზ. თ-იას შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად გადაეცა თბილისში, ... მე-3 მ/რ-ში, სავაჭრო ცენტრის შენობის მე-2 სართულზე, მარჯვნივ მდებარე არასაცხოვრებელი 150 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს საბინაო საექსპლუატაციო ტრესტსა და ზ. თ-იას შორის 1996 წლის 9 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ზ. თ-იას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა აღნიშნული საცხოვრებელი ფართი. 2002 წლის 11 იანვარს მითითებული უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა ზ. თ-იას საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილი რომ ზ. თ-იას კუთვნილ ფართს ფლობენ მოპასუხეები - იძულებით გადაადგილებული პირები და დევნილის მოწმობის მიხედვით მათი რეგისტრაციის ადგილად მითითებულია სადავო უძრავი ნივთის მისამართი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული 2007 წლის 5 ივლისის ცნობით ნ. ს-ია, ი. ჟ-ია, ზ. უ-ძე, მ. ა-იანი, მ. ს-ია, ჯ. ს-ია ზემოაღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებული არიან 1996 წლიდან (თარიღი არ არის მითითებული) და მინიჭებული აქვთ საოჯახო ნომრები, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარდგენილი, ვაკის რაიონში მდებარე "სავაჭრო ცენტრის შენობაში" ჩასახლებული დევნილთა სახელობითი სიით ზემოაღნიშნული პირები - (ნ. ს-ია, ი. ჟ-ია, ზ. უ-ძე, მ. ა-იანი, მ. ს-ია, ჯ. ს-ია) რეგისტრირებული არიან 1996 წლის 3 ნოემბრიდან. მითითებულ მისამართზე, როგორც დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტზე, რეგისტრირებული ასევე არიან, რ. მ-ავა, მ. მ-ავა, რ. თ-ძე და ნ. თ-ძე.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს გააჩნიათ სადავო ნივთის ფლობის უფლება, რასაც ადასტურებს რეგისტრაციის ფაქტი და გამოსახლება დაუშვებელია "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სწორად შეფასებული საქმეში არსებული მტკიცებულებები, ამასთან ერთად არასწორად განმარტა კანონი (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

"იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" კანონის 1¹-ლი მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული.

აღნიშნული ნორმა განმარტავს, თუ რა უნდა მივიჩნიოთ დევნილის დროებით საცხოვრებელ ადგილად ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილად. დევნილის მოწმობა წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც პირს ენიჭება დევნილის სტატუსი და ის არ არის დევნილის საცხოვრებელი ადგილის განმსაზღვრელი დოკუმენტი ("იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" კანონის 1¹-ლი მუხლის "გ" ქვეპუნქტი).

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით განსახლდა, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს დევნილს შეუძლია თვითნებურად დაიკავოს არჩეული ფართი. მას უფლება აქვს, დევნილობის პერიოდში აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არა სხვისი უფლების დარღვევითა და თვითნებურად.

"იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" კანონის 1¹-ლი მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი არის დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებული დევნილები. ზემოაღნიშნული ნორმები ხაზს უსვამენ ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის დანაწესს,

რომლის თანახმად საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით. ამდენად, დევნილთა განსახლება დროებით არჩეულ ადგილას უნდა განხორციელდეს საამისოდ კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით და არა თვითნებურად ("იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია წარმოშობს მოპასუხეთა მფლობელობის მართლზომიერ საფუძველს. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლზომიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს უფლების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის, განკარგვის ან მათი განხორციელების საფუძველი, კერძოდ, "საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა სარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სათანადო შეფასება საქმეში არსებულ მასალებს, კერძოდ, 1996 წლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს საბინაო საექსპლუატაციო ტრესტსა და ზ. თ-იას შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე მითითებულია ორი თარიღი - 9 დეკემბერი და 10 ოქტომბერი. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, ხელშეკრულებაში მითითებული რომელია ხელშეკრულების დადების თარიღი, ასევე სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 27.04.2000 წლის ცნობა (საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში), რომელშიც მითითებულია, რომ ზ. თ-იას სახელზე სადავო ფართის აღრიცხვის საფუძველია საპრივატიზაციო ხელშეკრულება 1996 წლის 10 ოქტომბრის გაცემული რეესტრი #2-994.

ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს და სათანადოდ შეაფასოს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 28 მარტის დადგენილება, რომლითაც ზ. თ-იას გადაეცა სადავო ფართი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, თუ კონკრეტულად რა უფლება მიეცა ზ. თ-იას ამ დადგენილებით.

ამასთან ერთად, კასატორი უთითებს, რომ მ. მ-ავა, რ. მ-ავა, რ. თ-ძე და ნ. თ-ძე სადავო მისამართზე რეგისტრირებული არიან 1999-2002 წლებში, ხოლო ო. ჟ-ია არ არის რეგისტრირებული.

ამასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ იკვლევს აღნიშნულ პირების მიერ ფართის ფლობის საფუძველს, რის გამოც საკასაციო პალატა იურიდიულად ვერ შეაფასებს ამ პირთა მიმართ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. თ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. აღიარება

განჩინება

#ას-760-976-08

10 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ. და შ. ა-იების მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: ნ. ქ-შვილმა მ. გ. და შ. ა-იებისაგან 2001 წლის 6 ივლისს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2000 ლარად შეიძინა ქ. თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე #1 ბინა. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2001 წლის 11 ივლისს საჯარო რეესტრში ბინა დარეგისტრირდა ნ. ქ-შვილის სახელზე. ამდენად, მოსარჩელემ საკუთრების უფლება სადავო ბინაზე შეიძინა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის დაცვით. არაერთგზის გაფრთხილებისა და მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს ბინის გამოთავისუფლებასა და მისი მოსარჩელისათვის გადაცემაზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს 2001 წლის 6 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა იძულებისა და მუქარის გზით. მ. და გ. ა-იებთან მივიდა ვინმე მ. მ-შვილი, რომელმაც განუმარტა, რომ მოპასუხეთა შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა მისი ვალი, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოპასუხეებს უნდა გადაეფორმებინათ კუთვნილი ბინა. სესხის დაბრუნების შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი დაუბრუნდებოდათ უკან. სადავო გარიგება დაიდო მოსაჩვენებლად, ისე, რომ რეალურად ბინის გასხვისების სურვილი მხარეს არ ჰქონდა და არც შესაბამისი ღირებულება ნ. ქ-შვილს მოპასუხეთათვის არ გადაუხდია.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -შ. გ. და მ. ა-იები ქ. თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე #1 ბინიდან გამოსახლდნენ თანმხლებ პირებთან ერთად, შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მ. და გ. ა-იებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა, ნ. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. და გ. ა-იების სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ნ. ქ-შვილსა და მ. გ. და შ. ა-იებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ქ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით მ. და გ. ა-იების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ნ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მ. გ. და შ. ა-იები სადავო ბინიდან გამოსახლდნენ, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2001 წლის 6 ივლისს მხარეებს, ერთი მხრივ, ნ. ქ-შვილსა და მეორე მხრივ, მ. გ. და შ. ა-იებს შორის, დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ქ. თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე #1 ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. ქ-შვილი. ზ. ა-ია, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა რუსეთში, 1996 წლიდან იცნობდა მ. მ-შვილს და მასთან ერთად აწარმოებდა ბიზნესს. ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით მ. გ. და შ. ა-იებს სასამართლოსათვის 2004 წლის 7 ოქტომბრამდე არ მიუმართავთ. ნ. ქ-შვილის მაზლს -მ. მ-შვილს, ჰქონდა მისი რძლის ვალი 5000 აშშ დოლარის ოდენობით. ნ. ქ-შვილი დასთანხმდა მ. მ-შვილის წინადადებას, ვალის დაბრუნების ნაცვლად, სადავო ბინის გადაფორმების შესახებ. ნ. ქ-შვილი და მ. გ. და შ. ა-იები ხელშეკრულების დადებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. მ. გ. და შ. ა-იების შეგებებული სარჩელის, 2004 წლის 9 ნოემბრის სასა-

მართლოს სხდომაზე მ. ა-ის განმარტების, სააპელაციო სასამართლოში აპელანტების ახსნა-განმარტებების, ასევე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა და მოცემული სამოქალაქო დავის მხარეებს შორის დაიდო არა ნასყიდობის, არამედ სესხიდან წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეებს შორის არსებული სხვა (სასესხო) ვალდებულება. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების -დ. ომაძის, ს.ფერაძის, თ.კილა-სონიას ჩვენებებით სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტებს პერიოდულად აკითხავდნენ და სთხოვდნენ ვალის დაბრუნებას. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებისა და მოწმეთა ჩვენებების ანალიზით დაასკვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით დადასტურებული არ არის მართლსაწინააღმდეგო მიზნითა და საშუალებათა გამოყენებით მყიდველისა და მისი ახლობლების მხრიდან გამყიდველის იძულება გარიგების დასადებად, ვინაიდან არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დგინდება, რომ მ. მ-შვილი ა-იების ოჯახზე რაიმე ზეწოლას ახორციელებდა. არც ერთი მოწმე არ არის ა-იების ოჯახის მიმართ მუქარისა და შეურაცხყოფის უშუალო მომსწრე, არამედ, ა-იების გადმოცემით, იცინა, რომ ზ. ა-იას ვალის გამო იძულებული გახდნენ გაეფორმებინათ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 85-ე-88-ე მუხლებით, გაითვალისწინა აპელანტთა ასაკი, ცხოვრებისეული გარემოებები და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებებით არ დგინდება, უშუალოდ რა სახის იძულება განხორციელდა, შეეძლო თუ არა მას თავისი ხასიათით რაიმე გავლენა მოეხდინა პირზე და ეფიქრებინა, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სადავო გარემოებების დასადასტურებლად მითითებული მტკიცებულება -მოწმეთა ჩვენებები არ წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების გამაბათილებელ მტკიცებულებას. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ ნ. ქ-შვილს, მ. გ. და შ. ა-იებისათვის ბინის ღირებულების საფასური არ გადაუხდია. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმე ლია ცათაშვილის ჩვენების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც დაფარულ იქნა სხვა სესხის გარიგება და ამგვარი შესრულებით შეწყდა სასესხო ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ წერილობითი სავალო საბუთის არარსებობის პირობებში, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, ვალის დადასტურება დაუშვებელია. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ მ. ა-იას მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტებების თანახმად, მის შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი, რისი ოდენობაც არ დაუკონკრეტებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სხვა გარიგება. რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით მ. მ-შვილის მიერ ა-იების იძულებას, აღნიშნული გარემოება სათანადო დადასტურებას მოითხოვს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 427-ე, 428-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ მ. მ-შვილი ერთდროულად წარმოადგენს ნ. ქ-შვილის მოვალეს და ზ. ა-იას მიმართ კრედიტორს. შესაბამისად, ა-იების მიერ ნ. ქ-შვილისათვის მ. მ-შვილის ვალის სანაცვლოდ ბინის გადაცემით შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს, ხოლო მეორე მხრივ, მ-შვილსა და ნ. ქ-შვილს შორის. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვალდებულება უშუალოდ მოვალე ზ. ა-იას არ შეუსრულებია, ასევე აღნიშნული შესრულება მიიღო არა კრედიტორმა მ. მ-შვილმა, არამედ ნ. ქ-შვილმა, სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორთა სასარგებლოდ ვალდებულება შესრულდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არც ვალდებულების ბუნებიდან და არც ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს ვალდებულება პირადად უნდა შეესრულებინა. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ მ-შვილმა თვითონ შესთავაზა ქ-შვილს ვალდებულების შესრულების მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ-შვილმა ვალდებულების შესრულება მიიღო კანონის დაცვით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. და გ. ა-იებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა შემდეგი გარემოებანი: ნ. ქ-შვილი თავისი სარჩელის საფუძველად მიუთითებდა იმას, რომ მოპასუხეთაგან 2000 ლარად შეიძინა სადავო ბინა და დარეგისტრირდა მის შესაკუთრედ. მ. და გ. ა-იები შეგებებული სარჩელით აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას ამყარებდნენ გარიგების მხარეთა

ნების გამოვლენის ნაკლებზე, რადგან ხელშეკრულების დადებამდე არ იცნობდნენ ნ. ქ-შვილს, რეალურად გარიგება ბინის გაყიდვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მათ არც სადავო ნივთი გადაუციათ მყიდველისათვის და არც მისი საფასური მიუღიათ. ფაქტობრივად, ნასყიდობა დაიდო მ. და გ. ა-იების შვილის -ზ. ა-იას მიერ ნ. ქ-შვილის ნათესავის -ზ. მ-შვილის მიმართ არსებული სესხის უზრუნველსაყოფად ზ. მ-შვილის მხრიდან იძულების, მუქარისა და შანტაჟის გამო. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-4, 102-ე, 105-ე და 381-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ქ-შვილსა და მ. გ. შ. ა-იებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა, სადავო გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, მოჩვენებითია და მისი მეშვეობით შესრულდა სხვა ვალდებულება, რადროსაც გადაწყვეტილება დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 371-ე, 373-ე, 427-ე და 428-ე მუხლებით, რომლებიც ნ. ქ-შვილს საერთოდ არ მიუთითებია. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 623-ე-624-ე მუხლები, როდესაც სათანადო მტკიცებულების არარსებობის პირობებში ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა დადგენილად ჩათვალა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საქმის განხილვისას ზ. ა-იას განმარტება, რომ რუსეთში ცხოვრებისას საერთო საქმიანობას ეწეოდა ზ. მ-შვილთან ერთად, თუმცა სადავო გარიგების დადებისას მისი ვალი არ ჰქონდა. ამასთან, სესხის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაშიც სასამართლოს უნდა გამოერკვია მისი პირობები, ნასესხები თანხის ოდენობა, მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის წარმოშობის დრო, ვისგან შეიტყვეს მოპასუხეებმა ზ. ა-იას ვალის შესახებ, ამ უკანასკნ. ს მითითებით გაუფორმეს ნ. ქ-შვილს ერთადერთი ბინა თუ საკუთარი ინიციატივით, ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენის მომენტისათვის რა ოდენობის სესხი ჰქონდა ზ. ა-იას მ. მ-შვილის მიმართ და რა ღირებულების უძრავი ნივთი გადაეცა მის სანაცვლოდ მოსარჩელეს, როდის მოხდა მრავალმხრივი ნების გამოვლენა მოპასუხეთა ბინის გადაცემით ზ. ა-იას ვალის გაქვითვის თაობაზე, მაშინ, როცა მოსარჩელე და მოპასუხეები 2001 წლის 6 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, ხოლო მესამე პირები -ზ. ა-ია და მ. მ-შვილი სადავო ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენდნენ. მეტიც, ზ. ა-ია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა. სააპელაციო პალატას ასევე არ გამოურკვევია, შესაბამებოდა თუ არა სადავო ნასყიდობის საგნის რეალურ ღირებულებას ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი -2000 ლარი და 2000 ლარად შეფასებული ნივთის ნ. ქ-შვილისათვის გადაცემით როგორ უნდა დაფარულიყო ორი სხვადასხვა ფულადი ვალდებულება, მაშინ, როცა მ. მ-შვილის დავალიანება ნ. ქ-შვილის მიმართ, სასამართლოს მითითებით, შეადგენდა 5000 აშშ დოლარს, ხოლო ზ. ა-იას სესხის ოდენობა მ. მ-შვილის მიმართ არ დადგენილა. ვალის არსებობის დამადასტურებლად საქმეში არა თუ წერილობითი მტკიცებულება, არამედ მ. მ-შვილის განმარტებაც კი არ არის წარმოდგენილი. ზ. ა-იას სასესხო დავალიანების დასადასტურებლად სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ზ. ა-იას დედის განმარტებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: 2001 წლის 6 ივლისს ნ. ქ-შვილსა და მ. გ. და შ. ა-იებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ქ. თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე #1 ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. ქ-შვილი. ზ. ა-ია, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა რუსეთში, 1996 წლიდან იცნობდა მ. მ-შვილს და მასთან ერთად აწარმოებდა ბიზნესს. ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა. მ. მ-შვილს ჰქონდა მისი რძლის, ნ. ქ-შვილის ვალი 5000 აშშ დოლარის ოდენობით. ქ-შვილი დასთანხმდა მ-შვილის წინადადებას, ვალის დაბრუნების ნაცვლად, სადავო ბინის გადაფორმების შესახებ. ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით მ. გ. და შ. ა-იებს სასამართლოსათვის 2004 წლის 7 ოქტომბრამდე არ მიუმართავთ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. და გ. ა-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, კერძოდ:

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი გარემოება ეწინააღმდეგება მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, სააპელაციო პალატამ შეაფასა რა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც დაიფარა სხვა გარიგება, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებას. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. და გ. ა-იების შეგებებული სარჩელი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და ამ ხელშეკრულების საფუძველზე დააკმაყოფილა ნ. ქ-შვილის სარჩელი მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლების თაობაზე. ამდენად, სასამართლომ თვალთმაქცურ (ბათილ) გარიგებად შეფასებული ნასყიდობის ხელშეკრულება საფუძველად დაუდო სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დაადგინა როგორც მ. ა-იას, ასევე გ. და შ. ა-იების უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (გამოსახლება) ისე, რომ არანაირი შეფასება არ მიუცია გ. და შ. ა-იების მიერ სადავოდ გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მათი ნამდვილი ნების არარსებობაზე და შემოიფარგლა მხოლოდ მ. ა-იას ნების შემოწმებით.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მ. ა-იას აღიარება, რომ მის შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნისათვის, რომ ა-იების მიერ ქ-შვილისათვის მ. მ-შვილის ვალის სანაცვლოდ ბინის გადაცემით შეწყდა ვალდებულებით -სასესხო ურთიერთობა ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის აღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად მიიჩნია მ. ა-იას განმარტება სასამართლო სხდომაზე, რომ მის შვილს -ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი. მითითებული განმარტებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სასესხო ურთიერთობა. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სესხის ხელშეკრულება იდება რა მხარეთა შორის, ამ ხელშეკრულების არსებობის აღიარება თვით ხელშეკრულების მხარეების -კრედიტორისა და მოვალის მიერ უნდა მოხდეს. სხვა პირის მიერ სესხის არსებობის დადასტურება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას სესხის ხელშეკრულების დადების დასადაგენად და იგი საჭიროებს კანონით გათვალისწინებულ შემოწმებასა და შეფასებას.

ამასთან, მ. ა-იას მიერ ზ. ა-იას ვალის არსებობის დადასტურება ცალსახად არ ადგენს მ. ა-იას მიერ ზ. ა-იას ვალის გადახდის სურვილს. სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მესამე პირები -მ. შ. და გ. ა-იები უფლებამოსილი იყვნენ, შეესრულებინათ მოვალის -ზ. ა-იას ვალდებულება მ. მ-შვილის მიმართ. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ქმედება იურიდიულად გამართლებულია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულებით ურთიერთობაში მონაწილეობის მსურველ სუბიექტთა ნება თავისუფალია და ნამდვილი. ამდენად, სხვისი ვალდებულების შესრულებაზე დავის შემთხვევაში მესამე პირის ნების შემოწმება აუცილებელია.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სასესხო ურთიერთობა, ეფუძნება მხოლოდ მ. ა-იას განმარტებას. ამასთან, სასამართლოს ამ დასკვნის გაზიარების შემთხვევაშიც გაურკვეველია სადავო ნასყიდობის საგნის -საცხოვრებელი ბინის სხვა მესაკუთრეთა -გ. და შ. ა-იების ნება, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მათგანი სადავოდ ხდის ნასყიდობის ხელშეკრულებას, ხოლო სასამართლო ამ პირთა მიერ სხვისი ვალის დაფარვის მიზნით ქონების განკარგვას მხოლოდ მ. ა-იას განმარტებით ადგენს.

საკასაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის გზით დაედგინა მხარეთა შორის რეალურად წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილთან შესაბამისობაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაშიც ასევე უთითებდა, რომ უნდა გარკვეულიყო სამოქალაქო კოდექსის

428-ე მუხლის საფუძველზე სხვა ვალდებულების შესრულებით ხომ არ შეწყვეტილა ვალდებულება, რაც ცალსახად მოიაზრებდა ვალდებულების შესრულებისა და შემსრულებლის ნების ნამდვილობის გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლოს მითითება არ შესრულებულა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა გამოარკვიოს:

რა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მოდავე მხარეთა შორის და დაიდო თუ არა მხარეთა შორის თვალთმაქცური გარიგება, რა გარიგება დაიფარა და დადებით შემთხვევაში დაფარული გარიგების სუბიექტებს რა ვალდებულებები გააჩნდათ ერთმანეთის წინაშე;

თვალთმაქცური გარიგების სუბიექტთა ნამდვილი ნება რას ისახავდა მიზნად და რა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მათ;

იკისრა თუ არა მ. ა-იამ შვილის -ზ. ა-იას სასესხო ვალდებულების შესრულება და თუ იკისრა, უნდა გაირკვეს მისი ქონებრივი უფლებამოსილების ფარგლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. და გ. ა-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღიარება

განჩინება

#ას-361-680-09

13 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 7 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ქ-მემ მოპასუხე თ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 3020 აშშ დოლარისა და 60 ლარის (მათ შორის: ძირი თანხის -1 400 აშშ დოლარის, საპროცენტო დანამატის -840 აშშ დოლარი, ზიანის თანხის -780 აშშ დოლარი, დამატებითი ხარჯების - 60 ლარი) დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 1999 წლის ოქტომბერში საცხოვრებელი ფართის შეძენის მიზნით მ. ქ-მემ მოპასუხეს გადაუხადა 1400 აშშ დოლარი. შეთანხმების თანახმად, დამატებით 2500 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ თ. კ-მეს მისთვის უნდა გადაეცა ბინა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეესრულებინა ვალდებულება, რადგან ამ უკანასკნელმა შეგნებულად დააბრკოლა იგი და ოჯახით წავიდა რუსეთში. დიდი ხნის განმავლობაში მ. ქ-ძისათვის უცნობი იყო მოპასუხის მისამართი, რის გამოც მასთან დადებულმა პირობითმა გარიგებამ ინტერესი დაკარგა. სატელეფონო საუბრებში თ. კ-მე ჰპირდებოდა, რომ თანხას დაუბრუნებდა უკან. მოგვიანებით მ. ქ-მემ დაადგინა, რომ მოპასუხეს იმავე ბინაზე თანხა სხვა პირებისგანაც ჰქონდა აღებული.

მოსარჩელის მითითებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 29 მარტის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ზემოაღნიშნულ ბინას დაედო ყადაღა, რის შესახებაც თ. კ-

მეს შეტყობინება გაეგზავნა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, კერძოდ, ქ. ვოლჟსკში, ... ქ. #38/27-ში. მასვე გაეგზავნა ოფერტი 2002 წლის 1 იანვრიდან 1400 აშშ დოლარის 10%-იან დანამატზე, რაც არ უარუყვია. მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მ. ქ-მეს მიადგა ქონებრივი ზიანი, იგი იძულებული გახდა 2001 წლის 25 მაისიდან დაექირავებინა ბინა ყოველთვიურად 60 აშშ დოლარის საფასურად, რამაც სარჩელის წარდგენის დროისათვის შეადგინა 780 აშშ დოლარი.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა თ. კ-მისაგან 3020 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ქ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 3020 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 22 ნოემბერს საჩივარი შეიტანა თ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეიტყო რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც აღმოაჩინა, რომ კუთვნილი სახლი გაყიდული იყო. საჯარო რეესტრის მეშვეობით მისთვის ცნობილი გახდა, რომ სახლის რეალიზაცია განხორციელდა აუქციონზე მ. ქ-მის სასარგებლოდ მისთვის თანხის დაკისრების გამო. აღნიშნული საკითხის სრულყოფილად გამორკვევის მიზნით თ. კ-მემ ხელზე მიიღო ყველა ის მასალა, რაც საფუძვლად დაედო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მათ შორის, უშუალოდ მითითებული გადაწყვეტილება. მათი გაცნობიდან 10 დღის ვადაში კი მან დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები: ა) სარჩელი და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაჰბარებოდა თ. კ-მეს, რაც არ მომხდარა. აღნიშნულის გამო, მან ვერ გამოიყენა შესაგებლის წარდგენის პროცესუალური უფლება; ბ) მოპასუხე სასამართლო პროცესზე არ ყოფილა მიწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. იგი 1998 წლიდან წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ცხოვრობდა ვოლგოგრადის ოლქის ქალაქ ვოლჟსკში, ... ქ. #1 სახლში, 212-ე ოთახში, რაც ცნობილი იყო როგორც სასამართლოსთვის, ისე - მოსარჩელისთვის. მიუხედავად ამისა, მოპასუხისთვის განკუთვნილი სასამართლო უწყება გაიგზავნა სრულიად სხვა მისამართზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განჩინებით თ. კ-მის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-მემ (წარმომადგენელმა ფ. ც-მემ), რომელმაც მოითხოვა როგორც საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების, ისე მისი უცვლელად დატოვების შესახებ სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, ამავე განჩინებით დადგინდა საქმის არსებითად განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მოპასუხეს სასამართლოს კურიერის მეშვეობით გაეგზავნა უწყება, რომელიც შეიცავდა მითითებას მთავარი სხდომის დღისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, უწყება ჩაჰბარდა ადრესატის ძმას - ნ. კ-მეს 2002 წლის 24 დეკემბერს.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ როგორც სასამართლოსთვის, ისე მოსარჩელისთვის ცნობილი იყო რუსეთის რესპუბლიკაში თ. კ-მის საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ამასთან, საქმეზე დგინდებოდა, რომ ნ. კ-მე არ წარმოადგენდა თ. კ-მის ოჯახის წევრს, იგი ცხოვრობდა ქუთაისში, ... ქ. #17-ში.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის გზავნილისა და 2002 წლის 26 დეკემბრის მთავარი სხდომის დღის თაობაზე უწყების მოპასუხის საცხოვრებელ მისამართზე გაგზავნისა და მის მიერ გზავნილის მიღების დასტური საქმეში არ მოიპოვებოდა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ა" და "გ" ქვეპუნქტების თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა კანონშეუსაბამო იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, უწყება ჩაბარებულად ითვლებოდა, თუ იგი ჩაბარდებოდა ერთ-ერთ მათგანს, მხარეს ან წარმომადგენელს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს. აქედან გამომდინარე, თანაცხოვრება ოჯახის წევრთან იყო ის განმსაზღვრელი

კრიტერიუმი, რა დროსაც კანონმდებელი უწყების თანამცხოვრები ოჯახის წევრისათვის ჩაბარების პირობებში, მას ჩაბარებულად მიიჩნევდა. ასეთს მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. კ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეზე არ დასტურდებოდა მ. ქ-ძის მიერ თ. კ-ძისათვის ბინის შეძენის მიზნით 1400 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა ემყარებოდა მხოლოდ მის ახსნა-განმარტებას, რასაც მოპასუხის წარმომადგენელი ადასტურებდა ნაწილობრივ, კერძოდ, თ. კ-ძის მიერ მ. ქ-ძისაგან ბინის შეძენის მიზნით 400 აშშ დოლარის მიღების ნაწილში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მ. ქ-ძის მიერ მოპასუხისათვის 400 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი, რაც იმით დაასაბუთა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ მიღებული 400 აშშ დოლარი იყო ზეს თანხა, რომლის დაბრუნების ვალდებულებაც არ გააჩნდა. სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მხარეებს შორის ბინის შეძენის შესახებ გარიგება შედგა ზეპირი ფორმით, ანუ დადგენილი ფორმის დაუცველად, შესაბამისად, ხელშეკრულება ბინის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ძალაში არ შესულა, ისევე, როგორც ზეს თანხის გადაცემაზე შეთანხმება.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დადებული გარიგების ბათილობის გამო, თ. კ-ძეს უნდა დაკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ ბინის საფასურის სახით მიღებული 400 აშშ დოლარის დაბრუნება.

რაც შეეხებოდა მოთხოვნას 1400 აშშ დოლარის 10%-იანი დანამატის ანაზღაურების შესახებ, საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლით მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ მ. ქ-ძემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი და მისი ბრალეულობა ვალდებულების დარღვევაში. ამასთან, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას 2001 წლის 25 მაისიდან ნაქირავები ჰქონდა ბინა, რისთვისაც თვეში იხდიდა 60 აშშ დოლარს (სულ გადაიხდა 780 აშშ დოლარი), არ წარუდგენია არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მის მიერ გაღებულ იქნა ხარჯი 60 ლარის ოდენობით, მოპასუხესთან მიმოწერის და ქონების დაყადაღებისათვის. შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-ძემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არასწორად განაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა თ. კ-ძის სახელზე გაგზავნილ ოფერტს დეკემბის სახით, რომლითაც მოპასუხეს ეცნობა, რომ 1400 აშშ დოლარის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მას უნდა გადაეხადა ამ თანხის 10 პროცენტი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობები მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა მიღების შესახებ იმ მიზეზით, რომ მხარეს ისინი თავის დროზე არ დაუყენებია. სინამდვილეში მის მიერ დასახელებული მოწმეების დაკითხვის აუცილებლობა წარმოიშვა საქმის განხილვის პროცესში. მ. ქ-ძის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, რამდენადაც მოპასუხე მის მიერ გადაცემული თანხით უსაფუძვლოდ გამდიდრდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ კანონის მითითებული ნორმა არ გამოიყენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. ქ-ძის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. კ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დამატებით 1 252 აშშ დოლარისა და აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 83 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თ. კ-ძესა და მ. ქ-ძეს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება ბინის ნასყიდობის თაობაზე. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადას-

ტურებდნენ და სადავოდ არ ხდიდნენ მხარეები. მ. ქ-მის განმარტებით, მოპასუხეს ბეს სახით მან გადასცა 1400 აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხის განმარტებით, თანხა, რომელიც მან მოსარჩელისაგან ბეს სახით მიიღო 400 აშშ დოლარს შეადგენდა.

სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის, ამავე კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე მხარეებს შორის დადებული ზეპირი გარიგება ბეს ხელშეკრულების თაობაზე ბათილი იყო, რის გამოც მათ შორის ურთიერთობის მოსაწერიგებლად უნდა გამოყენებულიყო უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, სახელდობრ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია ვითომ კრედიტორს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება და დადასტურებულად ჩათვალა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხისათვის ბეს სახით გადაცემული თანხა 1400 აშშ დოლარს შეადგენდა. აღნიშნული გარემოების დამადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მ. ქ-მის მიწერილობაზე თ. კ-მისადმი, რომლითაც პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მ. ქ-მე მოპასუხეს ძირითად თანხაზე 10%-იანი დანამატის გადახდას ავალდებულებდა. აღნიშნული შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება (2002 წლის 27 მარტს) დასტურდებოდა ფოსტის მუშაკის სათანადო ბეჭდით დამოწმებული ქვითრით. ამასთან, მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მას მართლაც არ მისვლია მოსარჩელის მითითებული წინადადება, რაც მას საშუალებას მისცემდა, ეპასუხა ამ წინადადებაზე, დაედასტურებინა ან უარეყო მასში დაფიქსირებულ მოთხოვნათა მართლობიერება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 331-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში. პალატამ განმარტა, რომ ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღების ვადის განსაზღვრა ცალმხრივი გარიგებაა და მის მიმართ სრულად გამოიყენება გარიგების ნამდვილობის პირობები. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლში კანონმდებელი აკეთებს დათქმას, თუ როდის შეიძლება ცალმხრივი ნების გამოვლენა ნამდვილად იქნეს მიჩნეული, კერძოდ, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა, ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუშემორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში თ. კ-მეს მოსარჩელის მიერ გამოვლენილ და მასთან მისულ ნებაზე უარი არ განუცხადებია.

იმის გათვალისწინებით, რომ 1400 აშშ დოლარიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მხოლოდ 400 აშშ დოლარის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტი და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა (რაც არ გასაჩივრებულა მოპასუხის მიერ), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა დაბრუნებოდა დამატებით 1000 აშშ დოლარი და 1400 აშშ დოლარის პროცენტი ექვს თვეზე გაანგარიშებით, რადგან მოსარჩელის წინადადება მოპასუხეს მიუვიდა 2002 წლის 27 მარტს, ხოლო მ. ქ-მემ სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2002 წლის ოქტომბერში, ანუ ექვსი თვის შემდგომ. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლზე და განმარტა, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს მითითებით, 2002 წლისათვის მოქმედი ნორმის თანახმად პროცენტის თანხა გონივრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ბანკთაშორის აუქციონზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან (ანუ 6 თვეზე გაანგარიშებით 1400 აშშ დოლარის 3%), რის შესაბამისადაც აღნიშნული თანხა შეადგენდა 252 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-მემ (წარმომადგენელი ფ. ც-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის რედაქცია უძრავი ნივთის ნასყიდობისთვის იმპერატიულად მოითხოვდა რთულ წერილობით ფორმას და ბეს, როგორც წინარე ხელშეკრულების შესახებ მხარეთა შეთანხმებაც ანალოგიური ფორმით უნდა დადებულიყო. ასეთს მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, ბათილი იყო არსებული შეთანხმება სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე. ამის გამო არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ თ. კ-მისათვის გადაცემული 1400 აშშ დოლარი წარმოდგენდა ბეს თანხას.

კასატორის მტკიცებით, მას მ. ქ-მისაგან არანაირი შეტყობინება არ მიუღია, რის გამოც აღნიშნულ შეტყობინებაზე დაყრდნობით მოპასუხისათვის 1400 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტის დადგენა უსაფუძვლოა.

კასატორისათვის გაურკვეველია, მ. ქ-მის მიერ მოპასუხისათვის შეტყობინების გაგზავნა რატომ მიიჩნია სასამართლომ ოფერტად, ხოლო თ. კ-მის დუმილი - თანხმობის გამოხატვად, მაშინ, როდესაც მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული არ იქნა მიჩნეული. ამასთან, მოპასუხისათვის შეტყობინების მიღება დადასტურებული უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელის ხელმოწერით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე ჩაითვლებოდა ვალდებულების აღიარებად, თუმცა ასეთს მოცემულ შემთხვევაში არ მოხდარა. თ. კ-მემ ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტის გარეშე აღიარა 400 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, თუმცა მოსარჩელემ მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ოდენობა შეგნებულად გაზარდა, რასაც სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეთანხმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე¹ პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მ. ქ-მესა და თ. კ-მეს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება ბინის ნასყიდობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ამ გარიგების საფუძველზე მ. ქ-მემ ბეს სახით თ. კ-მეს გადასცა 1400 აშშ დოლარი. აღნიშნული გარემოების დამადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ერთადერთ მტკიცებულებაზე - მ. ქ-მის წერილზე თ. კ-მისადმი, რომელსაც იმავდროულად სამართლებრივი შეფასება მისცა, როგორც ოფერტს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია.

საქმეში წარმოადგენილია მ. ქ-მის მიერ თ. კ-მის სახელზე გაგზავნილი შემდეგი შინაარსის წერილი-შეტყობინება: "დიდი ხანია მზად ვარ, გადავიხადო ბინის ღირებულების დარჩენილი თანხა, რაც არ მოხერხდა თქვენი მიზეზით. თუ პირველ აპრილამდე კვლავ არ ისურვებთ პირობის შესრულებას, ჩემს მიერ 1999 წლის 22 ოქტომბერს გადმოცემული ბინის საფასურის თანხას - 1400 დოლარს დააბრუნებთ ა/წ პირველი იანვრიდან ყოველთვიურად ათპროცენტიანი დანამატით". შეტყობინება გაგზავნილია მისამართზე: ქ. ქუთაისი, ... მეორე შესახვევი 76/66. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს მ. ქ-მის, როგორც კრედიტორის მიერ თ. კ-მისათვის, როგორც მოვალისათვის 1400 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებას. ამ შემთხვევაში სადავო თანხის ოდენობას ასახელებს კრედიტორი, რომელიც თავადვე ითხოვს ამ თანხას, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე თანახმად საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის მხოლოდ იმ მხარის მიერ აღიარება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს. ამდენად, მ. ქ-მის მიერ თავისი მოთხოვნის დამყარება მის მიერვე გაგზავნილ შეტყობინებაში დასახელებული თანხის ოდენობის სარწმუნოდ მიჩნევის გარემოებაზე, რასაც ამ შემთხვევაში არ აღიარებს მოწინააღმდეგე მხარე, ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად, რომელიც სასამართლომ შეიძლება ერთადერთ ფაქტობრივ საფუძველად დაუდოს გადაწყვეტლებას.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაც ზემოაღნიშნული წერილის თ. კ-მის მიერ ჩაბარების შესახებ. საქმეში წარმოადგენილია მტკიცებულებები, რომ აღნიშნულ პერიოდში თ. კ-მე იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ ვოლჟსკში. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, მოხდა თუ არა აღნიშნული შეტყობინების ჩაბარება კონკრეტულად თ. კ-მისთვის.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული წერილის სამართლებრივ შეფასებას ოფერტად. სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის თანახმად, ოფერტი წარმოადგენს ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას, შეთავაზებას. სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, რომელი ხელშეკრულების დადების შეთავაზებას მოწმობდა აღნიშნული შეტყობინება, რატომ უნდა მიჩნეულიყო ამ შემთხვევაში აქცეპტი განხორციელებულად, თუკი მეორე მხარე არ უპასუხებდა მასზე. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მხარეთა შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულება ბათილ გარიგებად, მაგრამ არ იმსჯელა, ე.წ. ოფერტი წარმოადგენდა აღნიშნული ბათილი ხელშეკრულებ-

ბის გარკვეული ახალი პირობის დადგენის შეთავაზებას, თუ მისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადების შეთავაზებას და ამის გათვალისწინებითაც იყო თუ არა ნამდვილი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის მასალები და მათი ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა

განჩინება

#ას-393-709-09

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უძრავი ნივთის სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ვ. ს-იას მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დავალებოდა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში „ნიორების“ ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებული მიტაცებული 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება, მის საკუთრებაში არსებული 0,35 ჰა მიწის ფართობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, მოპასუხის ხარჯებით ავტოფარეხის დემონტაჟი და მისი საკუთრებიდან (მიწის ნაკვეთიდან) გატანა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განჩინებით არასათანადო მოპასუხე ვ. ს-ია შეიცვალა სათანადო მოპასუხით, სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე- ს. ბ-მით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ამავე სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულის მიწის ნაკვეთს „ნიორების“ ტერიტორიაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება. პაპალტამ არ გაიზიარა I ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და გადაწყვეტილება დატოვა ძალაში მოტივაციის შეცვლით.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას არ უმსჯელია ვ. ს-იას მიერ მ. მ-შვილის საკუთრების ხელყოფისა და მის მიერ მ. მ-შვილის საკუთრებაში არსებული მიწის მიტაცებული ნაკვეთის 150 კვ.მ ოდენობით მ. მ-შვილისათვის თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნების თაობაზე.

პალატის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვდა მის მფლობელობაში მოპასუხის მიერ მიტაცებული მიწის ფართობის დაბრუნებას, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ამავდროულად ითხოვდა მის საკუთრებაში არსებული

ნივთის სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთას, მოპასუხისათვის ავტოფარების დანგრევის გზით, რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველი სარჩელი იყო ნეგატორული.

პალატის განმარტებით, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მის საკუთრებაში არსებულ 150 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელიც, ფაქტობრივად და არა საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით უკანონოდ ჰქონდა მიტაცებული ვ. ს-იას და რომელზეც ასევე უკანონოდ აშენებული ჰქონდა ავტოფარები. ამდენად, სარჩელი თავისი ფორმით იყო როგორც ნეგატორული, ასევე -ვინდიკაციური. ნეგატორული მოთხოვნის დაკმაყოფილება კი პირდაპირ კავშირში იყო ვინდიკაციური სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან.

პალატამ აღნიშნა, რომ ვინდიკაციური სარჩელის განხილვისას სასამართლოს მიერ უნდა შემოწმებულიყო მიტაცებული ჰქონდა თუ არა ს. ბ-ძეს მ. მ-შვილის საკუთრებაში არსებული 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და რა გარემოებებით ამტკიცებდა აღნიშნულს, გააჩნდა თუ არა მ. მ-შვილს სადავო ნივთზე საკუთრების უფლება და იყო თუ არა მოსარჩელე შეზღუდული ამ ნივთის ფლობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე საერთო ჯამში შეძენილი ჰქონდა 3500 ჰა მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების #769 აქტით მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე მ. მ-შვილს გადაეცა 0,35 ჰა მიწის ნაკვეთი, თუმცა პალატის განმარტებით, მოსარჩელეს სარჩელის აღმდგენის დროისათვის წარმოდგენილი ჰქონდა საკადასტრო გეგმა 3351 კვ.მ და არა 3501 კვ.მ-ზე. აღნიშნული საკადასტრო აზომვითი ნახაზის თანახმად, ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე მ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის სიგრძე შეადგენდა 59.03 კვ.მ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი #კ-1877/18 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი არ შეესაბამებოდა მ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს და გავლებული მავთულის ღობე შეჭრილი იყო მ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის საზღვრებში 4,5 მეტრით, რაც შეადგენს $59,03 \times 4,5 = 265,63$ კვ.მ-ს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ექსპერტიზის დასკვნის გაზიარების შემთხვევაში მ. მ-შვილის 3501 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ს. ბ-ძეს მიტაცებული აქვს 265,63 კვ.მ და არა სარჩელით მოთხოვნილი 150 კვ.მ რადგან ამავე დასკვნის მიხედვით, ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის საზღვრები შეესაბამება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საკადასტრო გეგმის მონაცემებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი გარემოებები აშკარად შეუსაბამობაში იყო სარჩელის მოთხოვნასთან და ვერ ადასტურებდა მ. მ-შვილის საზღვრის მთელ პერიმეტრზე არსებული საზღვრის დარღვევას 150 კვ.მ-ის ოდენობით.

პალატამ არ გაიზიარა I ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე განზრახვის გარეშე გასცდა მ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის საზღვრებს, რადგან მათ შორის გავლებული არ იყო მყარი მიჯნა და რომ მოსარჩელემ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენით შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცების მოვალეობა და დაადასტურა მიწის ნაკვეთის საზღვრის დარღვევის ფაქტი.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა I ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ, მართალია, ვ. ს-იას სახელზე მის მიერ მიწის ნაკვეთის გასხვისებამდე და გასხვისების შემდეგაც მოპასუხე ს. ბ-ძეზე რეგისტრირებული იყო სოფ. ... მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მაგრამ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკადასტრო რუკა, რომლითაც განისაზღვრებოდა პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრები და ადგილმდებარეობა. საქმეში წარმოდგენილი შპს „ვილა XXI-ის“ მიერ შესრულებულ აზომვით ნახაზზე კი I ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გავრცელდებოდა უტყუარობისა და სისწორის პრეზუმცია, რადგან არ იყო წარმოდგენილი ამ მონაცემების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა მ. მ-შვილმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო განჩინებაში თავიდანვე არასწორად განმარტავს კანონს რამდენადაც თვლის, რომ ადგილი აქვს ნეგატორული და ვინდიკაციური სარჩელების ერთობლიობას კასატორის წარმომადგენელი თვლის, რომ ეს იყო მხოლოდ ნეგატორულ სარჩელს, ვინაიდან სარჩელი აღძრული იქნა სწორედ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, საკადასტრო რუკაზე არსებული საზღვრები კი ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გარანტირებულად აღიარებულ საკუთრების საზღვრებს, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მესაკუთრე. ამიტომ, ვინაიდან თავიდანვე არსებობდა უკვე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერი და შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზი, კასატორის წარმომადგენელი თვლის, სარჩელი წარდგენილი იქნა სწორედ ნეგატორული კუთხით, რადგან სადავოდ მ. მ-შვილის საკუთრება არავის გაუხდია. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მხარეებს შორის მყარი და რაც მთავარია შეთანხმებული საზღვრების არარსებობამ მთლიანად გამორიცხა მოცემულ

შემთხვევაში ვინდიკაციური სარჩელის არსებობა, რადგან მოდავე მხარეებს შორის მიწის ფართის მიტაცება პირობითია, მით უფრო, რომ ვინდიკაციის შემთხვევაში ერთ-ერთი პირობაა, რომ ნივთი მთლიანად მოპასუხის ხელში იყოს, ანუ მესაკუთრის ქონება, რომელიც შეადგენს 3501 კვ.მ-ს, მოპასუხის ხელთ უნდა იმყოფებოდეს.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო პალატა ასევე არასწორად გადმოსცემს და ყოველგვარი დასაბუთებულობის გარეშე ამახინჯებს ფაქტებს მ. მ-შვილის მიერ მიწის რეგისტრაციის თაობაზე, ვინაიდან პალატის მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მ. მ-შვილის საკუთრების რეგისტრაციის საფუძველი გახდა მიღება-ჩაბარების აქტი და არა თავად საკადასტრო გეგმა.

კასატორის წარმომადგენელი თვლის, რომ მ. მ-შვილის უფლება საკუთრებაზე აბსოლიტური ბუნებისაა, რაც მიუთითებს, იმ ფაქტზე, რომ მას შეუძლია ისარგებლოს და შეუძლია არ ისარგებლოს თავისი საკუთრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა მ. მ-შვილის წარმომადგენელმა და მოითხოვა განსახილველი სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება მცხეთის რაიონულ პროკურატურის მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის დამთავრებამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

იმ მიზეზით, რომ ექსპერტის დასკვნა იყო ცალმხრივი, რეალურად არ ასახავდა ფაქტობრივ გარემოებებს და შედგენილი იყო ს.ბ-მის საკადასტრო რუკის გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, სააპელაციო სასამართლომ უარყო პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 3 სექტემბრის დასკვნა. დასკვნის მიხედვით, ვ. ს-იას მიერ აშენებული ავტოფარეხი შეჭრილი იყო მ. მ-შვილის მიწის ნაკვეთის საზღვრებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი მუხლის თანახმად, თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები. სააპელაციო სასამართლო ექსპერტის დასკვნის უარყოფისას სწორედ ამ ნორმაში მითითებულ გარემოებებს უთითებს, ისე რომ არ მსჯელობს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკითხი, იმყოფება თუ არა ერთი მიწის ნაკვეთის საზღვრები მეორე მიწის ნაკვეთის ფარგლებში, როგორც წესი, შეუძლებელია შეფასდეს სპეციალური ცოდნის გარეშე. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სპეციალური აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგინდეს ორივე მოდავე მხარის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობები და ეს მონაცემები უნდა შედარდეს საკადასტრო მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მათგანი ფლობს მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ტოლ ფართობს, არ არსებობს უკანონო მფლობელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი სახეზეა უფლების დარღვევა და ვინდიკაციური სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას. აღნიშნული გარემოების დადგენის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების გამოტანა, რაც ზემოთ მითითებული ნორმის გამოყენების აუცილებელი პირობა.

როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, მოპასუხეს სასამართლოში არ აქვს წარმოდგენილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკადასტრო რუკა. იმ შემთხვევაში თუ მითითებული მტკიცებულების გარეშე სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ექსპერტიზის ჩატარებას, სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია მხარეს შესთავაზოს მტკიცებულების წარდგენა, წარმოუდგენლობის შემთხვევაში კი სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს 136-ე მუხლი.

საკასაციო პალატა შეუძლებლად მიიჩნევს დავის განხილვას ვიდრე არ დადგინდება ფაქტობრივი გარემოებანი იმის თაობაზე, თუ რა ფართები ეკუთვნით და რა ფართს ფლობენ რეალურად მხარეები. ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, რის გამო იგი უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს მ. მ-შვილის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, ვინაიდან პალატა თვლის, რომ მოცემულ ეტაპზე სამოქალაქო საქმის განხილვა და დავის გადაწყვეტა დამოკიდებული არ არის სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ც. ნ-ძისა და თ.კ-ავას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, სარჩელები დაკმაყოფილდა, სს "თელასს" ც. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 33459 ლარის, ხოლო თ.კ-ავასათვის -72804 ლარის გადახდა, თუმცა სს "თელასის" საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება განაახლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აპელანტები არ დაეთანხმნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სადავო ზიანის ოდენობის განსაზღვრას. სს „თელასის“ მოსაზრებით, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა შპს „პროექტის“ მიერ შესრულებული ხარჯთაღრიცხვა, რადგან შპს „პროექტი“ არ წარმოადგენს საქსპერტო დაწესებულებას, ხოლო თ.კ-ავა და ც. ნ-ძე უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო მთლიანად და არა ნაწილობრივ უნდა დაყრდნობოდა შპს „პროექტის“ ხარჯთაღრიცხვას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო, ეხელმძღვანელა როგორც ექსპერტიზის დასკვნით, ასევე შპს „პროექტის“ მიერ შესრულებული ხარჯთაღრიცხვით. პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გაზიარებულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტის დასკვნები, ხოლო შპს „პროექტის“ მიერ შესრულებულ ხარჯთაღრიცხვას საქალაქო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ნაწილობრივ, კონკრეტული სამუშაოების ღირებულების დასადგენად. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მოსარჩელეთა ინტერესების შელახვად ვერ შეფასდება, რადგან ხარჯთაღრიცხვა საქმეში მოსარჩელებმა წარადგინეს, ხოლო იმ სამუშაოთა აუცილებლობა, რომელთა ღირებულებაც ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე განისაზღვრა, სასამართლომ დაადგინა ექსპერტიზის დასკვნით, რასაც მოსარჩელებიც დაეთანხმნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სს „თელასის“ მიერ თ. კ-ავასათვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა შეადგენს 17 992,86 ლარს, ხოლო ც. ნ-ძისათვის -12 879,71 ლარს. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეექვსე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტ სს „თელასის“ მიერ სადავო ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობა და ასევე მიუთითა, რომ სს „თელასზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების #3/01 ლიცენზიის დანართის 26-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, რომლითაც წესრიგდება განაწილების ლიცენზიატის საქმიანობის ძირითადი წესი და პირობები, ლიცენზიატი ვალდებულია, შეასრულოს არსებული მომხმარებლის ქსელის მოვლასთან დაკავშირებული სამუშაოები, ამდენად, სს „თელასი“ ვალდებული იყო, ეზრუნა სადავო ქსელის გამართულ მუშაობაზე. მოპასუხე მხარემ აღნიშნული არ შეასრულა, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დაადგინა, რომ ... ქუჩა #1-ში მდებარე სახლის სხვენში აღურიცხავ სადენები ელექტროენერჯით მარაგდებოდა სს „თელასის“ კუთვნილი ელექტროჯიხურიდან, რომელთა დაზიანების გამო აღნიშნული სახლის სხვენში გაჩნდა ხანძარი და შედეგად მოჰყვა მოსარჩელეთა საცხოვრებელი ბინების დაზიანება. პალატამ მიიჩნია, რომ სს „თელასი“ ვალდებულია, სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მიხედვით, მოსარჩელებს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

ც. ნ-ძემ და თ.კ-ავამ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე, 2009 წლის 2 აპრილის განჩინება გაასაჩივრეს საკასაციო წესით და მოითხოვეს მათი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლში მითითებულია იმ მონაცემების ამომწურავი ჩამონათვალი, რასაც უნდა შეიცავდეს სასამართლო უწყება. ამდენად, სასამართლო უწყებაში კანონით გაითვალისწინებელი სხვა მონაცემის არარსებობა, როგორცაა სასამართლო სხდომის სახე (მოსამზადებელი თუ მთავარი), არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ სს „თელასი“ მიჩნეულ იქნეს სადავო სასამართლო სხდომის შესახებ არასათანადოდ გაფრთხილებულად და საქმის განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა ჩაითვალოს საპატიოდ. ამასთან, მოპასუხეს არ შეიძლება ჰქონოდა ვარაუდი, რომ იგი დაზარებული იყო მოსამზადებელ სხდომაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ სს „თელასმა“ სააპელაციო საჩივარი ჩააბარა 2008 წლის 1 ოქტომბერს, გონივრული გაანგარიშებით აბსოლუტურად გამოირიცხება ვარაუდი, რომ 2008 წლის 18 დეკემბერს დანიშნული იყო მოსამზადებელი სხდომა. გაუგებარია, თუ რა გახდა სასამართლოს იმ მსჯელობის საფუძველი, რომ მხარეს სასამართლო უწყება საპროცესო ნორმებით დაწესებული ფორმით არ ჩაბარებია მამინ, როდე-

საც სს „თელასს“ მტკიცებულების სახით მისთვის ჩაბარებული სასამართლო უწყება არ წარმოუდგენია. ის ფაქტი, რომ უწყების მეორე ნაწილზე, რომელიც უწყების ჩაბარების შემდეგ სასამართლოს უბრუნდება, არ არის მონიშნული სხდომის სამართლებრივი სტატუსი, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ იგივე აღნიშვნა არ იყო სასამართლო უწყების იმ ნაწილზე, რომელიც სს „თელასს“ გადაეცა. ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო, ზიანის ოდენობის დადგენისას, მთლიანად დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო წარმოდგენილი შპს „პროექტის“ მიერ შესრულებული ხარჯთაღრიცხვა გაზიარებულ იქნა მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულების დადგენის ნაწილში, რომელთა აუცილებლობა გამომდინარეობს ექსპერტის დასკვნის საინჟინრო-ტექნიკური ნაწილიდან, მაგრამ არ იყო სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნაში გათვალისწინებული აღდგენითი სამუშაოების ჩამონათვალში. დასკვნის აღწერილობით ნაწილში ექსპერტი მიუთითებს დაზიანებებზე, რომელთა შეკეთების და აღდგენის ხარჯი არ არის მითითებული ზიანის ოდენობის გაანგარიშებისას. ექსპერტი აღნიშნავს, რომ კედლები და ჭერი არსებული დაზიანებების გამო საჭიროებს დემონტაჟს და არ მიუთითებს ელექტროგაყვანილობის ხარჯებზე. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობდა 15 სახანძრო მანქანა, ანუ გამოყენებულ იქნა დაახლოებით 75 ტონა წყალი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რაოდენობის წყლის ზემოქმედებით დაზიანდა პირველ სართულზე არსებული საცხოვრებელი ბინის ჭერი, ვიზუალური დათვალიერების გარეშეც ნათელია, რომ ამ რაოდენობის წყლის ზემოქმედება აუცილებლად გამოიწვევდა იატაკის დაზიანებას, რაც არ არის მითითებული ექსპერტის დასკვნაში. ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ კვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად და დასკვნა დაუსაბუთებელია, რაც გარკვეულწილად სასამართლომაც გაიზიარა, რადგან კონკრეტული სამუშაოების ღირებულების დასადგენად ეყრდნობა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს „პროექტის“ მიერ შესრულებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექსპერტის დასკვნის ნაწილობრივი კორექტირება სასამართლოს მხრიდან არასწორია, ვინაიდან მას არ გააჩნია სპეციალური ცოდნა ზიანის ოდენობის დასადგენად. კასატორმა ვერ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 162-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, რომელიც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ერთადერთ ოფიციალურ ალტერნატივას წარმოადგენს, ექსპერტიზა ტარდება მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები: 2002 წლის 30 იანვარს ქ. თბილისში, ... ქ#1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა ხანძარი, რამაც დააზიანა ც. ნ-ძისა და თ.კ-ავას საცხოვრებელი სახლები. სახლს ამ დროისათვის ელექტროენერგია მიეწოდებოდა სს „თელასის“ კუთვნილი ელექტროჯიხურიდან. ხანძრის გაჩენის მიზეზი არის სახლის სხვეში შემავალი ე.წ. „მარცხენა“ სადენების პირველადი მოკლე ჩართვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 18 ივნისის სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით აღურიცხავ ელექტროსადენზე მომხდარი მოკლე ჩართვა გამოიწვია ელექტროენერგიის მიწოდების წესების დაუცველობამ, კერძოდ, ელექტროგამანაწილებელი კარადის სალტებზე კუსტარულად იყო მიერთებული აღურიცხავი ელექტროსადენი, რომელიც გაყვანილი იყო სხვენის გადახურვის ხისა და თუნუქის კონსტრუქციაზე, ხოლო თავად ელექტროგამანაწილებელი ჯიხური ეკუთვნოდა სს „თელასს“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ თ. კ-ავასა და ც. ნ-ძის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე ადგენს იმ საფუძვლების ჩამონათვალს, რომელთა არსებობისას საკასაციო სასამართლო მხარეთა მიერ გასაჩივრებულ სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას გააუქმებს და საქმეს დაუბრუნებს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმის ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა გამოკვლევა. კანონის დასახელებული დანაწესი მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც

საქმეზე დადგენილი გარემოებები არასრულად ან არასწორად შეფასებულ მტკიცებულებებს ეყრდნობა და აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე. დასახელებული მოთხოვნა გამომდინარეობს საკასაციო სასამართლოს ბუნებიდან, რადგანაც ამ ინსტანციის სასამართლოსათვის დამახასიათებელია მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება და კასაცია მოკლებულია შესაძლებლობას თვითონ დაადგინოს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმის გარემოებები არასწორად ან არასრულადაა დადგენილი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას და საქმის განმხილველი სასამართლოსათვის დაბრუნებას სადავო გარემოების სწორად შეფასება-გაანალიზებისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ, სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე დადგენილად მიიჩნია ც. ნ-ძისა და თ.კ-ავასათვის ხანძრისა და მის ჩასაქრობად გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო შპს "პროექტის" ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე აღნიშნული ზიანის გამო აღდგენითი სამუშაოებისა და მოძრავი ნივთების საზაზრო ღირებულება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას ექსპერტის დასკვნისა და შპს "პროექტის" ხარჯთაღრიცხვის, როგორც მტკიცებულებების, არასრულად გამოკვლევასთან დაკავშირებით, რადგანაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 16 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, კასატორთა საცხოვრებელი სახლების დაზიანების ფაქტის დადგენისას ექსპერტი უთითებს მხოლოდ ჭერისა და კედლების დაზიანებაზე, ხოლო 2008 წლის 16 მაისის სხდომაზე ამავე ექსპერტის მიერ მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ გამოკვლევისას ექსპერტს იატაკის დაზიანება არ შეუფასებია, მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგანაც იატაკს ზემოდან დაზიანება არ ეტყობოდა, ასევე არ გამოუკვლევია ელექტროსადენების დაზიანების ფაქტი, თუმცა დაადასტურა, რომ დათვალიერებისას ელექტროსადენები გადამწვარი იყო და არ მუშაობდა. ექსპერტის განმარტებით, ასევე გამოსაკვლევი საცხოვრებელ ბინაში არსებული ბუხრის დაზიანების ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს ინიციატივით დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესაძლებლობას, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დანიშნავს დამატებით ექსპერტიზას იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული, მასში ამომწურავად არ არის განმარტებული ან სათანადოდ არაა გამოკვლეული ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები, ამასთან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

განსახილველ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივრით აპელანტებმა სადავოდ გახადეს სასამართლოს მიერ ხანძრისა და მისი ჩაქრობის შედეგად გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრის სისწორე იმ საფუძველით, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევისას დაირღვა კანონის მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებისას გამოტანისას მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევითა და შეფასებით კონკრეტულად დაესაბუთებინა, თუ რატომ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება თითოეული ნივთის და მისი ნაწილების (იატაკის, ელექტროგაყვანილობის და ა. შ) დაზიანების ფაქტზე. ამ მიმართებით სასამართლოს სხვა მტკიცებულებებთან ერთად ობიექტური შეფასება უნდა მიეცა ექსპერტის განმარტებისთვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს აგრეთვე ხანძრითა და მისი ჩაქრობის შედეგად გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოს დასკვნებზე, კერძოდ პირველი ინსტანციის სასამართლო უთითებს, რომ იზიარებს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის საინჟინრო-ტექნიკურ და სასაქონლო დასკვნებს და ნაწილობრივ, კონკრეტული სამუშაოების ღირებულების დასადგენად, ეყრდნობა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს "პროექტის" შედგენილ ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს, ხოლო თავად ამ ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს, როგორც მტკიცებულებას, არ იზიარებს იმ საფუძველით, რომ სასამართლოსათვის უცნობია მისი შემდგენის კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, საქმიანობის სტაჟი. საქალაქო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გაზიარებულ იქნა სააპელაციო პალატის მიერ. ამდენად, საქმის განმხილველი სასამართლო ეყრდნობა მის მიერვე არადაამაჯერებლობის გამო უარყოფილ მტკიცებულებას, რაც ეწინააღმდეგება საქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი მტკიცებულებათა შეფასების წესში მოიაზრება, რომ მტკიცებულებები გამოკვლეულ უნდა იქნას სრული და ობიექტური განხილვის -გონივრული განსჯის შედეგად, რა დროსაც სასამართლოს მათი ერთობლიობაში შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად უყალიბდება შინაგანი რწმენა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობა-არსებობის თაობაზე.

ამდენად, სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ესა თუ ის გარემოება უნდა დაადგინოს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელთაც შესწავლისა და შეფასების შედეგად დამაჯერებლად და უტყუარად მიიჩნევს. სასამართლოს შეფასება გამოკვლეული მტკიცებულების არადამაჯერებლობაზე საეჭვოდ წარმოაჩენს ამ მტკიცებულებით დადგენილ გარემოებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ც. ნ-მისა და თ. კ-ავას საკასაციო საჩივარი მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევის თაობაზე საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების არასწორად გაუქმების შესახებ, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში იმპერატიულადაა მითითებული იმ პირობათა ჩამონათვალი, რომელთაც უნდა შეიცავდეს სასამართლო უწყება, დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის დანაწესი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიებების შესახებ მითითების არსებობის სავალდებულობა, გულისხმობს დასაბარებელი პირის სათანადოდ ინფორმირებას იმის თაობაზე, რა სახის სხდომაზეა იგი გამოძახებული, რადგანაც სწორედ მთავარ და არა მოსამზადებელ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, თუ მხარეს არ ეცნობება, რა სახის სხდომაზეა იგი დაბარებული, გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის მიმართ რაიმე საპროცესო სანქციის გამოყენების თაობაზე მითითება სამართლებრივად გაუმართლებელი იქნება და ყოველგვარ აზრს დაკარგავს. მითითებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს არ ეცნობა, რომ იგი დაბარებულია სასამართლოს მთავარ სხდომაზე, უწყების ჩაბარება ვერ იქნება განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით მხარისათვის ჩაბარებულად და ასეთ პირობებში მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარება.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მტკიცებულებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევისა და ურთიერთმეჯერებით უნდა გამოარკვიოს:

არსებობდა თუ არა მხარეთა მიერ მითითებული თითოეული დაზიანების ფაქტი;

დადებით შემთხვევაში, სასამართლომ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, უტყუარად უნდა განსაზღვროს რა ღირებულებისაა მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. კ-ავასა და ც. ნ-მის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.